

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი

სუდან ალთუნ

მეოცე საუკუნის თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და აჰმეთ
მითჰათ ეფენდის შემოქმედება

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი
დისერტაცია

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი

ინგაშამილიშვილი

ბათუმი

2018

სარჩევი.....	2
შესავალი.....	3-8
თავი. I. ქართულ –თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი	
1.1. თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში.....	9-24
1.2. ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან	24-45
1.3. მიმდინარე თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი..	45-72
თავი II. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ცხოვრება და შემოქმედება	
2.1. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია	73-78
2.2. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა.....	78-95
2.3. აჰმეთ მითჰათ ეფენდის შეხედულებები	95-100
თავი III. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრული ანალიზი	
3.1. რომანის დაწერის თარიღი და ჟანრობრივი თავისებურებები	101-115
3.2. რომანის ისტორიული გარემო და პერსონაჟები.....	116-130
3.3. რომანის ენობრივი მხარე	130-134
დასკვნა	135-138
ბიბლიოგრაფია.....	139-171
1. თურქულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები.....	139-145
2. ქართულიდან თურქულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები.....	146-150
3. აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედების ბიბლიოგრაფია თურქულ ენაზე	151-171
გამოყენებული ლიტერატურა	172-186

შესავალი

ქართულ – თურქული ურთიერთობები დიდი ხნის ისტორიას ითვლის. დღეს თურქეთი დასავლური ორიენტაციის მქონე, დემოკრატიული ღირებულებების მიმდევარი ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს ახლო კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები გააჩნია. ისტორიის ქარტეხილებმა მრავალჯერ გადაკვეთა ჩვენი და თურქეთის სახელმწიფოს გზები, რამაც საერთო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების პარალელები წარმოშვა. დღეისათვის უკვე საერთო მემკვიდრეობად ქცეულ საგანძურს შესწავლა, დაცვა და წარმოჩენა სჭირდება, რაც საინტერესო არის როგორც ქართველი, ასევე თურქი მკვლევარებისათვის.

საქართველო–თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო. ქართულმა მეცნიერულმა საზოგადოებამ თავიდანვე სწორად შეაფასა თურქული ლიტერატურის თარგმნის მნიშვნელობა და ახალი დროის საქმედ დასახა თურქული ლიტერატურული ძეგლების ქართულად გადმოთარგმნა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაინტერესებამ თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი და, შესაბამისად, თურქი მწერლების მიერ აქტიურად გაშლილმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ–თურქულ კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში. ეს ურთიერთობანი ყოველთვის იყო საგანგებო ინტერესების სფერო ქართველი და თურქი მეცნიერებისათვის. თუმცა, თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მეოცე საუკუნის ბოლოსკენ, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხებული იყო. საქართველოში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ თითქოს ასახვა ჰპოვა მეზობელი ქვეყნების ლიტერატურისა და კულტურის კვლევების საქმეში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისიდან ყინული დაიდრა და თანდათანობით დაიწყო არა

მხოლოდმთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ თურქული მწერლობისა და ლიტერატურის ინტენსიური კვლევაც.

თურქულმა ლიტერატურამ განვითარების არატრადიციული გზა გაიარა და მასში თავისებურად აისახა მსოფლიო ლიტერატურის თავისებურებანი. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან თურქული მწერლობის მოდერნიზაცია იწყება და ის ტრადიციული აღმოსავლური ლიტერატურის ჩარჩოებიდან გამოდის. ლიტერატურაში განხორციელებული ცვლილებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ახალი აქამდე უცნობი ჟანრების დამკვიდრება; სამწერლობო ენის რეფორმირება. ახალი მწერლობის ჩამოყალიბების პროცესი მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში ერთგვაროვანად განხორციელდა: დასავლური ლიტერატურის გაცნობა, თარგმნა, სიუჟეტებისა და მხატვრული ხერხების სესხება. თანზიმათის ხანაში ევროპული ლიტერატურის გავლენა თურქულ მწერლობაზე უმთავრესად ფრანგული მწერლობის სახით იყო წარმოდგენილი. პრაქტიკულად, ყველა ის მიმდინარეობა, რომელიც ფრანგულ ლიტერატურაში დამკვიდრდა, გაზიარებულ იქნა თურქული მწერლობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესში, მაგალითად, თანზიმათის პირველ ეტაპზე რომანტიზმის, შემდგომ პერიოდში რეალიზმისა და ნატურალიზმის გავლენა გამოსჭვივს. ამგვარი მრავალფეროვნების მიზეზი ნაწილობრივ თანზიმათის მწერლებისათვის ნიშანდობლივი პოზიციიდანაც გამომდინარეობდა: მაქსიმალურად სწრაფად აეთვისებინათ დასავლური ლიტერატურის მიღწევები. მათ მწერლობა სოციალური აქტივობის ძირითად მამომრავებელ ძალად ჰქონდათ წარმოდგენილი(ჯაველიძე, 2014: 151).

საკვლევი თემა **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ქართულ-თურქული ურთიერთობებში საინტერესოა კონკრეტული კულტურული კვლევა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. მე-20 საუკუნის ბოლო წლებამდე კომუნისტური რეჟიმის გამო ასეთი თემები ტაბუდადებული იყო. საბჭოთა იმპერიის მსხვერვის შემდეგ, განსაკუთრებით კი უკანასკნელ პერიოდში თურქეთთან ისტორიული თუ კულტურული ურთიერთობები მოექცამკვლევართა ინტერესის სფეროში. საკითხის სრულად შესწავლისთვის მნიშვნელოვანია არსებული

კულტურული კომუნიკაციის, მისი პროგრესირების შესწავლა. საკითხის აქტუალობას კი განაპირობებს რეალური და ეპოქალური ასპექტები, რომლებიც სრულყოფილად აისახება ლიტერატურულ დისკურსში.

ნაშრომის მიზანია თურქულ - ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა, კონკრეტულად კი თურქულ ლიტერატურაში ქართული ელემენტის კვლევა. ეს განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მხატვრულ ნააზრევში. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნით თურქი მწერლის აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედება, მის მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ.

ნაშრომის **სიახლეს** განაპირობებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილი თურქი მწერლისა და განმანათლებლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს, ქართული კულტურისა და ისტორიის გაცნობას თავისი მკითხველისთვის. სადისერტაციონაშრომისმეცნიერულისიახლისაა, რომმასშიაჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედებისესთეტიკურისაფუძვლებისგათვალისწინებით, წარმოდგენილია„ქართველი ასულის შურისძიების“თარგმანისკვლევა ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, როგორპასუხობსიგიეპოქისმოთხოვნილებებს, თანამედროვეთაინტერესებს, მათსულიერმიზანსწრაფვას, ეპოქისესთეტიკურკრიტიერიუმსდაროგორამდიდრებსეროვნულსაგანძურს.

ნაშრომის სიახლე და მთავარი ღირსებაა აჰმეთ მითჰათ ეფენდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მწერლის ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფიის შეკრება, რაც მომავალში საშუალებას მისცემს მკვლევარებს გაითვალისწინონ წინამორბედ ლიტერატორთა კვლევები და საშუალება ჰქონდეთ მწერლის შემოქმედების შედარებით სრულად გააზრებისა.ნაშრომზეემუშაობისასგამოვიყენეთსპეციალურილიტერატურა.

ნაშრომის სიახლედ მიგვაჩნია, ქართულ-თურქული ლიტერატურული მრავალწლიანი ურთიერთობების შესწავლა, ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაში მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესის შესწავლა დალიტერატურული პროცესის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის – ქართულად

და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებების ინტერტექსტუალობის კვლევა, რომლის საშუალებითაც ვითარდება ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული დაახლოება.

ნაშრომისთეორიულიდაპრაქტიკულიდირებულება:ნაშრომიპრაქტიკულდახმარებ ასგაუწევსთურქულ-ქართულილიტერატურულიურთიერთობითდაინტერესებულსპეციალისტებს, სტუდენტებს, მკვლევარებს.

კვლევისასგამოყენებულიაშემდეგიმეთოდები:ნაშრომშიტექსტისინტერპრეტაციისდროსგათვალისწინებულიაკომპლექსურილიტერატურათმცოდნეობითიმიდგომა,თეორიული ლიტერატურის ანალიზის მეთოდები, ძირითადი თეორიების განზოგადება და თანამედროვე ემპირიული კვლევები; ასევე გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები, ემპირიული, შედარებითი, -შეპირისპირებითი, ისტორიულ-შედარებითი.

ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის; ბიბლიოგრაფიის; თურქულიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან თურქულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიისა და აკრძალვით მითხათ ეფენდის შემოქმედების თურქული ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომი მოიცავს**186** ნაბეჭდ გვერდს.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი, საუბარია ნაშრომის მეცნიერულ სიახლეზე, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

I თავში განხილულია ქართულ –თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი, თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესადა XX საუკუნის დასაწყისში, ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მიმდინარე თურქულ – ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი. ამ თავში გატარებულია თვალსაზრისი, ორი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მრავალმხრივობასა და ქართველი მთარგმნელებისა და ლიტერატორების მუდმივ ინტერესის მნიშვნელობაზე მეზობელი ქვეყნის ლიტერატურისადმი. ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად

ჩაითვალოს ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც, მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარგმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან.

II თავში განხილულია აჰმეთ მითჰათ ეფენდის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ეტაპები: აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია, ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა და შეხედულებები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. მწერალი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მიმართულებას თურქული საზოგადოების ევროპული განათლების რადიუსზე გამართვისთვის იყენებდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ევროპულ კულტურას ზიარებოდა. მწერლის მთავარი მიზანი დასავლური ელემენტების შეტანაა თურქულ მწერლობაში.

III თავი ეძღვნება აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მხატვრულ ანალიზს: რომანის დაწერის თარიღს და ჟანრობრივ თავისებურებებს: რომანის ისტორიულ გარემოს და პერსონაჟებს, რომანის ენობრივ მხარეს. მწერალს თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული. აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“ ჟანრისთვის დამახასიათებელ ყველა ნიუანსს შეიცავს, რომანის ტექსტის ლექსიკური, სინტაქსური, მხატვრულ–გამომსახველობითი და სხვა მხარეები, მთარგმნელს განსაკუთრებულ სიძნელეებს არ უქმნის. თარგმანში კარგადაა გადმოტანილი სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი თხრობის სტილი, ეგზოტიკური წვრილმანების თავისებურად აღწერა, საოცარი გონებამახვილობა, ენის სისხარტე საშუალებას აძლევს ავტორს ამ რომანით და მასში აღწერილი ამბებით დააინტერესოს თავისი მკითხველი საზოგადოება და ქვეყანაზე მისთვის ცნობილი ინფორმაციები

ცოცხალი სასაუბრო ენის მეტყველებიდან აღებული, მხატვრული ხედვის, სახოვანი აზროვნების შესაძლებლობათა გამოვლინების ერთ–ერთი სახიერი კომპონენტის ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით შექმნას სემანტიკური თუ სტილისტური იერი.

I თავი

ქართულ –თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი

1.1 თურქეთში არსებული ლიტერატურული კერები და მოღვაწეები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

საქართველო–თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა, ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის მხოლოდ წინა საუკუნეში დაიწყო.

თურქეთში შექმნილი ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედება თავდაპირველად ფოლკლორული ნიმუშებით შემოიფარგლებოდა და იმ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს მოიცავდა, რომლებიც იქ მცხოვრებმა ჩვენებურებმა შექმნეს სხვადასხვა დროს. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ამ ტექსტების ჩაწერა ძალზე იშვიათად ხდებოდა, მათი უმეტესობა დღესდღეობით დაკარგულია და ჩვენამდე მათ მიერ შექმნილი ფოლკლორული შემოქმედების მცირე ნაწილია მოღწეული.

ჩვენებურების ქართულენოვანი მხატვრული შემოქმედების ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომა და ამ თვალსაზრისით იქაურ სახალხო მთქმელთა და მხატვრულ სიტყვას შეჭიდებულ ავტორთა რამდენადმე გააქტიურება უკვე მუჰაჯირობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. კერძოდ, ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად თურქეთში გახიზნული ის ქართველები, რომელნიც შემოქმედებითი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული, თავიანთ ნოსტალგიურ გრძნობებს ქართულ ენაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი (იშვიათად წერილობითი)ფორმით შექმნილი მხატვრული ტექსტით გამოხატავდნენ.

შუშანა ფუტკარადის მიერ გაწეული უდიდესი შრომის შედეგად დღეისთვის შეკრებილია თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების მეტყველების ნიმუშები, ამ უნიკალური სამუშაოს შესრულების დროს მკვლევარს რამდენიმე პოეტური მარგალიტიც ჩაუწერია: მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს,

დღემდეშეუნახავთ ძველი ადათ-წესები, ხალხური სიმღერები, ცეკვები, ზღაპრები და თქმულებები. ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც.

ერთ-ერთ ლექს-სიმღერაში ჩვენებურები თავიანთ თავს ადარებენ „შეფრენილ ფუტკარს“. სკა რომ გამრავლდებადა ახალი ოჯახები გამოეყოფა, იმაზე იტყვიან, „სკამ მართვე გამოუშვაო“. მართვე (ფუტკრის ახალი ოჯახი) ზოგჯერ წინასწარ გამზადებულ ახალ სკაში არ შედის და სადმე სხვაგან დაიბუდებს, სხვაგან შეფრინდება. აი ასეთ დედა სკიდან გამოსულ მართვეს ადარებენ თავიანთ თავს, იმ მართვეს, ფუტკარს, რომელსაც გზა დაეზნა და სხვა ქვეყანაში შეფრინდა, სხვაგან დაიდო ბინა. ქალაქ ინეგოლის მცხოვრებმა ქაზიმ უჩარმა (დავითაძემ) ასე მითხრა: „შეფრენილი ფუტკარი, აჭარიდან გამოქცეული მართვეჩვენ ვართ იანი. მოვსულვართ აქა და შამოვფრენილვართ, აქ გაგვიკეთებია ბუდეები, აქ მოვფუსფუსებულვართ, გამოვმცხოვრებულვართ. ჩვენ ძველებსაც ამაზე სიმღერა მუუგონებიან „შეფრენილო ფუტკარო“.

საინტერესოა აგრეთვე სიმღერა „თეთრო მამალო“. სიმღერის ტექსტი ალეგორიულია. ჩვენებურები ლექსის შინაარსს ასე ხსნიან: „თეთრი მამალი“ არის სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების ალეგორიული სახე. „ლამაზი ქალი კი მუაჯირთა შთამომავლობის სიმბოლოა... დრო გასულა, სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ, ჩვენებურები შეგუებიან ბედის ტრიალს, აღარ ფიქრობენ მემლექეთში დაბრუნებაზე, ამიტომაც აღარ ყივის თეთრი მამალი. ადრე თუ მუჰაჯირი ქალები, თვალებში ცრემლებჩამდგარი, იგონებდნენ გურჯისტანს, ახლანდელი ქალები აღარ ტირიან, ახალ სამშობლოში გაუჩენიათ კერა და დღენიადაგ მას ევლებიან თავს. ღელე გაღმაში – მიტოვებულ სამშობლოშიც – ბევრი რამ შეცვლილა, ძველები წასულან წუთისოფლიდან, ახალგაზრდები მოსულან მათ ადგილას. ე.ი. ლექსში სამი ალეგორიული სახეა: თეთრი მამალი, ლამაზი ქალი – და ღელე გაღმა.... (ფუტკარაძე, 1993: 16–17)

თურქეთელ ქართველთა ზეპირპოეტური შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად „გურჯულ ვაიზში“ (სწავლა-დარიგებაში) გამოვლინდა. საკმაოდ ვრცელი მოცულობის ამ პოეტური ტექსტის მემწეობით ჩვენებურები მშობლიურ ენაზე ისმენდნენ იმ ზნეობრივ შეგონებებს, რასაც მათ მაჰმადიანური რელიგია უწესებდათ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრინციპებად. „გურჯული ვაიზი“ უაღრესად მნიშვნელოვანი

ნაწარმოები იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მასში თურქეთელ ქართველთა ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვაცაა და მშობლიური ქართული ენისადმი გამძაფრებული სიყვარულიც გამოვლინდა ემოციურად ძალზე შთამბეჭდავი ფორმით. (ნიკოლეიშვილი, 2015: 6–7)

ქართულენოვანი შემოქმედება სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. სტამბოლის ქართული სავანის მღვდელთმსახურთა და ამ ქვეყანას სხვადასხვა დროით თავშეფარებულ ქართველ ემიგრანტთა აქტიურ საგამომცემლო, შემოქმედებით, პოლიტიკურ და ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან;
2. თანამედროვე თურქული ლიტერატურის იმ რამდენიმე წარმომადგენლის მოღვაწეობასთან, რომელიც ეთნიკური წარმომავლობით ქართველები არიან.
3. იმ ავტორთა მიერ შესაბამისი პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებთან, რომელთაც დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების ძალით კვლავაც თურქეთისათვის გადაცემულ ქართულ რეგიონებში მოუხდათ ცხოვრება და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება. (ნიკოლეიშვილი, 2015: 7–8)

სტამბოლის ქართული სავანე: ქართველების მიერ საუკუნეთა მანძილზე უცხოეთში ნაშენები ქართული საგანმანათლებლო ცენტრები თითქმის ყველა დაიკარგა: განადგურდა ხელნაწერების უმეტესობა, გაიძარცვა, გასხვისდა ათონის ივერიონი, ჯვრის მონასტერი პეტრიწონი, სინა, შავი მთისა თუ ანტიოქიის კერები... ამჟამად ერთადერთ გამონაკლისს, საიმედოდ შენახულსა და დაცულს, წარმოადგენს სტამბოლის ქართული სავანე.

სტამბოლი (ძვ. კონსტანტინოპოლი) უხსოვარი დროიდან იზიდავდა ქართველებს. თუმცა სტამბოლში ქართული კულტურისა და განათლების კვალის შესახებ ძველი ქართული, ბერძნული ლათინური, ფრანგული, არაბული, ებრაული წყაროები ჯერჯერობით მხოლოდ IX საუკუნიდან მოგვეპოვება.

სტამბოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, სასულიერო პირები, წმინდანები. მათ სორის

აღსანიშნავია წმინდანები – ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი. ილარიონ ქართველი აქვეა დაკრძალული. სტამბოლში ორ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი. ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. სტამბოლში, გალათას უბანში შემოვიდა და თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. სტამბოლში შვიდკოშკიანი სასახლე – ედიყულეს ციხე, დღესაც აღძრავს მწარე მოგონებებს წარსულის შესახებ და გვაუწყებს სვიმონ მეფის ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს.

მარიამ დედოფალმა, ბიზანტიის უკანასკნელმა დედოფალმა (მეუღლე კონსტანტინე მეთერთმეტე, რომელიც 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცვის დროს დაიღუპა), თავისი ქონება თითქმის მთლიანად შესწირა ათონის მონასტრებს, ათონის ივერონის დეკანოზ კონჭოშვილის ცნობით, 1899 წელსაც კი ახსოვდათ ათონელ ბერ-მონაზონთ მარიამ ბაგრატიონის სიკეთე და იხსენებდნენ როგორც „კეთილ მარიამს“.

სტამბოლის ერთ-ერთ უბანში – გალათაში– უძველესი დროიდან არსებობდა ქართველთა ახალშენი-დასახლება. 1453 წლიდანოსმალეებმა ამ ადგილს უწოდეს „გურჯუ კაფუ“ – „ქართველთა კარი“ და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი (როგორც იქაურები უწოდებენ) წმ.პეტრეს სახელობის ეკლესია. აქაური ქართველები უმეტესად მესხეთ-ჯავახეთიდან გადმოსახლებული კათოლიკეები იყვნენ(ფუტკარაძე, 2002:).

ქართველების რიცხვი სტამბოლში განსაკუთრებით გაიზარდა 1828–29 წლებისა და 1877–78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ. პროცესი, რამაც გამოიწვია ქართველების მიგრაცია, კარგადაა აღწერილი თვითმხილველების, მოგზაურების, ისტორიული წყაროების, XIX საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სხვათა მიერ.

საქართველოდან თურქეთში გადახვეწილი ქართველების აღსანიშნავად აღსანიშნავად გამოყენებულია სიტყვა „მუჰაჯირი“, რომელიც ჩვენს ენაში დამკვიდრდა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში და ნიშნავს ემიგრანტს, გადახვეწილს, სამშობლოდნ წასულს. ტერმინი „მუჰაჯირი“ არაბულია; მუჰაჯირი ქართველები კი თავისიანებს „ჩვენებურებს“ ეძახიან (ფუტკარაძე, 1993: 9).

მუჰაჯირობის ისტორია, მისი გამომწვევი მიზეზები კარგად არის შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში. ეს საკითხი, ომის შედეგები, მძიმე სოცი–ალური და ეკონომიკური პირობები, რუს ხელისუფალთა მმართველობის ბარბარო–სული ფორმები და გამუსულმანებული მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმი – სხვადასხვა კუთხით არაერთგზისაა აღწერილი ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის გრიგოლ ორბელიანის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის, მემედ–ბეგ აბაშიძის, პეტრე უმიკაშვილის და სხვათა მიერ.

თურქეთში მომრავლებულმა და მომძლავრებულმა ქართველობამ სტამბოლის უბნებში – გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, პერაზე, ფაფასქვერში, უსკუდარში – დააარსეს სალოცავები, რომლებიც გახდა ქართველთა კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრები. თუმცა მათი კვალი ჟამთასვლამ წაშალა.

საინტერესოა უსკუდარის ეკლესია–მონასტრის ბედი, რომელიც გასული საუკუნის 20–იან წლებამდე ფუნქციონირებდა. იგი დააარსა მამა პეტრეს (პეტრე ხარის–ჭირაშვილის) მიერ ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ. (ეკლესია აშენდა 1861 წელს და აქვე დაფუძნდა დედათა და მამათა მონასტერი). ანდერძის თანახმად წირვა–ლოცვა ქართულ–ბერძნულ ენაზე უნდა წარმოებულიყო. 1881 წელს გაიხსნა ქართულ–ბერძნული სკოლაც. მაგრამ ეკლესიის ბედი უკუღმა დატრიალდა 1910წლიდან, როცა ეპისკოპოსმა სარდიმ ქართულ ენაზე წირვა–ლოცვა მოსპო და საყდარი თავისი შემოსავლებიანი სახლებითა და მრევლით მახლობელ უბანში მდებარე ლათინთა ეკლესიას მიაკუთვნა. ამ არასასიამოვნო ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საქართველოში ისე სტამბულსა და ევროპის რიგ ქვეყნებში. განსაკუთრებით აქტიურობდა ფრანგულენოვანი გაზეთი „ლა ტურკი“, რომელმაც არაერთი წერილი დაბეჭდა. დავას ქართველებსა და იტალიელებს შორის იძიებდა ვექილი საბრო–ბეგ შამბაშიძე და ოსმალეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, შარიათის პროფესორი მუფთი ხასან–ფეჰმი ირემადე. თუმცა საქმის საბოლოო გამოძიებისა და სამართლიანი განჩინების გამოტანას ხელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა და ეს საკითხი მივიწყებას მიეცა (სახალხო გაზეთი, 1911).

საბედნიეროდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა სტამბოლის ერთ-ერთ უბანში, ფერიქოაში, ქართველ კათოლიკეთა სავანე (ეკლესია-მონასტერი), რომელიც ასევე დაფუძნა ახალციხელმა ქართველმა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა, ცნობილი ქველმოქმედის იაკობ ზუბალაშვილის დახმარებით. მამა პეტრეს თაოსნობით 1861 წელს სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში-ფერიქოში, ბომონთში აშენდა წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. მალე გაიხსნა მამათა და დედათა მონასტრებიც. 1870 წელს ამუშავდა სტამბა, სადაც 200-ზე მეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდა. დაფუძნდა ბიბლიოთეკა.

1908 წელს ფერიქოს სავანეში ოფიციალურად გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებიდან იგზავნებოდა ემიგრანტული ლიტერატურა; ამ ბიბლიოთეკაში დღემდეა დაცული უნიკალური ქართული გამოცემები დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ არსებულ სტამბებში(ნაჭყებია, 2009: 10).

ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევართათვის მნიშვნელოვანია სტამბოლის ქართული სავანის, როგორც ქართული კულტურის უძლიერესი კერისა და იქ შექმნილი თარგმნილი თუ ორიგინალური ნაწარმოებების მიმოხილვა. როგორც ამ კერის ცნობილი მკვლევარი შუშანა ფუტკარაძე მიგვითითებს ეს სავანე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიქცა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურისა და განათლების ცენტრად, მათი ერთიანობისა და მშობის ტაძრად, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა მშობლიურ კერად(ფუტკარაძე, 2012: 18).განუზომელია ამ კულტურის ცენტრის მიერ გაწეული ღვაწლი თურქეთში მცხოვრები მილიონობით ქართველის განათლებისა და თვითშეგნების ამაღლებისთვის. თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ეს ცენტრი საზღვარგარეთ ამ პერიოდში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო კერა იყო. სტამბოლის ქართული სავანე თავისი დანიშნულებით, ქართველი ერის წინაშე გაწეული სამსახურით, ბევრად ემსგავსება ადრეულ საუკუნეებში საზღვარგარეთ მოქმედ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. (ფუტკარაძე, 2012: 23)

როგორც მკვლევარი გურამ შარაძე წერს, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლის მაშინდელ განაპირა, დღეს კი დიდად პრესტიჟულ უბანში – ფერიკვეიში აგებულია (1859–1861 წწ.)ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელობაზე. მონასტერთან არსებულია როგორცმამათა ისე დედათა სავანე. პეტრე ხარისჭირაშვილს ეკლესიაში წირვა–ლოცვა ქართულ ენაზე დაუწესებია, აგრეთვე, დაუარსებია სასწავლებელი, წიგნთსაცავი და სტამბა, შეუძენია საკმაოდ ვრცელი სამონასტრო მიწები. მამა პეტრეს მხარში ედგნენ ახალციხიდან წამოსული მოწაფეები – იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე(ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგაძე. სამონასტრო სკოლაში საღმრთო საგნებს გარდა ასწავლიდნენ ექიმობას, წამლების კეთებას უცხო ენებს,მასწავლებლობას... ამ სკოლამ ბევრი სასიქადულო მამულიშვილი გამოზარდა. მათ შორის საკმარისი დავასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერები მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი, აგრეთვე, ერთ დროს აქაური მღვდელი, უკანასკნელად ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ვარდიძე...

კონსტანტინეპოლის ქართული სავანე ჯერ კიდევ 1870–იანი წლებიდან შესდგომია ქართული წიგნების ბეჭდვას, რომელთა უმეტესობა აღწერილია „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიაში, ნაწილი კი ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საერთოდ არ მოხვედრილა საქართველოში და ამდენად, უცნობია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის (შარაძე, 1993: 461–463).

გარდა სასულიერო(ქრისტიანული) შინაარსის გამოცემებისა, წიგნთსაცავში ასევე საკმაოდ მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემები, ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპასა და ამერიკაში დაბეჭდილი წიგნები და ჟურნალ–გაზეთები. ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, მონასტრის არქივში ძველი ქართული ხელნაწერებიცაა საკმაოდ მრავლად დაცული(ნიკოლეიშვილი, 2015:66).

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, შუშანა ფუტკარაძის ინფორმაციით, ამ სავანის სიძველეთსაცავში დღესდღეობით დაცული დოკუმენტების რაოდენობა 83 000 ერთეულზე მეტია. ხელნაწერთა და გამოცემათა უდიდესი ნაწილი (80 პროცენტზე მეტი) ქართულენოვანია, დანარჩენი კი ლათინურ, ფრანგულ,

თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე (სულ–17 ენაზე) არის შესრულებული. სავანის არქივის უნიკალურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიც ყოფილა დაცული. მათგან ყველაზე ძველი 1523 წელს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი სახარებაა (ფუტკარაძე, 2012: 68).

სტამბა: სტამბოლშიქართულიკულტურისგანვითარებასდასაბამი XIX საუკუნის 60-იანიწლებიდან. სტამბულშიქართულიდასახლებანი, სავაჭროცენტრები, ეკლესიებიდასასწავლებლებიადრეცარსებობდა,

მაგრამხელშესახებადმნიშვნელოვანიროლიამთვალსაზრისითმათარშეუსრულებიათ.

სტამბოლისქართულისავანისგადაქცევასქართულიკულტურისადამწიგნობრობისერთ-ერთმძლავრუცხოურკერადპ. ხარისჭირაშვილისმიერ 1870

წელსიქართულისტამბისადაგამომცემლობისდა–რსებამაცარსებითადმუეწყოხელი.

მოყოლებული 1870 წლიდან 1933 წლამდესტამბოლისქართულსტამბაშიათეულობითქართულიწიგნიდაიბეჭდა.

სტამბოლისგამომცემლობამხატვრულიტიტრატურასგარდასაქართველოსსახელმწიფოებრივიდამოუკიდებლობისაღდგენასთანდაკავშირებულპოლიტოლოგიურწიგნებსაცდაუცხოურიმხატვრულიტიტრატურისცალკეულინიმუშებისადასაქართველოსთანდაკავშირებითუცხოელავტორთამიერდაწერილინაშრომებისქართულთარგმანებსაცსცემდა.

იქაურიგამომცემელნი XX

საუკუნისათიანდაოციანიწლებშიამთვალსაზრისითიმდენადდიდაქტიურობასაცკიიჩენდნენ, რომმხატვრულიტიესტებისა (როგორცორიგინალურისა, ისენათარგმნისა) დამეცნიერულ-

პოლიტოლოგიურინაშრომებისგამოცემამდროინდელიმათისაქმიანობისუმთავრესმიმართულებადიქცა.

1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30–იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობითქართული წიგნი დაიბეჭდა. თემატურად ეს წიგნებიოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ესენია: 1.სასულიერო ხასიათის გამოცემები;2. სასწავლო და ზოგადსაგანმანათლებლო წიგნები; 3. მხატვრული, ისტორიული და საქართველოს ეროვნულ – სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან

დაკავშირებული პოლიტოლოგიური ხასიათის გამოცემები; 4. უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშთა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ თარგმნილი ქართული თარგმანების გამოცემები. (ნიკოლეიშვილი, 2015: 85–88).

ჩვენთვის საინტერესო ამ გამოცემებიდან გახლავთ ქართული მხატვრული ლიტერატურის და ისტორიულ – პოლიტიკური აზროვნებისთვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების და მწერლების წარმოჩენა, რადგანაც სწორედ ეს ნაშრომები ასახავენ ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობების იმ მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც შემდგომში, მეოცე საუკუნის ლიტერატურული ურთიერთობებით გაგრძელდა და რომელიც დღეისთვის მნიშვნელოვან, ახალ, ეტაპზეა გადასული.

სტამბოლის ქართულ სავანეში XIX საუკუნეში ძირითადად რელიგიური და მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო ლიტერატურა გამოიცემოდა. პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც აქ დაისტამბა, იყო ივანე გვარამაძის „ყვავილების კონა“, რომელიც, როგორც ა. ნიკოლეიშვილი (გვ. 95) აღნიშნავს, ლიტერატურულად დახვეწილი კრებული არ არის, მაგრამ ინტერესს იწვევს იმის გამო, რომ აქ დასტამბული პირველი პოეტური კრებულაა.

სტამბოლში გამოცემული არასასულიერო ხასიათის წიგნების ავტორთა უმრავლესობას ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული პოლიტიკური ემიგრანტები წარმოადგენდნენ, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ერთადერთი წიგნის ავტორი კი არაემიგრანტიც იყო – სტამბოლში იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ–დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა (ნიკოლეიშვილი, 2015: 101).

სტამბოლის ქართულ სავანეში გამოცემული წიგნებიდან ჩვენი ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი საქმიანობები ვრცლად აქვს განხილული ლიტერატურათმცოდნესა და ცნობილ ქართველ მკვლევარს ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომელსაც ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ამ მნიშვნელოვან ქართულ სავანეში მოღვაწე ადამიანების ნაშრომთა კლასიფიცირებასა და ქართულ–თურქული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ქართულ სამეცნიერო სივრცეში წარმოსაჩენად.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ნაწერების სრული აღწერა და შესწავლა ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს პირდება მკვლევარებს, დღეისათვის ცნობილი და შესწავლილი ავტორების საქმიანობა ასე გამოიყურება:

პეტრე სურგულაძე: 1. საქართველო თავისუფლებისაკენ; 2. საქართველოროგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; 3. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა; 4. სურგულაძის მიერ ამ წიგნების გამოცემა დაკავშირებული იყო საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ საჭიროებებთან და მისი შეხედულებები საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ეს წიგნები იყო ანგარიშგასაწევი და აქტუალური.

პავლე ინგოროყვა: 1918 წელს გამოცემული წიგნი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ არის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებელი წიგნი, სადაც უნდა განეხილათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს კონფერენცია არ გაიმართა. წიგნში განხილული საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო და პავლე ინგოროყვა ისტორიულ დოკუმენტებსა და მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებით აცლიდა საფუძველს ყველა იმ ტერიტორიულ პრეტენზიას, რომელსაც საქართველოს უყენებდნენ იმხანად მისი მოწინააღმდეგე ქვეყნები.

ნიკოლო მიწიშვილი: სტამბოლის სავანესთან არსებული ქართული გამომცემლობების მიერ დასტამბულ ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკოლო მიწიშვილის პოეტური კრებული „შავი ვარსკვლავი“. ეს წიგნი პოეტის მეორე კრებულია. ნ. მიწიშვილის პოეტური კრებულისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში შეტანილი ლექსებით ავტორმა საკმაოდ მძაფრად გამოხატა სულიერი სასოწარკვეთა ცხოვრებისეული მიზანსწარაფვის ვერძოვნელი და მსოფლმხედველობრივად გაორებული ქართველი ემიგრანტისა (ნიკოლეიშვილი, 2015: 135).

ნოე ჟორდანიას: 1923 წელს, თავისი მთავრობის წევრთა დიდ ნაწილთან ერთად იმ დროისათვის უკვე საფრანგეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა, მან სწორედ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სტამბა-გამომცემლობაში დასტამბა ემიგრანტობის პერიოდში დაწერილი თავისი ახალი წიგნი „ბრძოლის საკითხები“. ეს წიგნი ახალი რეალობიდან გამოსავლის მოსაძებნად დაწერილ ერთგვარ

საპროგრამო წიგნადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნოე ჟორდანია ამ წიგნში მკითხველს განუმარტავდა თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. (ნიკოლეიშვილი, 2015: 150)

ვანო ალიხანაშვილი: 1923 წელს სტამბოლში გამოიცა ვანო ალიხანაშვილის პოლიტოლოგიური ნარკვევი „რამ დაგვლუპა და რა გვიხსნის“. აღნიშნული წიგნის გამოცემით სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობა კვლავაც შეეცადა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე განსასჯელად გამოეტანა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის განმაპირობებელი გარემოებანი და მათი დაძლევის სამომავლო პერსპექტივები. (ნიკოლეიშვილი 2015:152)

პავლე მოსულიშვილი: 1922 წელს დაუწერია და გამოუცია სტამბოლის სავანის გამომცემლობაში ერთადერთი დრამატული ჟანრის ნაწარმოები „შენ ხარ მზე“, ეს არის ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან.

მართალია, პავლე მოსულიშვილმა თავის პიესაში ჩვენი ქვეყნის ისტორიის მხოლოდ რამდენიმე ფართოდ ცნობილი ეპიზოდი წარმოსახა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილ ამ ეპიზოდთა ხორცმესხმის უმთავრესი მიზანი პირველ ყოვლისა იმ საბრძოლო სულისკვეთების განდიდებაა, რითაც მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ნაწარმოების მესამე მოქმედებაში, სადაც სადაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის ამბავია მოთხრობილი, მწერალმა ჩვენი ეროვნული ყოფისთვის უადრესად მნიშვნელოვან სამ უმთავრეს მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება – გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა მესვეურებს შორის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ერთმანეთთან მიმართების გარკვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილ უკომპრომისო დაპირისპირებას, საკუთარი სამშობლოს გამყიდველთა და მოღალატეთა საბედისწერო როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემას. (ნიკოლეიშვილი,2015: 173)

1917–1923 წლებში სტამბოლის ქართული სავანესთან არსებული სტამბა–გამომცემლობის საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული წიგნების გამოცემა იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ მხედართა კავშირის მიერ მომზადებული და 1923 წელს გამოქვეყნებული კრებული „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“ (სამწუხაროდ, წიგნში მის შემდგენელ – გამომცემელთა ვინაობა მითითებული არ არის) აღნიშნული გამოცემით მისი ავტორ–შემდგენელი და სტამბოლს თავშეფარებული ჩვენი პოლიტიკური ემიგრანტები ოპერატიულად გამოეხმაურნენ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ბრძანებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლ ქართველ პატრიოტთა მასობრივად დახვრეტის ტრაგიკულ მოვლენას. (ნიკოლეიშვილი, 2015: 178)

ალექსანდრე მანველიშვილი: ამერიკაში მცხოვრები ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე მანველიშვილმა 1932 წლის 10 აპრილს პარიზის საზოგადოებრივების მოხსენებად წაკითხული წიგნი „ვეფხის–ტყაოსანი და რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია“, სტამბოლის სავანის მღვდელმსახურის შალვა ვარდიძის ინიციატივითა და დაფინანსებით 1933 წელს გამოსცა. ეს იყო სტამბოლის ქართული სავანის მიერ დასტამბული უკანასკნელი წიგნი. (ნიკოლეიშვილი, 2015: 183)

სტამბოლის ქართულ სავანეში გამოცემული ნათარგმნი წიგნები: 1921 წელს სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურმა შალვა ვარდიძემ თარგმნა და გამოსცა ევგენი დალევო დ’ალესიოს „ქართველები კონსტანტინეპოლში“ და რემონ ჟანენის „ქართველები იერუსალიმში“. 1924 წელს კი მათ მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანიც“ შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამოცემები ორიგინალურ ნაწარმოებებს არ წარმოადგენდა, ისინი მაინც იქცა ჩვენი სულიერი კულტურის მნიშვნელოვან შენამენად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, პირველ ყოვლისა, შალვა ვარდიძის თარგმანებია, რომელთა გამოცემითაც სტამბოლურმა გამომცემლობამ ქართველ ემიგრანტ ავტორთა მიერ იქ დასტამბულ წიგნებში მძაფრად გამოვლენილ ეროვნულ–პატრიოტულ მისწრაფებებს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა იმით, რომ ჩვენი ერის დიდ ისტორიულ წარსულსა და

იმჟამინდელ პრობლემებზე ამჯერად უცხოელები წერდნენ უღრმესი სიყვარულითა და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით. (ნიკოლეიშვილი, 2015: 190)

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე იტალიელი დიპლომატი, სწავლული და მოგზაური საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პიროვნება იყო. 1918 წელს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში ჩავიდა, იქ მყოფი დალეჯიო ამ მისიის მდივანი გახდა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღო, იმოგზაურა ამ ქვეყანაში და ქართული ენა შეისწავლა. დალეჯიო მაღალ შეფასებას აძლევდა სტამბოლის ქართულ სავანეს და თვლიდა, რომ ეს იყო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების დიდი კერა თურქეთში.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით საყურადღებოა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში“.

წიგნის ავტორი წარჩინებული იტალიელი თაოჯახის შთამომავალია.

ის დაუახლოვდა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებს,

მანი მოგზაურა საქართველოში,

ისწავლა ქართული ენა.

იგი დაინტერესდა თურქეთში გადახვეწილი ქართველებით და

1921

წელს მათ შესახებ დაწერა წიგნი.

ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველების,

მათი რაოდენობის,

ქართული ენის მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით.

ავტორი ახასიათებს ქართველების მდგომარეობას, განმარტავს მათი წარმატების მიზეზებს.

ქართული ენის შესახებ წერს:

„ქართველთა სამშობლო ენა მაინც დღემდის შენახულია ქვეთ,

თუმცა მალეთის მთავრობა იმათგან თურქებას ძალიან ცდილობს.

ქართველ მუსლიმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა-ქართულია,

რადგან ქალისა ზოგადებაში ვერგადის და ასეთუ ისეთურქებთან დიდ მიმოსვლა არაა ქვეს,

სამშობლო ენა დღემდის დაცულია;

მხოლოდ დღეს ქართული ენა საცდელი განსაცდელი მოელის

(დ'ალესიო,

1990:14).

დ'ალესიო ასევე საუბრობს ქართველთა ეროვნული შეგნების-

ცნობიერების საკითხზე და წერს:

„ეროვნულიშეგნებაქართველმუსლიმანებშისაერთოდარარისგანვითარებული, რადგანსჯულისფანატიზმმარადისდაუქვეითებიაიგი.

თუმცისისტემატიურადთურქიზმისპობსმას, მაგრამ, პრაქტიკულადკი, ეროვნულიგრძნობადღესაცმაღლეცოცხალიამათში. საერთოდყველანიამყოფენ, რომგურჯები-ქართველებიარიანდათუსადმეანთავიანთშიქრისტიანქართველსშეხვდნენ, საზოგადოდგარეგნულადმაინცპატივისცემენდაშეგნებულნიკი, ყოველნაირდახმარებასაცადმოუჩენენთუმესაძლებელია“ (დ’ალესიო,1990:14)

ევგენი დალეჯიო დ’ალესიოს თარგმნა და სტამბოლში გამოსცა შალვა ვარდიძემ, რომლის სამეცნიერო – ლიტერატურული საქმიანობაც გვიჩვენა ამ წიგნის ხელმეორე გამომცემელმა გურამ შარაძემ. მისი კვლევის მიხედვით, კონსტანტინეპოლის ქართული სავანის წევრთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პატრ შალვა ვარდიძეს, რომელიც გარდა სასულიერო მოღვაწეობისა, ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. გარდა მეცნიერული ნაშრომებისა, შალვა ვარდიძეს პოეზიაშიც უცდია კალამი. ეს არის პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილი ორი ლექსი „ჩემი ლოცვა“ და „წმინდა ნინოს“, ეს ლექსები პატრიოტული ხასიათსაა და ავტორი, რომელიც ნატრობს სამშობლოს მიწაში დასაფლავებას, შესთხოვს საქართველოს განმანათლებელს კვლავ გადმოხედოს მის ბედკრულ სამშობლოს (დ’ალესიო,1990:49–53).

რემონ ჟანენი ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე, მკვლევარი და ბიზანტიოლოგია. გამოჩენილ მეცნიერს საქართველოს შესახებ სხვა ნაშრომებიც აქვს დაწერილი. „ქართველები იერუსალიმში“ რემონ ჟანენის მიერ პალესტინაში გამოკვლეული ქართული სავანეების საფუძველზე დაიწერა. ამ წიგნისადმი ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტზე და წარსულ დიდებაზე უცხოელი მკვლევარი წერს. ამ ნაშრომს იერუსალიმში ქართველ ღვთისმსახურთა მოღვაწეობისა და იქ არსებულ ქართულ სიწმინდეთა შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს.

იასე მებუზლას (რაჭველის) შემოქმედებითი მოღვაწეობა სტამბოლში.იასე რაჭველი მეცხრამეტე –მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა სტამბოლში და მას, მართალია,

წიგნი არ გამოუცია, მაგრამ თავისი პუბლიცისტური წერილებით ეხმაურებოდა მაშინ მიმდინარე დიდ პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს ორივე ქვეყანაში. სტამბოლში ცხოვრების პერიოდში იასე რაჭველის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართ– ერთის მხრივ, იგი აქტიურად ცდილობდა იქაურ ქართველებში შეძლებიდაგვარად გაედვივებინა ეროვნული ცნობიერება, მეორეს მხრივ კი მოკავშირის როლი შეესრულებინა თურქეთში მცხოვრებ ქართველობასა და საქართველოს შორის.

სტამბოლის სავანემ, როგორც ქართული სულიერებისა და კულტურის კერამ XX საუკუნის 60–იანი წლებიდან, ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. მართალია, რთული და ძნელად დასაძლევი წინააღმდეგობანი მის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ სავანეში მოღვაწე ქართველი მღვდელმსახურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად ვითარების სასიკეთოდ შეცვლა იმხანად მაინც ხერხდებოდა. (ნიკოლეიშვილი, 2010:

75) XIX საუკუნის 60-იანწლებშიპეტრეხარისჭირაშვილისმიერსტამბოლშიაგებულქართველკათოლიკეთამონა სტერთანდაარსებულსტამბა-გამომცემლობაში 70-იანიწლებიდანდაწყებულისაგამომცემლოსაქმიანობა 1933 წლამდეგარბეღდა, შემდგომკიშეწყდადაამდიდიეროვნულისაქმისასალორძინებლადგარკვეულინაბიჯებიმხოლოდგასულისაუკუნის 70-იანიწლებიდანჯერახმედმელაშვილმაგადადგაჟურნალ „ჩვენებურის“გამოცემით, შემდეგკითურქეთშიმოღვაწესხვაადგილობრივიქართველებიცდილობენამდიდმნიშვნელოვანისაქმისგარბეღებას.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართულ მწერლობაში შეინიშნება ერთი დიდი თემა, ესაა გულისტკივილი სამშობლოს მოწყვეტილი და ქართულ ხმას მონატრებული თანამემამულეთა გამო. როგორც მკვლევარები წერენ: „ უნდააღინიშნოს, რომსამხრეთსაქართველოსთემა, მეტადრე, ომამდე, უფრო 30-იანიწლებიდან, აჭარაშიმოღვაწემწერალთაშემოქმედებისათვისიყოყველაზედამახასიათებელი.

ესნიშანდობლივიფაქტია.

აჭარახომთავადიყომონაწილეცხოველისტორიულიპროცესებისა;

სწორედ ამ რეგიონს შეეხო ყველაზე მწვავე დედაყოფა-განაწილების, გასხვისების ტრაგიკული მოვლენები. დიდხანია რიგოვას ულიმას შემდეგ, მოსკოვში, სტამბოლ-
 ანკარასათუევროპაში მიღებული გადაწყვეტილებების გამო რომ გადადიოდა იგი ხელიდან ხელში.
 ამ პროცესების მრავალი მონაწილე ჯერაც ცოცხალი იყო და არც ეზოსათუყანის ბოლოში გავლ
 ებულისა ზღვრების გამო ერთმანეთს მოწყვეტილი ნათესავების ტკივილს უჩანდა და ამების პ
 ირი. ამასთან, ეს იყო რეგიონი, რომელმაც საუკუნეებს გამოატარა ქართული ენა, ცნობიერება,
 ზნეობა, ტრადიცია... მეორე მხრივ, კი გაცოცხლებული მხატვრულის იტყვა ახლად აიკრებდა ძალას,
 ახლად აღნდებოდა საუკუნეებით და გუბებულისათქმელის გამო მხატვის საშუალება და იმდენ
 ნადღრმა იყო ჭრილობა, იმდენად მაღალი ღირებულებისა იყო ეს თემა, რომ თვით სოციალისტური რეალიზმის პირობებში ფეხად გმულმა აადგილობრივმა მწერლო
 ბამაც ვიარა ერთხელ გადააბიჯა და ამკვიდრებულ ზღვარს:
 ყველაზე ნიშანდობლივი იდეოლოგიური ნაწარმოებებისათვისაც კი ისარის, რომ უმეტესწილად სწორედ „იქაურ ქართველებზე“ საუბარი მათში და არამხოლოდ
 „მთელი თურქეთის მშრომელ მოსახლეობაზე“.

ამუკანასკნელის ბადალი უკიდურესობანი ხომესოდენ დამახასიათებელი იყო პროლეტარული
 ლიკულტურისათვის, განსაკუთრებით მისი ადრეული ეტაპისათვის (სარფი, 2015: 309–310).

1.2. ქართულ – თურქული ლიტერატურული ურთიერთობანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება თურქული მწერლობის ნიმუშების თარგმნა და მკითხველთათვის ამ ლამაზი სამყაროს გაცნობა. სანამ ვისაუბრებდეთ თურქულ–ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა მრავალმხრივ და საინტერესო საქმიანობაზე, პირველ რიგში საინტერესოდ მიგვაჩნია ამ პერიოდში აღმოსავლური

ლიტერატურის თარგმანის აკადემიურ გამოცემაში ასახული თურქული მწერლობის ნიმუშების თანმიმდევრული მიმოხილვა, რადგანაც ვთვლით, რომ ამ კრებულში ასახულია დამოკიდებულებანი მეზობელი ქვეყნების კლასიკური და მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისადმი, ესაა ერთი მხარე თურქული მწერლობის ქართველი მკითხველისთვის მიწოდებისა, რომლის პარალელურადაც საქართველოში აქტიურად დაიწყო თუქული ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა.

„არმალანი“ 1: ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი მაგალი თოდუა ზრუნავდა უპირველესად ახალგაზრდობისთვის აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშების მიწოდებაზე და ის ხაზს უსვამდა მთავარ გარემოებას: ამ ტიპის კრებული გამოვიდა ახალგაზრდობისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც აღმოსავლეთი და მისი კულტურა აინტერესებს. ეს ინტერესი კი დღითიდღე იზრდება, რადგან აღმოსავლეთმა კარგა ხანია თანდათან გამოიღვიძა საღათას ძილისგან და ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა. ყველაფერი რაც აქ მოგვიკრებია უშუალოდ ორიგინალიდან მოდის. ჩვენ ასე გვინდოდა, თორემ ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ ზოგი შემოვლითი გზით უკეთესად თარგმნის, ვიდრე სხვაუშუალოდ დედნიდან. (არმალანი, 1965: 5–6)

ქართულმა მეცნიერულმა საზოგადოებამ მაშინვე სწორად შეაფასა თურქული ლიტერატურის თარგმნის მნიშვნელობა: თურქული ლიტერატურული ძეგლების ქართულად გადმოთარგმნა ახალი დროის საქმეა. არსებობს ცნობები ძველი თხზულებების („წიგნი საამ ფალავანისა“, „ყარამანიანი“ და სხვ.) თურქულიდან მომდინარეობის შესახებ, მაგრამ ეს ძალიან სადავოა. ტრადიციის უქონლობას დიდად არ შეუშალია ხელი ჩვენი თურქოლოგებისთვის, რომ მათ მოკლე დროის განმავლობაში მოეცათ თურქული ლიტერატურის სხვადასხვა ეპოქის თხზულებათა მხატვრული თარგმანები, რაც ქართველ მკითხველს ზოგად წარმოდგენას მაინც აძლევს ამ ლიტერატურის შესახებ (კობიძე, 1969: 308).

არმალანის პირველ წიგნში თურქული ლიტერატურა **ბუ ადამის** ანეკდოტებითა და **ხოჯა ნასრედინის** ოხუნჯობანით იწყება. ბუ ადამის ანეკდოტები მე–19 საუკუნეში დაამუშავა და გამოსცა თურქმა მწერალმა მეჰმედ თევფიქმა. ბუ ადამი („ეს კაცი“), ისევე, როგორც ხოჯა ნასრედინი, უსამართლობის, ცრუმორწმუნეობის, მოღვინისა და

ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლია. ხოჯა ნასრედინის სამშობლო თურქეთია და, მაგრამ ანეკდოტები მის შესახებ მთელი აღმოსავლური სამყაროს ნაყოფი უნდა იყოს. ისინი საუკუნეების მანძილზე ივსებოდა ახალ-ახალი სიტუაციებით და ხოჯა ნასრედინის სახელს უკავშირდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოლა ნასრედინის ოხუნჯობანი ძალიან პოპულარული იყო ქართველ მკითხველებში, რასაც მოწმობს მისი გამოცემათა სიმრავლე, XIX – XX საუკუნეთა მიჯნაზე დაახლოებით 22-ჯერ ითარგმნა ქართულად. არმაღანში შესული თარგმანები ეკუთვნის შესანიშნავ თურქოლოგს, ქალბატონ ლია ჩლაიძეს.

კრებულში შესულია თურქი პოეტი ქალების ისა ნეჯათისა და მიჰრი ხათუნის პოეზია. ორივე პოეტი XV- XVI საუკუნეთა მიჯნის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან. **ისა ნეჯათი** – პოეტი ლირიკოსი, თურქული კლასიკური ფეოდალური კარის პოეზიის უდიდესი წარმომადგენელია. წერდა სახოტბო ლირიკულ ლექსებსა და პოემებს. მის კალამს ეკუთვნის თურქული „ლეილმაჯუნუნიანიც“. ნეჯათი უმღერის ბუნებასა და ამქვეყნიურ სიყვარულს. მისი ლექსები გამოირჩევიან ცხოვრების რეალური აღქმითა და ემოციურობით. ნეჯათის შემოქმედება შემდეგი დროის პოეტებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა. მის მიმბაძველთა და თაყვანისმცემელთა შორის იყო პოეტი ქალი მიჰრი ხათუნი. **მიჰრი ხათუნი** – გამოირჩევა განსაკუთრებით ცეცხლოვანი ლექსებით. იგი თამამად ილაშქრებდა რეაქციული მისტიციზმის წინააღმდეგ. ხმამაღლა უმღეროდა ამქვეყნიური სიამოვნებით დატკბობის გრძნობებს. მიჰრი ხათუნი შეუპოვრად იბრძოდა ქალის უფლებების დასაცავად. მისი ლექსები ნეჯათის პოეზიის მიბაძვას წარმოადგენს, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ზოგჯერ უკეთესიცაა. ორივე პოეტის ლირიკა თარგმნილია ირაკლი გოცირიძის მიერ. მიჰრი ხათუნის პოეზია არმაღანის მეორე ტომში ცისანა ახალამის თარგმანითაა წარმოდგენილი (არმაღანი 1977: 531–536); არმაღანის მესამე ტომში შესულია მიჰრი ხათუნის ისევ ცისანა ახალამისეული თარგმანი (არმაღანი 1982: 478–482)

კრებულში შესულია XVII საუკუნის მოგზაურის **ევლია ჩელების** ნაწერები. ევლია ჩელები ცხოვრების დიდი ნაწილი მოგზაურობაში გაატარა და მოიარა ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა. თავისი დღიურების, შთაბეჭდილებებისა და

ლიტერატურული წყაროების საფუძველზე შეადგინა ატომიანი თხზულება, რომელსაც „სეიაჰათ–ნამე“ („მოგზაურობის წიგნი“) ეწოდება. ევლია დაწვრილებით აღწერს მის მიერ ნახული ქვეყნების ხალხებს, მათ გარეგნობას, ჩაცმულობას, ენას, ზნე-ჩვეულებას, აგვიწერს ქალაქსა და სოფლებს, ბუნებას. მოგვითხრობს ომებზე. თავის თხზულებაში მან სათანადო ადგილი დაუთმო ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს აღწერას. ხანგრძლივი მოგზაურობის დროს ევლიას მრავალი ფათერაკი შეემთხვა, ბევრ საინტერესო პიროვნებას გაეცნო და ყველაფერი ეს მეტად მხატვრულად აღწერა თავის წიგნში. კრებულში შესული ევლია ჩელების ნაწერების მთარგმნელია გრ. ფუთურიძე.

რეზად ნური გუნთეჟინი (1892–1956) გამოჩენილი თურქი მწერალია, რომლის მრავალფეროვანი შემოქმედება (რომანები, მოთხრობები, პიესები) დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე თურქეთში და იკითხება შეუწელებელი ინტერესით. (როგორც წინასიტყვაობაში ჩანს ქართულად ამ დროისთვის რუსული ენიდან უკვე თარგმნილი ყოფილა ამ მწერლის რომანი „ნარჩიტა“). ეს მოთხრობა ქართულად მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში უთარგმნია სერგი ჯიქიას. არმაღანის მეორე ნომერში შესულია ლია ჩლაიძის თარგმანი (არმაღანი 1977: 542–547)

ნაზიმ ჰიქმეთი (1902–1963) თურქული ლიტერატურის განსაკუთრებით საყურადღებო წარმომადგენელია. ავტორია ლექსების, პოემების და პიესების. ჰიქმეთი თურქული ლექსისა და დარმატურგის ნოვატორია. მის შემოქმედებაში მხატვრულ ფორმებში აისახა თურქი ხალხის რეალური ცხოვრება.ახალგაზრდობაში დიდი ხნის მანძილზე რევოლუციური მოღვაწეობისთვის იჯდა თურქეთის ციხეებში. ჰიქმეთის პოეზიის ქართული თარგმანი ეკუთვნის ვ. კეკელიძეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰიქმეთის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე ქართულად შექმნილია გურამ ბათიაშვილის შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანი, რომელიც თურქი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ლიტერატურული დოკუმენტია. ჰიქმეთის ლექსების კრებული ქართულ ენაზე გამოვიდა 1952 წელს, სწორედ ამ კრებულიდანაა არმაღანში ჰიქმეთის პოეზიის ნიმუშები წარმოდგენილი.(ბათიაშვილი,1977: 174).

საბაჰათინ ალი (1907–1948) თურქული პროგრესული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი ნაწერები ასახავს თურქეთის მშრომელების სიდუხჭირეს. მათ გულისწყრომასა და დარდებს. თურქულიდან თარგმნა ნ. ჯანაშიამ.

ორჰან ჰანჩერიოღლუ მეოცე საუკუნის თურქი მწერალი. ცნობილია პატარა მოცულობის რომანებითა და მოთხრობებით. მისი სტილი მეტად მოქნილი და სხარტია. იგი კარგად ახერხებს ლაკონურად გადმოგვცეს რთული საკითხებიც კი. თარგმანა ე. ჯაველიძემ.

„არმალანი“ 2: დედე ქორქუთის წიგნი – სრული სახელწოდებაა: წიგნი პაპაჩემის ქორქუთის, დაწერილი ოღუზთა ტომის ენაზე“ ოღუზური თურქული ენის პირველი ლიტერატურული ძეგლთაგანი. ეპოსი შედგება 12 კარისაგან, რომლებშიც ძირითადად ასახულია ოღუზ თურქთა როგორც შინატომობრივი ბრძოლები, ასევე მათი დაპყრობითი ომები XI საუკუნეში „ურწმუნოთა“, მათ შორის ქართველთა წინააღმდეგ. ოღუზური თურქულიდან თარგმნეს გიორგი შაყულიშვილმა და ელიზბარ ჯაველიძემ.

აბდულაჰ ჰამიდ თარჰანი – გამოჩენილი თურქი პოეტი (1852–1937). მისი ნაწარმოებები მიმართულია სულთნის ხელისუფლებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იგი თურქული ლექსის ნოვატორია, მან თურქულ პოეზიაში დაამკვიდრა ეროვნული ლექსთწყობა „ჰეჯე“. აბდულაჰ ჰამიდის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვრცელ ლირიკულ პოემას („მაკბერ“), რომელსაც შესანიშნავი სახეებითა და ფერებით წარმოდგენილია მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული განუსაზღვრელი მწუხარება და სულიერი აფორიაქება. ამ პოემიდან აქ მოცემულია ეპიტაფია და მხოლოდ რამდენიმე სტროფის თავისუფალი თარგმანი. თურქულიდან თარგმნა სერგი ჯიქიამ.

ომერ სეიფედინი– თვალსაჩინო თურქი ბელეტრისტი. დიდ როლი ითამაშა ახალი თურქული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და სრულქმნის საქმეში. სატირული ნოველებით ამათრახებდა მის თანამედროვეთა მანკიერებას, განსაკუთრებით კი – საულიერო წოდების თავაშვებულობას. თურქულიდან თარგმნა გიორგი შაყულიშვილმა. (არმალანი 1977: 538–542)

საით ფაიკი (1907–1945) დაიბადა ვაჭრი ოჯახში. განათლება მიიღო ჯერ თურქეთში, შემდეგ ევროპაში. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, პუბლიცისტურ წერილებს. ხატავდა „პატარა ადამიანების“ რთულ სამყაროს. განსაკუთრებული როლი შეასრულა თანამედროვე თურქული პროზის შექმნის საქმეში. ქართულად თარგმნა ირინე გოცირიძემ.(არმაღანი 1977: 547–550)

ფაჰრი ერდინჯი მეოცე საუკუნის პროგრესული მწერალია. მის უამრავ ლექსებსა და მოთხრობებში გადმოცემულია თურქი ხალხის ცხოვრების რეალური სურათები. მწერალი განსაკუთრებით კარგად იცნობს სოფელს, რომელიც მემამულეებისა და კულაკების ხელში სულს დაფავს. ფაჰრი ერდინჯი თავისი ნაწარმოებებით ექომაგება მშრომელ ხალხს და იბრძვის მათი ნათელი მომავლისთვის.

ფაჰრი ერდინჯს, როგორც პოეტს, მწერალსა და დრამატურგს, დიდ წვლილი შეაქვს თურქული პროგრესული ლიტერატურის განვითარების საქმეში. თურქულიდან თარგმნეს ვენერა ჯანგიძემ და ეთერ მამულიამ(არმაღანი 1977: 550–567).

აზიზ ნესინი. თურქი ისტორიკოსი. დაიბადა 1915 წელს სტამბულში. თანამშრომლობდა დემოკრატიულ თურქულ პრესაში. ავტორია მრავალი მოთხრობისა და რომანისა, რომლებშიც ასახული აქვს დატაკთა, უმუშევართა და წვრილ მოხელეთა ყოფა. არის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. იმოგზაურა საქართველოში და აქაური შთაბეჭდილებელი გამოაქვეყნა თურქეთში. თურქულიდან თარგმნეს ედიშერ სარიშვილმა და ცისანა ახალაძემ. (არმაღანი 1977: 567–573); არმაღანის მესამე ნომერში შესულია აზიზ ნესინის მოთხრობის ვენერა ჯანგიძისეული თარგმანი (არმაღანი 1982:542–547).

„არმაღანი“ 3: არმაღანის ამ ნაწილში შესულია მეოცე საუკუნის მწერლების **სუათ დერვიშის, იაკუბ კუდრი კარაოსმან – ოღლუს, ბექირ ილდიზის, ომერ სეიფედინის** პროზაული ნაწარმოებები მერი წიკლაურის, ირინე გოცირიძის და ქეთევან ტომარაძის თარგმანი.

ჰალდუნ თანერი – თანამედროვე თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ავტორია ფართოდ ცნობილი ფსიქოლოგიური ნოველების, რომანების და პიესებისა. თანერის თხზულებები გამოცემულია მსოფლიოს მრავალ

ქვეყანაში. 1972 წელს გამოქვეყნდა ჰალდუნ თანერის ნოველების კრებული ქართულად „თორმეტს აკლია ხუთი წუთი“. არმადანში შესული ნაწარმოები ღია ჩლაიძის თარგმნილია.

ჰალდუნ თანერის შესახებ მაშინდელი ქართული კრიტიკაც მნიშვნელოვან შეხედულებებს აქვეყნებდა. „თორმეტს აკლია ხუთი წუთი“ ღია ჩლაიძემ გააცნო მთელ საქართველოს, ეს ნაწარმოებები იმ მხრივაც არის სასიამოვნო ფაქტი, რომ თავისი პრობლემატიკით, საკითხის დაყენებით, თანამედროვეობისადმი დამოკიდებულებითეს მწერალი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ტიპური თურქი პროზაიკოსია. ამ მწერლის მეოხებით ჩვენს მკითხველს მიახლოებითი წარმოდგენა მაინც ექნება თანამედროვე თურქულ პროზაზე, თუ ვეტყვით, რომ დღეს თურქეთში სწორედ ამგვარი პროზა ვითარდება და იგი ძირფესვიანად განსხვავდება იმ პროზისაგან, რომელიც მეცხრამეტე საუკუნისა და ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში იქმნებოდა. (ბათიაშვილი გ, 1977: 101).

ფაქირ ბაიყურთი – მეოცე საუკუნის თურქი მწერალი. 50-იან წლებშიმუშაობდა სოფლის მასწავლებლად თურქეთის ერთ-ერთ შორეულ კუთხეში, შავშეთში მისი მასწავლებლობის პერიოდს ასახავს წიგნი „ფიქრის გორა“, რომელის 1974 წელს გამოიცა თურქეთში. წიგნი რეპორტაჟის ხასიათს ატარებს. ავტორი წამოჭრის მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს თურქეთის ცხოვრებიდან. თურქულიდან თარგმნა მზია გურგენიძემ.

„არმადანი“ 4:კრებული იხსნება ხოჯა ნასრედინის ტრადიციული ანეკდოტებით. კრებულში განმარტებულია, რომ ხოჯას პირველინშემკრები, ცნობილი თურქი პოეტი და განმანათლებელი მეჰმედ თევფიქი (1844–1898) ისე გაუტაცია ანეკდოტებს, რომ მათ თარგზე თავადაც შეუთხზავს ანეკდოტები, ზოგი გადმოუღია და გადაუმუშავებია და გაუერთიანებია ისინი გამოგონილი პერსონაჟის – ბუ ადამის (სიტყვასიტყვით „ეს კაცი“) გარშემო.

რეზად ნური გუნთექინი არმადანის ბოლო კრებულშიცსოლიდური თარგამანითაა წარმოჩენილი. ის გამოჩენილი თურქი მწერალია, რომელიც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. იყო მეჯლისის დეპუტატი. ტურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ დიდი პოპულარობით

სარგებლობს მისირომანები, მოთხრობები და ნოველები. რამდენიმე მათგანი თარგმნილია ქართულად (იხ. არაღანი 2–3). ამ კრებულში შესული მოთხრობების მთარგმნელები არიან მაკა შონია და ვიქტორ ჩიკაიძე.

საბაჰათინ ალი ცნობილი თურქი კომუნისტი მწერალია. მის თითქმის ყველა ნაწარმოებში ნაჩვენებია ფეოდალურ–ბურჟუაზიული წყობის მიერ ცხოვრების სიბინძურეში ჩაყრილი ადამიანების მორალური სიწმინდე. მოთხრობა „ცხელი წყალი“ , რომელიც ამ კრებულშია შესული თარგმანა ვენერა ჯაგნიძემ.

ადნან ველი ქანიქი (1918–1972) თურქი მწერალი და ჟურნალისტი. ის ცნობილია, როგორც იუმორისტული მოთხრობებისა და ანეგდოტების ავტორი. წერდა აგრეთვე რეპორტაჟების ხასიათის ნარკვევებს. მწერლის მოთხრობა „მაღალი საზოგადოება“ თურქულიდან თარგმნა მზია გურგენიძემ.

კრებულში შესული **ბექირ ილდიზის** ორი მოთხრობა „მოკვეთილი მარჯვენა“ და „შავჩადრიანი პატარძალი“ თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ.

მაგალი თოდუამ არმაღანის ოთხი ტომი გამოსცა, სადაც აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის გვერდით, თურქულ ლიტერატურას სოლიდური ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ აღვვეწერა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეს მნიშვნელოვანი კრებულები და მასში შესული თურქული ლიტერატურის შესანიშნავად თარგმნილი ნიმუშები. ვთვლით, რომ ეს აღწერა უფრო თვალსაჩინოს გახდის ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობების მრავალმხრივობასა და ქართველი მთარგმნელებისა და ლიტერატორების მუდმივ ინტერესს მეზობელი ქვეყნის ლიტერატურისადმი.

ცნობილმა თურქოლოგმა სერგიჯიქიამ 1965 წელს გამოსცა „თურქულიქრესტომათია“. წიგნირამდენიმენაწილსწარმოადგენს.

პირველინაწილითურქულხალხურტექსტებსმოიცავს.

აქვეადაბეჭდილიპატარამოთხრობები,

რომელიცრეკომენდებულიაიმსტუდენტებისთვის, რომლებიცთურქულენასწავლობენ.

ნაწარმოებისმეორენაწილშითურქულიკულტურულიდაეთნოგრაფიულიინფო–

რმაციააწარმოადგენილი. მაგალითად: თურქულიენებიდაახალითურქულიდამწე–

რლობა; თურქულიენისკონვენცია; „სერვეთიფუნუნ“ (მეჯმუასი) საწყისიწინადადე-
ბები.

დანარჩენნაწილებშიცნობილითურქიმწერლებისნაწარმოებებიდანაღებულინაწყვეტებია
წარმოდგენილი. ესმწერლებიდაპოეტებიარია: იუნუსემრე, მუალლიმნაჯი,
აბდულჰაკჰამიტარჰან, ომერსეფეტინ, რ.ჰკარაი, გ.ჰ. რაჰმი, არასიმ, ჰ.ე. ადივარ, მ.ე.
ყურდაკულ, რ.ნგუნტეკინ, ჰ.სუათ. მეჰმეტემინიურდაქულ, ფარუკნაფიზჩამლიბელ,
იუსუფზიაორთაჩ, ტევიკფიქრეთ, ნაზიმჰიქმეთ, ორჰანველი, ორჰანშაიკგოკაი,
ჰალითფაჰრიოზანსოიდასხვ(ჯიქია, 1965;1971)

„ქიტაბი დედემ ქორქუთ“ ანუ „წიგნი პაჰაჩემი ქორქუთისა“ ოღუზურ თურქულზე
შექმნილი თვალსაჩინო ძეგლია, რომელიც შუა საუკუნეებში ლიტერატურულად
გადაამუშავეს. 12 კარისგან შემდგარი ეპოსის ძირითადი თემაა ოღუზთა ბეგების
ბრძოლები გარეშე მტრებთან. ფიქრობენ, რომ აქ თავი მოიყარა სხვადასხვა ეპოქაში
შეთხზულმა ამბებმა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იგი მდიდარია ფოლკლორული
სახეებითა და მოტივებით. ძველი ტექსტები და ფოლკლორული წყაროები საშუალებას
გვაძლევს, ერის ცნობიერების სიღრმეებს ჩავწვდეთ და სასურველი პასუხები მოვიძიოთ.
თურქულენოვანი სამყაროსთვის სწორედ ასეთი წყაროა „კიტაბი დედე გორგუდი“. ამ
ეპიკური ჟანრის ნაწარმოებმა მრავალი ვერსია შვა, რომელთა შორისაც უაღრესად
საინტერესოა მოსაზრება ამ და „თქმულება ნიბელუნგებზე“ ტექსტების მსგავსების
შესახებ (ქამალ აბდულა, 2017: 5) ეს მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი 1987 წელს
თარგმნეს და ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადეს ცნობილმა თუ-
რქოლოგებმა ელენე ჯაველიძემ და გიორგი შაყულიძემ.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი
ქართული ლიტერატურისადმი, ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოები
ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ რომელიც გერმანულიდან ითარგმნა თურქულად,
კარგად მიიღო თურქმა მკითხველმა, შემდეგ პერიოდებშიც ნოდარ დუმბაძის
მხატვრული შემოქმედება მრავლად ითარგმნა თურქულ ენაზე. თურქი მკითხველი მეტ-
ნაკლებად იცნობს ნ. დუმბაძის ნაწარმოებებს: “მე ვხედავ მზეს” (ითარგმნელი მეჰჯურე
ქარაორენი – 1982), “მარადისობის კანონს” (ითარგმნელი ალი ალთუნი–1987),

“კუკარაჩას” (მთარგმნელი გულიზარ იბრაჰიმოვა-ჭელიძე–1990). რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, თურქულად არის გადათარგმნილი ასევე: “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, “თეთრი ბაირაღები” და “მზიანი ღამე”, მაგრამ ეს თარგმანები ჯერჯერობით–გამოქვეყნებული არ არის (ქირიმუზაფერ 2010: 5). 1988 წელს ითარგმნა თურქულად მიხეილ ჯავახიშვილის „ემშაკის ქვა“ (მთარგმნელი იბრაჰიმ გორაძე), 1989 წელს ითარგმნა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (მთარგმნელი ალი ალთუნი). ამავე პერიოდში დაიბეჭდა ჰაირი ჰაიროღლუს(ვახტანგ მალაყმადის) მიერ ნათარგმნი წიგნები: ქართული ზღაპრები, ლაზების ისტორია, საქართველოს ისტორია. თურქეთს ბევრჯერ ეწვია ცნობილი ქართველი პოეტი ფრიდონ ხალვაში. მისი წიგნი „ომრი“ თურქეთელ ქართველებსა და საქართველოს კავშირებისა და შეხვედრების მრავალ ამადელვებელ სურათს გვიხატავს (ხალვაში, 2007).

თურქეთში საქართველოსა და ქართული კულტურის გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს თურქმა მწერლებმაც: დემირთაშ ჯეიჰუნმა, ფაქირ ბაიქურთმა, ჰაიათი ასილიაზიჯიმ, ნეჯატი ჯუმალმა, სამი ქარაოქენმა, რეფიქ ერდურანმა, თუნჯერ ჯუჯენოღლუმ და სხვ. მათ აღწერეს და წიგნად გამოსცეს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მოგონებები (ხიმშიაშვილი–იაკუტი, 2012: 27).

აჰმედ მელაშვილი:საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ დიდი საზოგადო მოღვაწის აჰმედ მელაშვილის მოღვაწეობაზე, რადგანაც მის სახელთანაა დაკვირებული არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, მთლიანად ქართული ცნობიერების გაღვიძება და ჩამოყალიბება ქართული წარმომავლობის თურქი მოქალაქეებისთვის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აჰმედ მელაშვილის აქტიური მოღვაწეობა გახდა თურქულენოვანი მკითხველისთვის ქართული ლიტერატურით დაინტერესების საფუძველი. ქართული ლიტერატურის წარდგენა თურქი მკითხველისათვის სწორედ აჰმედ მელაშვილის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირდება. ამ წარმოშობით ქართველმა, თურქმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ქართული კულტურისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის ნიმუშებით და საქართველოზე ენციკლოპედიური წიგნის გამოცემით.

ახმედ მელაშვილი - პირველი თაობის კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავალი-ბალიქესირის მკვიდრი იყო. მისი ღირსეული ცხოვრების ანარეკლია სწორედ, დღეს რომ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც თურქეთის ქართველობის ილია ჭავჭავაძეს. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის არსი თანამემამულეთა ეროვნული თვითშემეცნების გაღვიძებისათვის ბრძოლა იყო, რაც, იმჟამინდელ თურქეთში, დაუძლეველ პრობლემებს უკავშირდებოდა. „სადაც აკრძალეს ქართველობა, იქ იქართველა, იქ მან მამულის სიყვარული აგო ტაძრებად, იქ ცივი ფერფლიც სულის ბერვით გამოაღვიძა... რათა ძმებს დედო მემლექეთი არ დავიწყნოდათ,“ - ხატოვნად წერდა ახმედ მელაშვილის ბიოგრაფიას ფრიდონ ხალვაში და მართლაც, ეს ბიოგრაფია ქართველობისათვის ბრძოლის და ტანჯვის გზაა, რასაც შეეწირა კიდეც (ჩოხარიძე, 2016: 70)

ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში აჰმედ ოზგან მელაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრი საინტერესო მასალაა დაგროვილი. როგორც მკვლევარები მიგვითითებენ საბჭოთა კავშირ – თურქეთის საზღვრის ორივე მხარეს არსებობდა საქართველო. ამ ორი საქართველოს შესახებ ჭეშმარიტი ცოდნა არც ერთმხარეს არ გვექონდა. ჩვენ არ ვიცოდით, რომ თურქეთის ქართულ სოფლებში მარტო ქართული სიტყვა ისმოდა, ბევრი თურქულს მხოლოდ სკოლაში ან ჯარში სამსახურის დროს იგებდა პირველად. თურქეთელმა ქართველებმა არ იცოდნენ, რომ არსებობდა ქართული ანბანი, რომელზედაც წერა–კითხვას და ქართული ეროვნული კულტურის შექმნას აგრძელებდნენ ქართველები „რუსეთის“ საქართველოში.

ამ ვითარებაში ღვთის წყალობა იყო აჰმედ მელაშვილისა და მისი მეგობრებისათვის სტამბოლის ქართული სავანის აღმოჩენა, სადაც პირველად იხილეს ქართული წიგნები (კალანდია, 2008; 21–25).

1961 წელს აჰმედ მელაშვილმა სოფელ ჰაირიეში დააფუძნა თურქეთში ერთ-ერთი პირველი კოოპერატივი.

ამორგანიზაციის დაარსებითი მიზნად ისახავდა ქართველების განათლებისა და ბიზნესისთვის ხელის შეწყობას;

ინეგოლელორჩეულ ქართველ ახალგაზრდებს სამუშაო და გზავნიდა გერმანიაში.

იგი მთელთავის ენერჯიას და ფინანსებს ქართულს აქმეს

ქართველების ეთნიკური თვითშეგნების გამოღვიძებას ახმარდა. 1962 წელს, სოფელ ჰაირიეში, აკმეთმა დააარსა ქართული ხალხურის იმდერის ადაცეკვის ანსამბლი. ეს ანსამბლი მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა. ამავე პერიოდში აკმეთმელაშვილმა ქალაქ ინეგოლის ცენტრში დააფუძნა „კავკასიის კულტურის საზოგადოება“. იგი თანაბრად ზრუნავდა სხვა კავკასიელი ხალხებზეც, რომელთა წარმომადგენლებიც, ასევე, მუჰაჯირთა შთამომავლები იყვნენ. ამ ცენტრის შექმნით აკმეთი ცდილობდა, გადაერჩინა და შემოენახა კავკასიური კულტურა. აკმეთმელაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არამხოლოდ ქართველებს შორის, მას დიდ პატივს სცემდნენ თურქეთში მცხოვრების ხვაკავკასიელი ხალხებიც. აკმეთმელაშვილმა მიზნად დაისახა სოფელ ჰაირიეში ქართული კულტურის სახლის აგება. მშენებლობა ქართველთა მიერ გაღებული შემოწირულობებით ხორციელდებოდა და დასრულდა აკმეთის მკვლელობის შემდეგ. ამჟამად ეს სახლი – როგორც ქართული კულტურის კერა – მოქმედია დამის საქმიანობას ადგილობრივი ქართველები წარმართავენ.

1968

წელს აკმეთმელაშვილმა თურქულენაზე გამოცაწიგნი „გურჯისტანი“. წიგნში მოთხრობილია საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, ლიტერა-ტურის, ხელოვნების და ფოლკლორის შესახებ. აკმეთს წიგნის გამოცემაში ფინანსურად სხვა თურქეთელი ქართველებიც დაეხმარნენ. წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელ თურქეთის ქართველობაში და მან, რასაკვირველია, თურქეთის ხელისუფლების ყურადღებას მიიქცია. აკმეთმელაშვილი დააპატიმრეს, ბრალად წაუყენეს ისლამისა და თურქეთის უპატივცემულობა, ასევე, კომუნისტური იდეების პროპაგანდა. იგი ორი თვის განმავლობაში იყო დაპატიმრებული. შემდეგ კისას ამართლო მგაათავისუფლდა წიგნის გავრცელების ნებადართო. „გურჯისტანი“ გამოცემა ეპოქალური მოვლენა იყო თურქეთის ქართველებისათვის. იქაურ ჩვენებურებს პირველად მიეწოდა თრეალური მასალა ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.

ახმედ მელაშვილის სახელს უკავშირდება თურქეთის ისტორიაში პირველი ქართული ჟურნალის, „ჩვენებურის“ გამოცემა. პირველი ნომერი 1977 წელს დაიბეჭდა შვედეთში შანვერ აქინის (შალვა თევზაძის) მეცადინეობით. მელაშვილის სიკვდილის შემდეგ გამოცემა შეწყდა. განახლდა მკვლევრობიდან 13 წლის შემდეგ - 1993 წელს (გამოდიოდა 2006 წლამდე). „ჩვენებურებში“ იბეჭდებოდა ქართველთა ყოფა-ცხოვრების, კულტურის და ისტორიის ამსახველი მასალები.

ჟურნალი, ძირითადად, თურქულენოვანი იყო, მაგრამ მასში წარმოდგენილი იყო ქართულენოვანი სტატიებიც.

თურქეთის ქართველობის ეთნიკური თვითშეგნების გაღვივების თვალსაზრისით ამ გამოცემამ განსაკუთრებული როლი შეასრულა.

ჟურნალი „ჩვენებური“ წარმოადგენდა თურქეთის ქართველთა გამაერთიანებელ მნიშვნელოვან საშუალებას.

აჰმეთ მელაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ეროვნულ ფოლკლორს.

შეკრიბა თურქეთში გადასახლებულ ქართველებში შემორჩენილი ქართული ხალხური მემოქმედების ნიმუშები, ლეგენდები, გადმოცემები, საგვარეულო ისტორიები, ანდაზები, გამოცანები, სიმღერათა ტექსტები და სხვა მასალები.

მან თურქულად თარგმნა და გამოსცა ქართული ლიტერატურის ნიმუშები –

ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედება, გამოაქვეყნა სტატიები საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. აჰმეთ მელაშვილის ცოცხლის ბოლო წლებში თარგმნიდა

„ვეფხისტყაოსანს“, „მაგრამ მისი გამოცემა ვეღარ მოასწრო...“, „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის ერთი თავი გამოქვეყნებულია ჟურნალ „ჩვენებურების“ 1978 წლის N2/3-ში.

1980 წლის 5 ივლისს ახმედ მელაშვილს თავს დაესხნენ და მოკლეს. მძიმედ დაიჭრა მისი ვაჟი იბერია. ვინც არ უნდა ყოფილიყო დამკვეთი ან თავდამსხმელი, ფაქტია - მელაშვილი მისი მოღვაწეობის გამო გაწირეს... როგორც აღვნიშნეთ, ახმედ მელაშვილი მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი იყო და იგი XX საუკუნის 20-იან წლებში დაიბადა ბალიქესირის პროვინციაში. მაშინდელ ქართულ ოჯახებში ჯერ კიდევ ქართულად იდგამდნენ ენას პატარები (თურქულს მოგვიანებით სწავლობდნენ - როცა, სასკოლო ასაკს მიაღწევდნენ). ეს თაობათა ინერცია

იყო, ჯერ კიდევ მყარად რომ იჭერდა თვითშემეცნების ძაფებს. სამწუხაროდ, სიტყვა „ინერციის“ გამოყენება უადგილო როდია, - საკუთარი ქართველობის და ისტორიული სამშობლოს შესახებ მუჰაჯირთა შთამომავლებმა ცოტადა იცოდნენ. ქეთი ხანთაძე წერილში „აჰმედ ოზქან მელაშვილის გახსენება“წერს: „1943-ში 21 წლის მელაშვილმა პირველად გაიგო, რომ ქართველებს საკუთარი ანბანი ჰქონიათ... „ახალგაზრდა ჩვენებურებისათვის“, რომლებიც მანამდე ლათინური ანბანის საფუძველზე ცდილობდნენ ქართული წერა-კითხვის შესწავლას, ეს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა უნდა ყოფილიყო; იმ „ჩვენებურებისათვის“, რომელთაც ქართული ანბანის არსებობა არ იციან, ეს გრძნობა არცთუ უცხოა. რომელი ასოთი უნდა გამოისახოს თურქულში არარსებული ქართული ბგერები? თითქმის ყოველ ჩვენგანს აქვს ამასთან დაკავშირებული მხიარული თუ სევდიანი მოგონებები” (ხანთაძე, 2010:5). ეს მცირე ჩანაწერიც ცხადყოფს, რაოდენ რთული იყო ფესვების ძიება, საკუთარ ვინაობაში, წინაპართა ტრაგიკულ ისტორიაში გარკვევა. ახმედ მელაშვილმა ეძება და აღმოაჩინა კიდევ - რომ მდიდარი და რთული ისტორიის, მაღალი კულტურის მქონე ერის შვილი იყო, აღმოაჩინა თავისთვისაც და თანამემამულეებისთვისაც.

როგორც მკვლევარები ასკვნიან: ახმედმელაშვილისმოღვაწეობისშედეგითურქეთისქართველთათნიკური თვითშეგნების ზრდადაშემდგომიგანვითარებაა: მეოცე საუკუნის 90-იანიწლებიდანთანდათანობითძლიერდებათურქეთშიმცხოვრებიმუჰაჯირიქართველები სშთამომავლებისდიასპორები (სტამბოლში, იზმითში, ხენდეკში, დუზჯეში, ამასიაში, ადაფაზარში...). სადღეისოდსტამბოლშიგამოიცემორენოვანი (ქართულ-თურქული) რამდენიმეაკადემიურიჟურნალითუბიულეტენი; მათშორის, განსაკუთრებითაღსანიშნავიაორენოვანიჟურნალი “ფიროსმანი”(მისირედაქტორიაცნობილიმწერალი, მთარგმნელიდასაზოგადომოღვაწეფაჰრეთინჩილოღლუ (ფარნაჩილაშვილი)დასაინტერნეტოგამოცემა Chveneburi.Net; ასევე, არისრამდენიმესაინტერნეტოქართულირადიოდაა.შ. (გუჯეჯიანი, ფუტკარაძე, 2010). აჰმედ მელაშვილის ცხოვრება და შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ქართულ-

თურქულ კულტურულ ურთიერთობებზე და ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობებისადმი ინტერესის გაღვივებას.

აჰმედ მელაშვილის თანამოაზრე და ქართული მწერლობისა და კულტურის ამაგდარია **ჰაირი ჰაირიოღლუ (ვახტანგ მალაყმაძე):** ჰაირი ჰაირიოღლუ დაიბადაქართველმუჰაჯირთაოჯახში, სოფელ ჰაირიეში. ამავესოფლიდან იყო მისი მეგობარი და ქართველი კულტურული მოღვაწე აჰმედ ოზქანი (მელაშვილი).

წლების განმავლობაში მუშაობდა თურქეთის სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სხვადასხვა თანამდებობაზე. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას; აგროვებდა თურქეთის ქართველების ფოლკლორულ ნიმუშებს,

იკვლევდა მუჰაჯირობის ისტორიას; 1968 წელს აჰმედ ოზქანთან ერთად გამოსცა წიგნი „გურჯისტანი“. ჰაირიოღლუმ თურქულად თარგმნა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამრაჰჰმნა?!“, მოამზადა, თარგმნა და ორტომად გამოსცა „ქართულის აბავშვოზლაპრები“,

ასევე მუჰაშმედ ვანილიშისა და ალი თადილავას „ლაზების ისტორია“ (1992 წ.), ივანეჯავახიშვილის,

ნიკოზერძენიშვილისა და სიმონჯანაშის შრომების მიხედვით მომზადებული „საქართველოს ისტორია“ (1997) დასხვ. რამდენიმეჯერ ეწვია საქართველოს, პირველად 1977 წელს. გარდაიცვალა 2003 წელს; დაკრძალულია ქალაქ ინეგოლის სასაფლაოზე.

ქართველთა ეთნიკური იდენტობის გადარჩენისათვის ახმედ მელაშვილი, ვახტანგ მალაყმაძე და მათი თანამოაზრეები XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყებენ აქტიურ მუშაობას. ვახტანგ მალაყმაძემ მოამზადა, თურქულად თარგმნა და გამოსცა „ქართულის აბავშვოზლაპრები“. წიგნი ორტომეულის სახით დაიბეჭდა და გამოცემის თანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ვახტანგ მალაყმაძემ წელიწად–ნახევარი შრომა ლაზთა ისტორიისა და წარმომავლობის საკითხების კვლევაზე. ერთ–ერთი პირველი ნაშრომი,

რომლითაც თურქულისაზოგადოებადათვით ლაზები გაცნენ ლაზთა ისტორიის, წარმომავლობისა და კულტურის საკითხებს იყო ვახტანგ მაღალაყმაძის მიერ თურქულად თარგმნილი და 1992 წელს გამოცემული მუჰამედ ვანილიშისა და ალი თანდილავას „ლაზების ისტორია“.

ამნაშრომის გავრცელებით დაიწყო ლაზთა ტრადიციული კულტურის შენარჩუნებისათვის ბრძოლა და აღნიშვნა იმობიექტური რეალობისა, რომ ლაზთა ეთნოგენეზის ისტორია ქართველთა განუყოფელია.

ვახტანგ მაღალაყმაძე ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. 1997 წელს საგამომცემლოსახლის „სორუნიანილარ“-ის მხარდაჭერით გამოიცა მის მიერ თურქულენაზე თარგმნილი ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას „საქართველოს ისტორია“. წიგნი განმეორებით 2000 წელს გამოსცეს. 1998 წელს დაგანმეორებით 2005 წელს გამოიცა ვახტანგ მაღალაყმაძის მიერ მომზადებული, შედგენილი და თურქულად თარგმნილი ნაშრომის სახელწოდებით „ტრაპიზონიდან აფხაზეთამდე –

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ხალხების ისტორია და კულტურა“. ნაშრომი წარმოადგენს რამდენიმე ავტორის პუბლიკაციების ნაკრებს ვახტანგ მაღალაყმაძისეული მეცნიერული ანალიზით. კრებულში წარმოდგენილია ქართველების (ჭანების/ ლაზების, მეგრელების, სვანების) ტრადიციული ყოფისა და კულტურის საკითხები, ასევე მოწოდებულია ზოგადად საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაბმული თხრობაც უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის შუა წლებამდე. კრებულში ქართველთა გვერდით წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა – აფხაზთა და ოსთა – ისტორია და ყოფა, ასევე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა (ხემშინები, ჩეჩნილები) ისტორიისა და კულტურის საკითხები. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ვახტანგ მაღალაყმაძე იყო აქტიურისაზოგად აღმომღვაწე.

იგი ქართული იდენტობისა და კულტურის გადარჩენისაკენ მიმართული ყველაკეთილი წამ

ოწყებისმონაწილე, მხარდამჭერიდახშირშემთხვევაშიინიციატორციყო.
ვახტანგმალაყმაძემორწმუნემუსლიმიგახლდათ,
მაგრამნებისმიერსაზოგადოებრივიშეხვედრისდროსავითარებდააზრს,
რომმთავარიქართველებისერთიანობაა, მიუხედავადრელიგიურიგანსხვავებულობისა
(გუჯეჯიანი, 2012: 43)

ვახტანგმალაყმაძესაქართველოშირამდენჯერმემოიწვიეს. პირველად 1977
წელსესტუმრაწინაპრებისსამშობლოს.

იგიმონაწილეობდაქართულილიტერატურისადმიმიძღვნილსიმპოზიუმებში,
ილიასადააკაკისსაიუბილეოსადამოებში.

ვახტანგმალაყმაძესაქართველოსკულურისსამინისტრომსთხოვაიუნუსემრესნაწარმოებ
ებისთარგმნა. მანქართულიდანთურქულადთარგმნაალექსანდრეჩხაიძისპიესა „ხიდი“.
პიესატრაპიზონისსახელმწიფოთეატრისრეპერტუარშიშევიდადახანგრძლივიდროითდა
მკვიდრდა. ვახტანგმალაყმაძესნათარგმნაქვესქართველმწერალთაშემოქმედება,

რომელიცგამოიცასახელწოდებით „12 ქართველიმწერლისმოთხრობა“. 1960
წელსვახტანგმალაყმაძემდაწერალექსი - "ბედნიერებისმათხოვრები",
რომელიცმთელთურქეთშიდიდიპოპულარობითსარგებლობდა.

ამლექსზედაიწერამუსიკადაიგი 60-იანიწლებისპოპულარულსიმღერადიქცა.

თურქეთში მოღვაწე ეთნიკურ ქართველებს ქართულ ენაზე მხატვრული
ლიტერატურა მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე თითქმის არ შეუქმნიათ, თუ
არ ჩავთვლით მათ ზეპირსიტყვიერ შემოქმედებას. ცნობილ მუჰაჯირ პოეტთაგან
აღსანიშნავია ნური ეფენდი თავდგირიძე, რომლის პატრიოტული პოეზიაშიც
სამშობლოს მონატრებული კაცის სულიერი ტრაგედიაა გადმოცემული. სამწუხაროდ ამ
ნიჭიერი შემოქმედის ბიოგრაფია და შემოქმედება ჯერ-ჯერობით უცნობია.

ისმაილ

ყარა(შავიშვილი):

თურქეთშიმცხოვრებქართველთაეროვნულიცნობიერებისგაღვივებისსაქმეშიმნიშვნელო
ვანიროლიშეასრულამწერალმაისმაილყარაშავიშვილმა,

რომლისთურქულენოვანიშემოქმედებისმთავართემათურქეთშიმცხოვრებიქართველებ
ისყოფა–ცხოვრებისმხატვრულიწარმოსახვაა.

ისმაილშავიშვილისქართულიცნობიერებამთელიძალითარისგამოვლენილიმისმხატ
ვრულშემოქმედებაში, კერძოდ, რომანში „მაჭახლისუღელტეხილი“,
რომლისქართულითარგმანიგამომცემლობა „აჭარამ“ 1992 წელს 20 000 ტირაჟითგამოსცა.
წიგნიქართულენაზეთარგმნესმწერლისმეუღლემატიოჯესარაჩმა (მიღმაძემ)
დამწერალმაემენდავითაძემ.

ისმაილშავიშვილისეროვნულმაცნობიერებამკიდევუფრომძლავრიგამოვლინებაჰპოვ
ამხატვრულინარკვევებისიმციკლში, რომელშიცმან 1989
წელსსაქართველოშიმისიმოგზაურობისშედეგადმიღებულიშთაბეჭდილებებიიაღწერა.
ამმოგზაურობასგანსაკუთრებულმნიშვნელობასდაემოციურსიმძაფრესსძენდაისფაქტი,
რომამითმწერალმადამისიოჯახისწევრებმაპირველადნახესთავიანთიისტორიულისამშო
ბ–ლო.

ისმაილშავიშვილისპუბლიცისტურინარკვევებისციკლიუაღრესადსაინტერესოაიმითაც,
რომიგითურქეთშიმცხოვრებიჩვენებურებისეროვნულყოფასთანდაცნობიერებასთანდაკა
ვშირებულისაჭირობოროტოსაკითხებისშესახებაცგვაწვდისგარკვეულინფორმაციას.

მწერალთავისიმოდვაწეობისერთ–
ერთუმთავრესმოვალეობადჩვენებურებისზეპირიშემოქმედებისშეგროვებასმიჩნევდა.
მისიმიზანიყოთურქეთშიმცხოვრებქართველებშიგავრცელებულითქმულებებისშეგროვ
ებადაცალკეწიგნადგამოცემა. სამწუხაროდ,ისეგარდაიცვალა,
რომ ვერმოასწრო ჩვენითანამემამულეებისზეპი–
რსიტყვიერებისნიმუშებისცალკეწიგნადგამოცემა(ნიკოლეიშვილი 2015: 257–275).

სულეიმან **ინაშვილი**
(**ინოდლუ**):სულეიმანიინაშვილისპოეტურიშთაგონებისუმთავრესწყაროსჩვენსქვეყანაშიმ
იმდინარეისდიდმნიშვნელოვანიეროვნულ–
პოლიტიკურიმოვლენებიწარმოადგენდა,რასაცშედეგადსახელმწიფოებრივიდამოუკიდე
ბლობისადდგენამოჰყვა. ასე,რომმისილირიკულიპოეზია XX საუკუნის80–90–

იანიწლებისსაქართველოსისტორიისშთამბეჭდავიეპიზოდებისპოეტურიწარმოსახვისმცდელობაა.

სულეიმანიანაშვილის შემოქმედებითნააზრევიგანსაკუთრებითსაყურადრებოაიმთვასაზრისით,რომიგიითურქეთშიმცხოვრებქართველმუჰაჯირთაშთამომავალთაგანერთერთიპირველიშემოქმედი,რომელიცწინაპართამშობლიურენაზეცდილობდათავისიგულისტქმისგამოხატვას.

1991წელს,ჩვენებურებისსიმღერაში“გამოქვეყნებულინპატარალექსისგარდა,სულეიმანიანაშვილისეწავიდაამქვეყნიდან,რომარცსაქართველოშიდამითუმეტესარცთურქეთში,ქართულენაზედაწერილითავისიარცერთინაწარმოებიარდაუბეჭდავს.ზოგიერთხელნაწერშიიგითავისთავსსულხანისსახლეთაცმოიხსენიებდა(ნიკოლეიშვილი 2015: 275–294).

გურამ ხიმშიაშვილი (მუსტაფა იაკუტი):გურამხიმშიაშვილისარედაქციოსაგამომცემლოსაქმიანობასეწევა. ამთვალსაზრისითგანსაკუთრებითმნიშვნელოვანიაიმისიმონაწილეობაჟურნალ„ჩვენებურის“გამოცემისაღდგენისსაქმეში.

ესჟურნალიახმედმელაშვილმადაშენვერაქინმა (შალვათევზაძემ) დააარსეს1977წელს,მაგრამახმედმელაშვილისმკვლელობისადა 12 სექტემბრისსახელმწიფოგადატრიალებისშემდეგმისიგამოცემაშეწყდა.

ხანგრძლივიდროისგანმავლობაშიმდინარემოსამზადებელისამუშაოებისშედეგად,1993წელსქალაქბურსაშიმოწ-

ვეულსაგანგებოკრებაზემიღებულიიქნაგადაწყვეტილებაჟურნალისგამოცემისაღდგენასთანდაკავშირებით. განახლებული„ჩვენებურის“ პირველინომრები1993

წელსბურსაშიგამოიცა,1994წლიდანკიჟურნალისტამბოლშიმისდახურვამდე,2006წლამდე სამთვეშიერთხელგამოდიოდათურქულენაზე. მასშიქვეყნდებოდაწერი-

ლებისაქართველოსისტორიისადათანამედროვეყოფის,ქართულიენის,კულტურის,ლიტერატურისადახელოვნებისშესახებ.

გურამხიმშიაშვილიიყოჟურნალისსაგამომცემლოსაბჭოსწევრი,ავგარებდაჟურნალისგამო

ცემასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმეებს, ჩართული იყო გამოსაქვეყნებელი მასალების შერჩევის პროცესში და ჟურნალის დაბეჭდვასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ პრობლემათა პრაქტიკულ მოგვარებაში.

2007–2011 წლებში გამოდიოდა ორენოვანი (ქართულ–თურქული) ჟურნალი „ფიროსმანი“, რომლის მთავარი რედაქტორი იყო ფარნა–ბექა ჩილაშვილი, ხოლო გენერალური კოორდინატორი – გურამ ხიმშიაშვილი.

გურამ ხიმშიაშვილი წერილებსა და კვლევებს და ორივე ჟურნალში. მის პუბლიკაციათა დიდ ნაწილს ინფორმაციული ხასიათის ადავტორი მათი მემკვიდრეობით რავალსაინტერესოვნობას გვაწვდის ქართულ–თურქულისტორიულ, ლიტერატურულ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობათა შესახებ.

გურამ ხიმშიაშვილი თურქეთში პირველია, ვისაც ამ ქვეყნის კულტურის ადატურიზმის სამინისტრო მოფიციალურად დასცა პროფესიონალი ქართულ ენოვანიგიდის სერთიფიკატი, იგი იმავდროულად პროფესიონალი ინგლისურ ენოვანიგიდის სერთიფიკატის მფლობელიცაა. გურამ ხიმშიაშვილის ტამბოლში 2000 წელს დაარსებული თურქეთ–საქართველოს განათლების ადაკულტურის ფონდის დამფუძნებელი – თასა ბჰოსუცვლელი წევრიცაა (ნიკოლეიშვილი 2015: 294–319).

მურად

შაჰინი (ძნელად):

მიუხედავად იმისა, რომ მურად ძნელად მარცისტორიკოსია და არც ფილოლოგი მან თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ჩვენებურების ისტორიულ და თანადროულყოფასთან დაკავშირებული მასალებების ადამათის ულიერი კულტურის წარმომჩენი ფოლკლორული ტექსტების ჩაწერა და ისახად დიდი წარმატებით აცგანახორციელა.

მურად ძნელად მწლებს მანძილზე დიდი მუშაობა ჩაატარა უნიელ ქართველებში, მოაგროვა უამრავი მასალა – ლოცვები, სიმღერები, ანდაზები. ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერა ორი ნაშრომი „უნიელი ქართველები (ჩვენებურები) (340 გვ.) და „ქართული ენა უნიეში ჩვენებურისას იტყვარი“ (291 გვ.).

ესნაშრომებიში შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერული დირექტურულ მითითებებს მქონე ინფორმაციას თურქეთის შავი ზღვისპირეთში, კერძოდ კი ქალაქ უნიესა და მის შემოგარენში, მცხოვრებ ქართველების შესახებ.

მნიშვნელოვანია ისიც რომ მსგავსი ხასიათის ადგილების მასალა ხსენებულ რეგიონში მცხოვრებ ჩვენებურთა ქართულ მეტყველებასთან, ქართულ ენოვან ფოლკლორთან და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ყოფასთან დაკავშირებით დღემდე არავის შეუგროვებია.

მურად მნელაძის მიერ შესრულებული სამუშაოს შემთავრების მიმართულებებია:

უნიეს ქართულ დასახლებათა ისტორიულ-

გეოგრაფიული თავისებურებანი საღწერა და დახასიათება.

თურქულ არქივებში მოძიებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საქართველოდან ოსმალიეთში მუჰაჯირების დროს ქართველთა გადახვეწისა და უნიეში დამკვიდრების ისტორია; კონკრეტულად ქართველთა ძირითადი საცხოვრებელი სოფლების დაფიქსირება; შეძლები სადაგვარად უნიეში მცხოვრებ ჩვენებურთა ყოფაცხოვრების სპეციფიკური მხრების გაცნობა და ინტერესებული პირებისთვის; დღემდე უცნობი მრავალი ნიშნის (ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, ანდაზები, ბრძნული გამონათქვამები, სიმღერათა ტექსტები, გამოცანები, შელოცვები, წყევლები) ჩაწერა.

მურად მნელაძემ შეადგინა საკმაოდ დიდი მოცულობის თურქულ-

ქართული განმარტებითი ლექსიკონი, სადაც აღწერულია დაგანმარტებული რამდენიმეათასი სიტყვა უნიეს რეგიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებიდან.

ხსენებული ლექსიკონის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის ფაქტი, რომ ამ რეგიონის (და არამარტო ამ რეგიონის)

მკვიდრთა შორის ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობის მზარდი შემცირების გამო მურად მნელაძის მიერ აღწერილი ჩვენებურთა ქართული ლექსიკონი დანამჯერა და ცუკვებზე ვერა მათა დაკარგული და ბევრი ცოველ დღიურადი კარგება.

ხსენებული ლექსიკონი კი ამდენა კარგის რეულურად გარჩენის დაწერილობითი სახით შენარჩუნების საიმედო გარანტიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მურად მნელაძის წიგ

ნშიერთკონკრეტულ რეგიონში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ქართულ ენოვანილექს იკააწარმოდგენილი, იგი იმავდროულად მთელი თურქეთში მიმოფანტულ ქართველთა ქართული მეტყველების შესა-სწავლა და ცწარმოადგენს უნიკალურ მასალას.

ბოლო პერიოდში მურად მხელაძე აქტიურად მუშაობს თურქეთელ ქართველთა ყოფის დამიძღვნილ ბელეტერის ტულ ტექსტზე, რომელსაც ქართულ ენაზე წერს. ამნაწარმოების შექმნის უმთავრესი მიზანია, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიულ და თანამედროვე მდგომარეობაზე და მხატვრული ფორმით მოგვითხროს მათ ყოფასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ეპიზოდები.

„ვეფხისტყაოსანი“: ცნობილი ფაქტია, რომ დიდი ქართველი მოღვაწე აჰმედ მელაშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში ქართულიდან თურქულად თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ მისი გამოცემა ვეღარ მოასწრო. „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ ენაზე თარგმნა სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორმა ბილალ დინდარმა. მან ვეფხისტყაოსნის არსებობის შესახებ შეიტყო საფრანგეთში ყოფნის დროს სორბონის უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი შერვაშიძისაგან, მაგრამ იმ ხანებში ის დასავლეთ ევროპული ფილოსოფიით იყო დაინტერესებული და „ვეფხისტყაოსანს“ დრო ვეღარ დაუთმო. 1990 წელს საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნახა კოლექცია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებისა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე. რაკი ვერ იხილა პოემის თურქული თარგმანი გაუჩნდა სურვილი „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ენაზე ამეტყველებისა, მაგრამ ქართული სალიტერატურო ენის უცოდინრობს გამო (მან იცის აჭარული დიალექტი) ძლიერ გაუჭირდა პოემის გაგება, ამიტომ ისარგებლა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული (სერგი წულაძის) და აზერბაიჯანული (აჰმედ ჯევადის) თარგმანით. ამ საქმეში მას დახმარება გაუწია აზერბაიჯანული ენის და ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ ზეინელაბიძინ მაკასმა. თურქულ ენაზე პოემა გამოცემულია სამსუნში 1991 წელს.

თარგმანის წინასიტყვაობაში ბილალ დინდარი ორიოდ სიტყვით მიმოიხილავს ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი და თურქ ხალხს აწვდის ცნობებს მწერლისა და ნაწარმოების შესახებ.

როგორც მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე ასმათ ჯაფარიძე აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის თურქული თარგმანი, ჯერ არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. იგი შეუსწავლელია როგორც მეცნიერული, ასევე ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. რუსთველის სახეობრივი სისტემის თარგმნისას ბილალ დინდარი მრავალი სირთულის და წინააღმდეგობის წინაშე დგება, რომლის დაძლევას ის ვერ ახერხებს. პოემის თურქული თარგმანის გამომსახველობით საშუალებებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მხატვრულ სახეებში ჩადებული აზრი სწორად არის გაგებული, მაგრამ დაჰკრავს გამარტივების ელფერი და შორს არის ორიგინალისთვის დამახასიათებელი ხიზლისგან. მიუხედავად ზემოთქმულისა, პოემის თურქულ ენაზე არსებობის ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა მისი ერთადერთი ღირსება შინაარსობრივი თანხვედრაა ორიგინალთან. მართალია პოემის თარგმანი მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი უეჭველია, გააღვივებს თურქი საზოგადოების ინტერესს „ვეფხისტყაოსნისადმი“ და გახდება ბიძგი ახალი, უფრო სრულყოფილი თარგმანის შექმნისა (ჯაფარიძე 2004:264–273).

ქართული ლიტერატურის შედეგის, „ვეფხისტყაოსნის“, თურქულ ენაზე სრულყოფილი თარგმნა მომავლის საქმედ გვესახება და, იმედია, ქართველი და თურქი ლიტერატორები ამ საშურ საქმეს ერთობლივად განახორციელებენ.

1.3. მიმდინარე თურქულ–ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი

თურქული ლიტერატურისა თუ ლიტერატურის ისტორიის კვლევა ქართულსამეცნიერო სივრცეში მეოცე საუკუნის ბოლოსკენ საერთოდ მივიწყებული იყო. საქართველოში მიმდინარე დიდმა პოლიტიკურმა პროცესებმა და ქვეყანაში არსებულმა მძიმე ვითარებამ თითქოს ასახვა ჰპოვა მეზობელი ქვეყნების ლიტერატურისა და კულტურის კვლევების საქმეში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისიდან ყინული დაიძრა და თანდათანობით დაიწყო არა მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობა, არამედ თურქული მწერლობისა და ლიტერატურის ინტენსიური კვლევაც. ტრადიციულად ქართველი თურქოლოგები თურქული ენის სხვადასხვა საკითხებს სწავლობდნენ, და საერთოდ,

საქართველოში თურქოლოგია საკმაოდ დაშორდა ამ დარგში მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტის კვლევის სფეროებს. როგორც თურქული ლიტერატურის მკვლევარი და ცნობილი მთარგმნელი თამარ ალფენიძე მიუთითებს თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში კრიტიკული წერილებიც კი არ არსებობს. ახლოაღმოსავლეთის რეგიონში თურქული ლიტერატურა ერთგვარ ფენომენს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ისტორიული არსებობა სხვა ქვეყნების ლიტერატურასთან შედარებით ხანგრძლივი არ არის (ალფენიძე 2006:3–4). თანამედროვე თურქული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია ყველა ის თვისება, მიმართულება თუ მეთოდი, რაც ზოგადად პოსტმოდერნისტებს ახასიათებს – ირონია, ირეალიზმი. რეალობის შეფასებაში, ოცნებების, ფიქრების ფასეულობების გამოხატვაში, თავგანწირვის, გმირობის, ესთეტიკური ღირებულებების გამოხატვაში იგრძნობა სარკაზმი.

თურქული ლიტერატურის „დაჩქარებულ განვითარება“ სხვადასხვა ლიტერატურათა ურთიერთკავშირის და ზეგავლენის უნივერსალურ სიბრტყეში იკვეთება, თავის თავში მოიცავს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის კანონზომიერების გამოვლინებებს, გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე გულისხმობს კონკრეტული უცხო მწერლობის ზეგავლენას; ნასესხები ჟანრებისა და მეთოდების ნაციონალურ ლიტერატურასთან შესისხლხორცებას. პოსტმოდერნული ლიტერატურის გაძლიერება და განვრცობათურქეთში ოღუზ ათაისა და ორჰან ფამუქის სახელებთანაა დაკავშირებული.

თურქულმა ლიტერატურამ წარმოშობიდან დღემდე საკმაოდ საინტერესო, არატრადიციული გზა გაიარა, რაც ხალხის ერად, საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესზე აისახა. საინტერესოა ასევე ის ფაქტორი, რომ მასში თავისებურად აისახა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საფეხურები, რაც თურქული საზოგადოების ეროვნული წარსულის გაგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია (ალფენიძე 2006: 12).

თუ მეოცე საუკუნის ბოლოს არსებულ, ზემოთ აღწერილ, ვითარებას გავითვალისწინებთ, ბოლო ოცწლეული შეიძლება განვითარების უფრო მაღალ საფეხურად ჩაითვალოს ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობებისა და თუნდაც,

მხატვრული ნაწარმოებების თარგმანის თვალსაზრისით. პირველ რიგში, საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად გვესახება თურქეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების ქართულენოვანი შემოქმედებითი მხატვრული ტექსტები და ის დიდი მთარგმნელობითი, კულტურული და საგანმანათლებლო მოღვაწეობა რასაც ისინი ორივე ქვეყანაში ეწევიან.

თანამედროვე თურქული ლიტერატურის რამდენიმე წარმომადგენელი (ფაჰრედინ ჩილოღლუ (ფარნა-ბექა ჩილაშვილი), ემრეფ ილმაზი (მახარაძე), სულეიმან ინოღლუ (ინაშვილი) გარდა თურქული ენისა, ქართულადაც წერენ მხატვრულ ტექსტებს. მართალია მათი შემოქმედების ქართულენოვანი ნიმუშები მხატვრული ოსტატობის მხრივ თურქულ ენაზე დაწერილ მათსავე ნაწარმოებებს ვერ შეედრება, მაგრამ ამჯერად მთავარი და არსებითი ეს კი არ არის, არამედ ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ოთხსაუკუნოვანმა ყინულმა დნობა დაიწყო. პირველი და უმთავრესი მოვლენა, რასაც ჩვენებურების მიერ შექმნილ ქართულენოვან პოეტურ ტექსტებზე საუბრის დროს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, სენტიმენტალიზებული ფორმით გამოვლენილი ის სიყვარული და მონატერბის გრძნობაა, რასაც მათი ავტორები გამოხატავენ დედა მემლექეთისადმი (ნიკოლეიშვილი, 2015: 236).

უმით ოსმანაღაოღლუ: 2014 წელსთბილისში ქართულენაზე გამოიცა უმით ოსმანაღაოღლუს გახმარებული, მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „ლაზივორე“, რომელშიც ისტორიული სიმართლის მოთხრობილი მშობლიური მხარის წარსულის და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები.

უმით ოსმანაღაოღლუს მონათხრობს განსაკუთრებულ დირსებებს სძენს ის ფაქტი,

რომ ავტორი დაუეჭვებლად,

მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალებს ადამყარარგუმენტებზე დაყრდნობით,

უსვამს ხაზს იმეთნიკურ ერთობას რითაც ქართველები და ლაზები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული.

უმით ოსმანაღაოღლუს მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს მწერლური შემოქმედების ერთ-ერთ შთამბეჭდავ

ნიმუშად. უმით ოსმანიოლლუს მონათხრობს განსაკუთრებულ ღირსებას სძენს ის ფაქტი, რომ ავტორი დაუეჭვებლად, მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალებსა და მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით, უსვამს ხაზს იმ ეთნიკურ ერთობას, რითაც ქართველები და ლაზები არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ბატონი უმითის წიგნის შეფასების ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ თურქეთში მცხოვრებ ლაზთა არცთუ მცირე ნაწილს ამ ერთობაზე დღესდღეობით საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ლაზებს სულ სხვა ეთნიკურ ხალხად მიიჩნევს და კატეგორიულად უარყოფს ქართველებთან მათ გენეტიკურ სიახლოვეს. „საუკუნეებისგანმავლობაში იმდენჯერ გადაგვცა–გადმოგვცეს.

ისტორიამისეთი ძალით და გვიტრიალათავსეს ის ხლიანი ბორბალი, რომ მიკვირს კიდეც, საერთოდ როგორ გადავრჩით დაროგორ მოვიტანეთ დღემდესული, ლაზური ენა, კულტურა . ამგადაცემ–
გადმოცემაში ადგილი დასახელი არ შეგვიცვლია, ჩვენმა შინა ცქანები, ანუ ლაზები ვიყავით და ლაზები, ანუ ცქანები ვართ დღესაც.

დღეს კი, იშვიათად, მაგრამ მაინც, როცა მესმის, როგორ აიგივე ბენ ლაზს თურქებთან გული მიტკივა. ჩემი გმირული წარსულის გამომქმამა ყება ჩემი ლაზობა!“ –

ეს სიტყვები უმით ოსმანიოლლუს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, უმით ოსმანიოლლუს წიგნს მისმა ქართველმა მეგობარმა გიორგი ანდრიაძემ მართებულად უწოდა ქართველთა და ლაზთა კიდეც უფრო მეტად დამაკავშირებელი სულიერი ხიდი (ოსმანიოლლუ, 2014: 3–122).

უმით ოსმანიოლლუს წიგნი კომპეტენტურად განიხილა პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა, მისი დასკვნებით ამ წიგნით ავტორმა ორი დიდმნიშვნელოვანი საქმე გააკეთა წარმატებით: პირველი და უმთავრესი ის, რომ ლაზეთის ისტორიის წიაღში ჩაღრმავებამ და თავისი ლაზური ფესვების ძიებამ იგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დააბრუნა ისტორიულ ავბედობათა გამო გაუცხოებულ იმ სამყაროში, რომელიც მათთვისაც ისე ვე მშობლიურია, როგორც ჩვენთვის. ამ თვალსაზრისით ბატონი უმითის წიგნი ფაქტობრივად საქართველოსკენ, ქართველური სამყაროსკენ მომავალი გზაა, იმ ჭეშმარიტებასთან პიროვნული ზიარებით განცდილ ემოციათა ლიტერატურული

ხორცშესხმა, რომ ლაზი, ქართველი, მეგრელი, სვანი – ყველა ერთი ტალახიდან მოზელილნი ვართ“ (ოსმანადაოღლუ. 2014: 67).

უწინარეს ყოვლისა, აქედან გამომდინარე, აქცია ავტორმა თავისი ეროვნული თვალთახედვის განმაზოგადებელ ფორმულად ის სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც ქართველურ ტომთა ეთნიკური ერთობის მისეული გაგება ამ სახით გამოხატა: „მე ვარ ლაზი, მაშასადამე–ქართველი!“

და მეორე, არანაკლებ ფასეული და საგულისხმო – ღრმად ემოციური თავისი მონათხრობით უმით ოსმანადაოღლუმ, საზღვრისმილმა მცხოვრებ ლაზთაგან პირველმა, სიღრმისეულად და ყოვლისმომცველად დაგვანახა ჩვენგან საუკუნეთა განმავლობაში ფიზიკურად მოწყვეტილი და გარკვეულწილად უცხოდქმნილი ლაზური სამყარო (ნიკოლაიშვილი, 2015: 349–365).

ქევსერ რუჰი(ქეთი ხანთაძე): ქევსერ რუჰი დაიბადა თურქეთში, გიონენში, 1961 წელს. 1978 წელს დაამთავრა თექირდაღის ქალთა პედაგოგიური ლიცეუმი, ხოლო 1983 წელს ანკარის ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ქევსერ რუჰი წარმოშობით ქართველია, მისი წინაპრები ბათუმიდან არიან. მას ქართველები ვიცნობთ, როგორც ქეთევან ხანთაძეს. ქართულ ენაზე 2016 წელს გამოიცა ქევსერ რუჰის ორი წიგნი: „ქარვის ქალები“ და „ჭოროხივით მოღელავდა შენი გრძელი თმები“. „ქარვის ქალები“ მოთხრობების კრებულია, რომელიც ქართულად აამეტყველეს ნანა ჯანაშიამ, მაყვალა ხარეზავამ და ნანა კაჭარავამ. ამ წიგნს მიანიჭეს ცნობილი ლიტერატორის, ნაჯი გირგნსოის, პრემია. ეს ჯილდო თურქეთში საუკეთესო პირველი წიგნისთვის გადაეცემა ავტორს.

2009 წელს ქევსერ რუჰის მეორე წიგნი გამოვიდა – „ჭოროხივით მოღელავდა შენი გრძელი თმები“ (თარგმნა თამარ თევდორაძემ), რომელსაც თურქულ ლიტერატურულ წრეებში შესაშური გამოხმაურება მოჰყვა და უხვადაც დააჯილდოვეს დიდ თურქი მწერლის, ორჰან ქემალისა და ცნობილი ჟურნალისტის, აწ გარდაცვლილი რეჰა მალდენის სახელობის პრემიებით. ამ წიგნში ქევსერ რუჰი მისთვის ჩვეული სევდანარევი იუმორითა და საოცარი სინატიფით აღწერს იმ ადამიანთა ბედ–იღბალს, რომელნიც

ისტორიული უკუღმართობით ჭოროხის გაღმა ნაპირზე აღმოჩნდნენ. ჩუმი იყო ტკივილი დაშორებისა, არ ჩანდა იმედი ხელახლა შეყრისა დედამამიშვილებთან, ნათესავთან, სისხლ-ხორცთან, რომელთანაც, ისინი თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ჩაკეტილმა საზღვრებმა, ორ სახელმწიფოს შორის ჩამოშვებულმა რკინის ფარდამ დააშორა... ორად გაყოფილი ქართული სამყარო –ჭოროხს გაღმა და გამოღმა...

ქვესერ რუჰი წერს საბავშვო მოთხრობებსაც. ის რედაქტორობდა ორენოვან (თურქულ-ქართულ ენებზე გამოდიოდა) ჟურნალს „ფიროსმანი“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ ქართულ დიასპორაში, არამედ მთელ თურქეთში. (ხანთაძე, 2016–1:3–5) თავისი მეორე წიგნის წინასიტყვაობაში ქვესერ რუჰი წერს: ანკარაში ვცხოვრობ. გავუწიე რედაქტორობა ჟურნალ „მაჭახელასა“ და ორენოვან(ქართულ-თურქულ) ჟურნალ ფიროსმანს. ასევე ჩემი რედაქტორობით გამოიცა თურქულ ენაზე დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“. მე მეკუთვნის აგრეთვე ქართული ენიდან თარგმნილი მოთხრობებისა და სხვადასხვა სახის შინაარსის წიგნების რედაქტირებაც. ქართული ენიდან ვთარგმნე წიგნებიც(ხანთაძე, 2016: 2: 3–5).

ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ), მიმდინარე ქართულ-თურქულ ლიტერატურულ პროცესებში ყველაზე გამორჩეული ფიგურაა თურქეთში მცხოვრები ქართველი მწერალი, ჟურნალისტი ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაჰრეთინ ჩილოღლუ), წლების მანძილზე ქართულ-თურქული ჟურნალების „ფიროსმანის“, „ჩვენებურის“, „მამულის“ რედაქტორი, არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის „ქართველების ისტორიისა“, ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, ერლომ ახვლედიანის, დავით ტურაშვილის ნაწარმოებთა მთარგმნელი, არაერთი პოეტური თუ პროზაული კრებულის ავტორი, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მთარგმნელი თურქეთელი ქართველებისთვის.

თურქეთში მცხოვრები ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და მკვლევარი ფარნა-ბექა ჩილაშვილი დაიბადა უნიეს რაიონის ერთ-ერთ ქართულ სოფელში. მისი მოღვაწეობა მოიცავს საგანმანათლებლო, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ სფეროებს. ტაო-კლარჯეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველებსათვის კულტურული იდენტობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, რადგან, ერთი მხრივ, საქართველო, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, გარკვეული დოზით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას თურქეთელი ქართველების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის მუდმივად მნიშვნელოვანი იყო მშობლიური ენისა და ტრადიციების შენარჩუნების საკითხი. საქართველოს თავისუფლების მოპოვების შემდეგ ორმხრივი ინტერესები კიდევ უფრო გაფართოვდა და კულტურულ-ეკონომიკურ ასპექტებს დაუკავშირდა. ამ მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა თურქეთში მცხოვრებ წარმოშობით ქართველთა კულტურული იდენტობის პრობლემა.

ფარნა-ბექაჩილაშვილი, ქართველი მუჰაჯირების შთამომავალია. იგი ამჟამად სტამბოლში ცხოვრობს და, მწერლობასთა ნერთად, მთარგმნელობით და ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწევა. მრავალი წლის განმავლობაში ენციკლოპედიურ გამოცემებში მუშაობდა. 1993-1997 წლებში აღდგენილ ჟურნალ „ჩვენებურს“ რედაქტორობდა, შემდგომ კი ჟურნალ „მამულს“ გამოსცემდა. 2007 წლიდან 2010 წლამდე თურქეთში მის მიერვე დაარსებული თურქულ-ქართული ჟურნალის – „ფიროსმანის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორის – „ქართველების ისტორიისა“, 1993). 2004 წელს გამოსცა პოეტური კრებული „აპრილის ლექსები“, მოთხრობები სწიგნები – „დამტოვე შორს“ და „უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“.

ტაო-კლარჯეთში მცხოვრები ქართველის კულტურული იდენტობის ფორმირების კუთხით საინტერესოა ფარნა-ბექა ჩილაშვილი სლიტერატურული ტექსტები. მწერლის მოთხრობების კრებული „სასაზღვრო ფიქრები“ 2006 წელს ქართულადაც ითარგმნა.

2007 წელს სტამბოლში გამოიცა მწერლის მოთხრობების ახალი კრებული „უჩინმაჩინი“. როგორც კრიტიკოსი მოთხრობაში „უჩინმაჩინის“ გმირის უკიდურესად უბრალო და რეალურ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში ინტერესმოკლებული მდგომარეობა, სიტუაციის უფრო ძლიერად გამოხატვის წყალობით, ისეთ სურათად გარდაიქმნება, რომლის ყურებაც არაფრით მოგბეზრდებათ. და ნაცვლად იმისა, რომ დაინტერესდეთ,

თუ ვინარის, რა არის უჩინმაჩინი, მოთხრობის მსუბუქ, ჰაეროვან ატმოსფეროში იმოდუნებას ამჯობინებთ. „უჩინმაჩინი“ მოთხრობის ფესვებს შეგვახსენებს. ის ზღაპრისა და ლეგენდის ერთმანეთში შერწყმით ჩვეულებრივი ადამიანების გმირის ტახტრევანზე დამსმელი ქმნილებაა. „მეფე სოლომონის“ სახელით დასათაურებული მოთხრობის გმირი იმ ჩვეულებრივ ადამიანთაგანია, რომელმაც ყოფიერების შესახებაც კი არ იცოდა არაფერი და უცებ „მეფე სოლომონად“ გარდაიქმნა. მოთხრობა „შამორთი ქალი“ კავკასიის კულტურაში არეკლილი ბერძნული მითოლოგიაა. მწყემსი პირამუსი, ყველა გაგებით ზევსი და სოფლის ყველაზე ლამაზი გოგო, შამორთი ქალი, ევროპის უფრო რეალისტურ ვერსიას ქმნიან. თუმცა, ჩილაშვილის თხრობის ტექნიკის მიზანს ეპიკური და ლეგენდის ჟანრის სწავლება არ წარმოადგენს. ზეაწეული და გაზვიადებული ტრაგედია „უჩინმაჩინის“ მსუბუქ ატმოსფეროში ფორტეპიანოზე დაკრულ იმისამდრევიტ დნება და ადამიანებში იღიმის იწვევს. მკითხველი უმაღ გრძნობს, თუ როგორ გადადის შეუმჩნეველად ალაგ-ალაგ მსუბუქი იუმორი დაცინვაში. და ამ მოთხრობებს, ძირითადად, სერიოზული, მკაცრი მოთხრობების ნაცვლად სასიამოვნო და ლამაზი ინტონაციის მქონე მოთხრობებად აღიქვამს.

წიგნში თავმოყრილი ოცდაორი მოთხრობა განსაზღვრული ლოგიკური წესრიგით – ოცნება, ოცნების მიღმა, ზღაპარი, ზღაპრის მიღმა, რეალობა, რეალობის მიღმა, ამ ფორმით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი. მოთხრობები განსხვავებულ თემებზე შეჩერებით, სხვადასხვა შემთხვევებზე მოგვითხრობს. ძირითადად კი ეს არის ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვობის მონატრება, გეოგრაფიული წიაღსვლა. და ჩილაშვილის მიერ ერთმანეთის მიყოლებით გადმოცემული ყოველი ადგილი სიყვარულითაა წარმოდგენილი, ყოველი მოთხრობის ძირიდათი სიუჟეტი სიყვარულია. ჩილაშვილის მოთხრობებში ცხადი და გაუგებარი განსაზღვრული ქრესტომათიაა, რომელიც ბოლოს წინადადებებად ადამიანის გონებას მისამდრევიტ აეკვიატება. ეს წინადადებები ხშირ-ხშირად მეორდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სულაც არ ქმნის მოსაწყენ და მონიტორულ ატმოსფეროს. მწერლის ენა, რომელიც მსუბუქ ტემპში მიიწვევს წინ, სინამდვილეში ძალიან ახლოსაა ლექსის ენასთან. ამასთან, გრძნობთ, თუ როგორ შედიხართ ადგილადგილ ლექსის ფაზაში. „მსხლის ხის ჩრდილი“ პირველი

მოთხრობაა, რომელშიც ლექსისტემპისკალო დგას: „თეთრეული ქარის სიმღერაზე მოცეკვავე ბალერინებს მოგაგონებდათ. თანაც რათეთრი იყო. თანაც მისი კუთხის მაქმანები“ ...კრებული “უჩინმაჩინი”ჩვენთვის მომავალი მდგომარეობებიდან ძალიან ნაცნობია. ის ალევორიებისა და იუმორისგან შემდგარი წიგნია. ის ჩვენთვის უცნობი, თუმცა, ჩვენს გონებაში სწრაფად ჩამწვდარი, მდიდარი გეოგრაფიისა და ენის დროშას ატარებს (სერჩე, 2007). 2012 წელს გამოიცა ჩილაშვილის კიდევ ერთი წიგნი ქართულად. „სანამ თოვს“, სადაც ქართულად დაწერილი მოთხრობაც არის შესული. ფარნაჩილაშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაში საინტერესო და რის წარმოდგენილი მულტიკულტურული გარემო და იდენტობის პრობლემები. მოთხრობაში „ასიეს თეთრი ცხენები“, ერთ-ერთი პერსონაჟი, ეპრატულა ასე არიგებს ასიეს: „ხომ იცი, ჩვენ სხვა მიწიდან მოსული ხალხი ვართ, ჩვენთან ქალები ცხენებზეც სხდებიან და იარაღსაც ხმარობენ... არ უნდა და გვავიწყდეს, რომ ეს ადგილი, სადაც ახლა ვცხოვრობთ და ჩვენი ისტორიული სამშობლოს ხვადასხვა ისტორიის მქონე მიწებია. მაგრამ შენც შეგიძლია ჩვენი ტრადიციების გაგრძელება“ (ჩილაშვილი, 2012: 26-27).

ისტორიული და კრიტიკული ესეების კრებული „ერთი წვეთი ლიმონი“ ფარნაბექა ჩილაშვილის პუბლიცისტურ წერილებს აერთიანებს. მრავალმნიშვნელოვან მოვლენაზე, ისტორიულ ფაქტებსა თუ თანადროულ პრობლემებზე შექმნილი სტატიები და ესეები ავლენს ავტორის ინდივიდუალიზმს, შეუპოვარ, კრიტიკულ დამოკიდებულებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. ესეებში ვლინდება ავტორის ინტელექტუალიზმი, ენციკლოპედიური განათლება და არაჩვეულებრივი მხატვრული სტილი, საკითხის დასმისა და გადაწყვეტის არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზრი კი საკითხის განხილვას მეტ ობიექტურობას სძენს.

ჩვენი კვლევისათვის უთუოდ საინტერესოა არაერთი ესე და განსაკუთრებულია მსჯელობა ემიგრაციის ორმაგ კოდირებაზე, ორმაგი იდენტობისა და ორგვარი პრობლემატიკის შესახებ: „ემიგრაციისა და ემიგრანტების ისტორიას, როგორც წესი, ორი ქვეყნის ისტორია ანადგურებს ხოლმე. ერთი ამ ადამიანების მიერ დატოვებული ისტორიაა, მეორე კი იმ ქვეყნისა, სადაც ემიგრანტები მიდიან დასახლდებიან.

ემიგრანტების მიერ დასახლებულ ახალ არეალზე მათ მიერ შექმნილი ისტორია ამ სივრცის მკვიდრი ისტორიის შემადგენელი ნაწილი ვერ ხდება, პირიქით, ეს მათ მიერ დატოვებული არეალის ისტორიის ნაწილია. სამწუხაროა, რომ ამ ორი არეალის ისტორია ვერ ახერხებს ერთმანეთთან შერწყმას, ამიტომ ემიგრანტების ისტორია ნადგურდება“ (ჩილაშვილი, 2014:68). ფარნა-ბექაჩილაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა ინტერკულტურული ლიტერატურის ერთგვარ სიმბოლოსაც წარმოადგენს. მის შემოქმედებაში ასახულია ქართულ-თურქული ტრანსკულტურული ასპექტები და იდენტობის უნივერსალური მარკერები (პოპიაშვილი, 2018: ფარნა-ბექა ჩილაშვილის სასაზღვრო ფიქრები).

ფარნა - ბექა ჩილაშვილის პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს მაღალ შეფასებას აძლევს ქართული სალიტერატურო კრიტიკა, როგორც ბელა ჩეკურიშვილი წერს: ფარნა-ბექას მოთხრობებს თან სდევს მოგონებები რაღაც დაკარგულზე, სადღაც, მთების გადაღმა დარჩენილზე, ყველაფერი რაღაცნაირი ნოსტალგიით არის დაფერილი. ამავე დროს, ეს არის ადამიანური ისტორიები, მკვეთრი ტიპაჟებითა და მრავალფეროვანი სიტუაციებით. მწერალი კარგი მოთხრობელია, რომელიც სიღრმისეულად გრძნობს ადამიანის ფსიქოლოგიასაც და იმ მარადიული მომენტის მოხელთების ხელოვნებასაც, რითიც მკითხველს თავს ამახსოვრებს. ამავე დროს, ეს ამბები და ისტორიები რაღაც ახალი და უცხო სამყაროს კარს გვიხსნის, რომელზეც ჩვენ თითქოს ყველაფერი ვიცით, მაგრამ არ ვიცნობთ. და თუ გინდათ, ის ვინმეს შევადარო, ქართველი და კარგად ნაცნობი მწერლებიდან ემოციურად ალბათ რეზო ინანიშვილს შევადარებდი, წაკითხვის შემდეგ, სიამოვნებასთან ერთად, ყრუ ტკივილს რომ გიტოვებს გულში (ჩეკურიშვილი: 2016)

ფარნა-ბექა ჩილაშვილის სამწერლო საქმიანობას არ ჩამოუვარდება მისი მოღვაწეობა ქართულ - თურქული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებისთვის. იგი არის დაუღალავი მუშაკი სხვადასხვა საგამომცემლო და კულტურული საქმიანობისა თურქეთსა და საქართველოში. თავის ერთ-ერთ ასეთ საქმიანობას თვითონვე აღწერს წერილში გამომცემლობა „სინათლეზე“: ქართულ ლიტერატურის თურქულად გამოცემას დიდი ისტორია არა აქვს. ქართულ კულტურაზე და ქართველებზეც თურქულად ბევრი არაფერია დაწერილი. გამომცემლობა

„სინათლე აი ამ „დანაკლისის“ ცოტა შევსების მიზნით დაარსდადა ათი წლის განმავლობაში გამოცა რამდენიმე წიგნი. მაგრამ ძნელი სათქმელია, პირნათლად შეასრულა თუ ვერა თავისი მისია. თუ სხვაარაფერი, გამომცემლობა „სინათლე“ ალბათ თურქეთში მოღვაწე ქართველების გასავლელი ეტაპი იყო და ეგ ეტაპი გაიარეს. დაგვიტოვეს რამდენიმე წიგნი და ახლა ამ წიგნებზე მოგვიყვებით: გამომცემლობა „სინათლემ“ პირველად გამოსცა პოლჯ. მაგნარელას წიგნი, *Bir Köyün Serüveni* („ერთი სოფლის თავგადასავალი“) 1997 წელს. ამ წიგნის ინგლისური სათაურია *The Peasant Venture: Tradition, Migration, and Change among Georgian Peasants in Turkey*. წიგნი ინეგოლის რეგიონში მდებარე სოფელ ჰაირიეზეა და ზოგადად თურქეთში მცხოვრები ქართველებსაც ეხება. თურქეთში მცხოვრების მხრიდან წიგნს დიდი გამოხმაურება არ მოყოლია, მაგრამ *Bir Köyün Serüveni* მაინც მკვლევარებისთვის წყარო წიგნად იქცა.

მეორე წიგნი იყო *Rusya Federasyonu'nda ve Transkafkasya'da Etnik Çatışmalar* („რუსეთის ფედერაციასა და ამიერკავკასიაში ეთნიკური კონფლიქტები“). წიგნი 1998 წელს დაიბეჭდა. ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საანგარიშო მოხსენება, *Report on Ethnic Conflict in the Russian Federation and Transcaucasia* თარგმნა ნემენურდომანიჩმა და ამ თარგმნილს ფარნა-ბექაჩილაშვილმა (ფაჰრეთინ ჩილოღლუ) ბოლოდროინდელი მოვლენები დაამატა და წიგნად გამოცა. ამ წიგნში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რეგიონების შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია არსებობს.

იგივე წელს გამოვიდა ქართული პოეზიის მცირე კრებული, *Sıcak Hüzün* („თბილი სევდა“). „თბილი სევდა“ კი ეკა ბაქრაძის ამ კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსია. კრებულში ბაქრაძის გარდა გალაკტიო ნტაბიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანისა და თამაზ ჭილაძის ლექსებია გამოქვეყნებული. ეგ წიგნი ქართული პოეზიის პირველი თურქული კრებულია. ამ წიგნში შესული ლექსების მთარგმნელები არიან ჰასან ჩელიქი და ფარნა-ბექა ჩილაშვილი. წიგნს ფარნა-ბექა ჩილაშვილის მიერ მომზადებული ოცგვერდიანი შესავალი აქვს ქართული პოეზიის შესახებ.

Umut Uzun Yaşar („იმედი დიდხანს იცოცხლებს“) ქართული მოთხრობათა კრებულია. კრებულის ავტორებია არიან: გიორგი ციციშვილი, გურამ დოჩანაშვილი,

გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, რევაზ ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი და ოთარ ჩხეიძე. გარდა რევაზ ინანიშვილისა ყველა ავტორის თითო მოთხრობაა წიგნში დაბეჭდილი, ინანიშვილისა – სამი. მოთხრობები თარგმნეს ჰასან ჩელიქმა და ფათომ გურსოითირაკმა. 1998 წელს გამოვიდა ქართული და მეგრული ზღაპრების კრებული, *Falci Hoço'nun Masalı* („ხოჭო მკითხავის ზღაპარი“). წიგნში ცამეტი ზღაპარია და მათ შორის ერთ-ერთი მეგრული ზღაპარია – „ხოჭო მკითხავის ზღაპარი“. ზღაპრების მთარგმნელები არიან ირინე გოცირიძე, ჰასან ჩელიქი, ჰულია ჩილოღლუ და ფარნა-ბექა ჩილაშვილი.

1998 წელს გამოიცა ერთ-ერთი წიგნი *Georges Dumézil'le Konuşmalar* („ქორჟ დუმეზილთან საუბრები“). დიდიე ერიბონი ესაუბრება დუმეზილს და ეგ ვრცელი ინტერვიუ ფრანგულად *Georges Dumézil Entretiens avec Didier Eribon* სახელითაა გამოცემული. კავკასიოლოგი დუმეზილი საკმაოდ საინტერესო მეცნიერია და ამ წიგნით თურქულენოვან მკითხველს მიეწოდა დუმეზილის მოსაზრებები. წიგნის მთარგმნელია ისმაილი ერგუზი.

გამომცემლობა „სინათლის“ საქმიანობა 1998 წლის ბოლოს ფინანსური პრობლემების გამო შეჩერდა და ოთხი წლის განმავლობაში ვერაფერი ვერ გამოსცა. 2002 წელს კი ცნობილი წიგნი, *Gürcü Köyleri* („ქართული სოფლები“) გამოვიდა. ამ წიგნის ავტორია ისმეთ ზადე დოკტორ მეჰმე დარიფი. პროფესიით ექიმი ისმეთ ზადეს სტამბოლიდან მოგზაურობს გემით ქალაქ სამსუნამდე და მერე ერთ ქართულ სოფელს მოინახულებს. ავტორი ძირითადად ამ სოფელზე და ზოგადად თურქეთში მცოვრები ქართველების ტრადიციებზე წერს. „ქართული სოფლები“ ოსმალეთის დროს თურქეთელ ქართველებზე დაწერილი ერთადერთი წიგნია. წიგნი თანამედროვე თურქულზე გადათარგმნა ფარნა-ბექა ჩილაშვილმა.

2002 წელს გამოვიდა *Borçka Mektupları* („წერილები შავშეთიდან“). ივანე ჯაიანის მიერ ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული ეგ წერილები წიგნად გამოსცა რამაზ სურმანიძემ 1991 წელს. თურქულად კი ფარნა-ბექა ჩილაშვილმა თარგმნა. წიგნი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ფარგლებში ხელახლად მოქცეული შავშეთის ტერიტორიაზე მომხდარ ამბავს გვაცნობს. თურქეთში ამ ტერიტორიიდან

გადმოსახლებულ თურქეთელ ქართველებისათვის საკმაოდ საინტერესო წიგნად იქცა “წერილებიშავშეთიდან”.

გამომცემლობა „სინათლემ“ 2003 წელს მხოლოდ ერთი წიგნი, *İstanbul Gürcüleri* („ქართველები კოსტანტინოპოლში“) გამოსცა. წიგნის ავტორია იტალიელი ევგენი დალესიო დალუჯიო. ფრანგულად დაწერილი წიგნი რვეულიდან შალვა ვარდიძემ ქართულად თარგმნა და წიგნი 1921 წელს სტამბოლის ქართული სავანის სტამბაში დაიბეჭდა. წიგნი სტამბოლის ქართულ სავანესა და აქ მოღვაწე ქართველებზეა და მარმარილოს რეგიონში გადმოსახლებულ ქართველებზეც საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია შეტანილია ამ წიგნში. წიგნი ქართულიდან თარგმნა ფარნა-ბექაჩილაშვილმა.

გამომცემლობა „სინათლემ“ 2004 წელს გამოსცა ფარნა-ბექა ჩილაშვილის სამი წიგნი: *Nisan Şiirleri* („აპრილის ლექსები“), *Beni Birak Uzaklara* („დამტოვე შორს“) და *Aşksız Mutluluk Yoktur* („უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“). იმავე წელს გურამ გეგეშიძის მოთხრობების კრებული – *Düş* („ოცნება“) და გოგი ჩაგელიშვილის მოთხრობების კრებულის – *Ressam* („მხატვარი“) გამოვიდა. ორივე ფარნა-ბექაშვილის მიერაა ნათარგმნი.

გამომცემლობა „სინათლემ“ კვლავ ორი წლით შეწყვიტა საქმიანობა. 2006 წელს კი *Acara Mektupları* („წერილები აჭარიდან“) გამოვიდა. წიგნის ავტორია აბდულ მიქელაძე. პუბლიცისტური წიგნი შეადგინა რამაზ სურმანიძემ და საქართველოში 1991 წელს გამოსცა. „წერილები აჭარიდან“ თურქულად კი ფარნა-ბექა ჩილაშვილმა თარგმნა. იმავე წელს *Borçka Mektupları* („წერილებიშავშეთიდან“) მეორედ დაიბეჭდა.

სინათლემ ორი წლის შემდეგ გამოსცა *Deda Ena* „დედაენა“ და თავისი მისია შეასრულა და დაიხურა. წიგნი თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვისაა მომზადებული გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით. ამ „დედაენის“ ავტორია ფარნა-ბექაჩილაშვილი. დედაენა მსურველებისთვის ქართულად წერა-კითხვის სწავლების მიზნითაა მომზადებული. თურქეთში ამ წიგნმა ქართულად წერა-კითხვის სწავლაში შეუწყობხელი.

თურქეთის ქართველების ისტორიაში ამ წამოწყების და გამომცემლობის შესახებ დღემდე არაფერია დაწერილი და ამის გამო ერთ-ერთმა „ავტორმა“საკუთარი თავი იძულებულად იგრძნო და დაწერა ეგ წერილი, რომ ისტორიას ჩაებარებინა გამომცემლობა „სინათლე“ (ჩილაშვილი, 2016).ფარნა - ბექა ჩილაშვილის ეს ელექტრონული სტატია თითქმის მთლიანად და უცვლელად იმიტომ მოვიტანეთ ნაშრომში, რომ თვალსაჩინო გაგვებადა მისი საქმიანობის მასშტაბები და ინტერესი ქართული მწერლობა და კულტურა გააცნოს თურქეთის საზოგადოებას.

ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობების სწორი გააზრებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფარნა–ბექა ჩილაშვილის შეხედულებებს ორმხრივ მთარგმნელობით თუ შემოქმედებით საქმიანობაზე. ის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თურქეთისმოსახლეობასგააცნოს ქართველინიჭიერიმწერლებიდაპოეტები. „უამრავიკაი, ნიჭიერიპოეტიდამწერალიგვყავსჩვენ, ეგენირომმსოფლიოსარგავაცნოთ, ცოდოა! ყველასახელსარჩამოვთვლი, მაგრამმინცცოტათანამედროვესახელს, გარდაახალითაობისა, დავასახელებ: ოთარჭილაძე, მიხეილჯავახიშვილი, ერლომახვლედიანი, ნოდარდუმბაძე, ჯემალქარჩხაძერომარვთარგმნო, ალბათ, თავსკარგადაცვერვიგრძნობ.მართლაცმაღალიდონისმწერლებიარიანდაარჰყავსმსოფლიო შიყველალიტერატურასასეთიკაიმიწერლები.თურქეთშიცდამსოფლიოშიცუნდაიცოდნენ, რამაღალიდონისლიტერატურაგვეკუთვნის, და, აბა, ჩვენ, ქართველები, ვინავართ, როგორუნდაავუხსნათუცხოელებს, თუხელოვნებასადალიტერატურასარვაჩვენებთ?..(წურწუმი, 2016; 1–2). როგორც მწერალი მიუთითებს წინა პერიოდებში არასწორადშერჩეულიუხარისხოწიგნებიდადაბალიდონისთარგმანი იყო. რაც შეეხება იმ სამ რომანს რაც მან თარგმნა ბოლო პერიოდებში უდა დაეხმაროს ქართულ და თურქულ საზოგადოებას კულტურულ–ლიტერატურული ხიდების გადებაში. ასეთ ლიტერატურული ნაწარმოებებია, მისი აზრით, ერლომ ახვლედიანის „კოლო ქალაქში“, ოთარჭილაძისრომანი „გზაზეერთიკაციმიდიოდა“, რომლის თარგმანზეც ამბობს, რომ: „გზაზეერთიკაციმიდიოდა“ შინაარსითადაენითისეთირომანია, რომმხოლოდფერომთარგმნოსკაცმა, უკვემთარგმნელადმოიხსენება.ნოდარდუმბაძის

„მზიანიღამე“ კიუფროადრეტარგმნა. ბოლო პერიოდის თარგმანებია (ნაწილი გამოცემულია, ნაწილი კი მზადაა გამოსაცემად): დათო ტურაშვილი - "ჯინსების თაობა" – Blucinliler, 2012; ერლომ ახვლედიანი - "კოლო ქალაქში" – Sivrisinek Şehirde, 2014; ნოდარ დუმბაძე - "მზიანი ღამე" – Güneşli Gece, 2014; ოთარ ჭილაძე - "გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" – Yolda Bir Adam Gidiyordu, 2015; მიეილ ჯავახიშვილი - "კვაჭი კვაჭანტირაძე" – Madrabaz Kvaçi, 2017; ნაირა გელაშვილი - "მე ის ვარ" – Ben Oyum, 2017; ერლომ ახვლედიანი - "ვანო და ნიკო" – Vano ile Niko, 2017; "არაჩვეულებრივი მოთხრობები" – Sıra Dışı Öyküler, 2017 (მოთხრობების კრებული) (გურამ დოჩანაშვილი, მაკა ლდოკონენი, გურამ ოდიშარია, მიხეილ მოსულიშვილი, ირაკლი სამსონაძე, ბექა ქურხული, გელა ჩქვანავა, ზვიად კვარაცხელია, ინა არჩუაშვილი, თეა თოფურია, კოტე ჯანდიერი, ბელა ჩეკურიშვილი, ირაკლი ლომოური, თამრი ფხაკაძე, ცოტნე ცხვედიანი, ზურაბ ლეჟავა, თეონა დოლენჯაშვილი, ბესოხვედელიძე, ანა-კორძაიასამადაშვილი, ლუკაბაქანიძე);

2017 წელს გამოვიდა ფარნა-ბექაჩილაშვილისახალითარგმანი - „თანხმეირასო-ბგერათაანთოლოგია - არაჩვეულებრივიმოთხრობებითანამედროვექართულილიტერატურიდან“ („Sessiz Harfler Antolojisi - Çağdaş Gürcü Edebiyatından Sıra Dışı Öyküler“) წიგნითურქეთში, ქალაქსტამბოლში, 2017 წლისბოლოს „ქართულიწიგნისეროვნულიცენტრისხელშეწყობით“გამომცემლობა „კალემკულტურის“მიერგამოიცა.

კრებულშიშევიდა 20 ცოცხალიქართველიმწერლის: გურამდოჩანაშვილის („მუსიკოსი“), გურამოდიშარიას („სიზმარ-ცხადი“), თამრიფხაკაძის („ომითუმშვიდობა“), კოტეჯანდიერის („კონკიასღამე“), ირაკლილომოურის („ჯო(რ)ჯო“), ზურაბლეჟავას („მაცივარილექსისაწილ“), ირაკლისამსონაძის („შემკრთალიქუჩა“), მიხომოსულიშვილის („ზამთარმამოიქნიაკუდ“), გელაჩქვანავას („დარეჯანკვარაცხელიასშურისძიებ“), ანა-კორძაიასამადაშვილის „ისტორიულიმეხსიერება“, ინაარჩუაშვილის („ბალბაწო“), მაკალდოკონენის („ბიშასბალიშები“), ბესოხვედელიძის („ჯადო“), ბექაქურხულის („სახლისხვაგან“), ბელაჩეკურიშვილის („პინარისმძივი“), თეონადოლენჯაშვილის („მორჩილება“), თეათოფურიას „სახლი“, ლუკაბაქანიძის („სადხარ, ლაზარე“),

ზვიადკვარაცხელიას

(„მზინდა“),

ცოტნეცხვედიანის („ანდერგრაუნდი“) მოთხოვნები. „თანხმეირასო-

ბგერათაანთოლოგიის“ გამოცემის მთავარი რედაქტორი ანერმინმოლლაოლლუ,

გამოცემის რედაქტორიაგიზენოზგუვენი,

გარეკანის დიზაინერი ბურაქკარაჯა,

წიგნის დიზაინერი აადემშენელი.

ქართული მოთხოვნების ამ მასშტაბის კრებული თურქულ ენაზე პირველად გამოვიდა.

ფარნა ბექა ჩილაშვილი რეალურად ასახავს ქართული ლიტერატურის თურქულად თარგმნის და მისი პოპულარობის საკითხებს და მიუთითებს, რომ თურქეთში მაღალი ხარისხის, ხარისხოვანი ლიტერატურის მკითხველი არსებობს დამის თარგმანებსაც კითხულობენ.

ქართული ლიტერატურა რომ პოპულარობით ვერსარგებლობს ჯერჯერო-ბით,

ეგეც მართალია. ამას რომ მთავარი მიზეზია ქვეს: ქართული პროზა ადრეც თარგმნა, მაგრამ ისეთი წიგნები არჩეული, მგონი, თურქეთის ქართველობის გაღვიძებას ემსახურებამათიაზრით, ვინცე წიგნები შეარჩია.

ხარისხოვან რომანებს თუ არმი ვაწოდებთ მკითხველს, როგორ უნდა დავაჯეროთ, რომ კარგი ლიტერატურა არის ქართული ლიტერატურა? დამაინც, წინანდელი იმეცდომების გასწორება არ არის ადვილი. აქაური ქართველები არ კითხულობენ ამ რომანებს,

იმიტომ, რომ საერთოდ წიგნს არ კითხულობენ. მათში ძალიან ცოტანი არიან და ინტე-

რესებულნი. ვერც ქართულად კითხულობენ, რადგან, საერთოდ, ქართულად წერა-

კითხვა არც იან, ანი მდონისა არ არის მათი ქართული, რომ რომანებს კითხულობდნენ.

რათქმუნდა, ამის გამო მემხალხს არ ვამტყუნებ (წურწუმია, 2016: 1-2). სწორად დანახული

პრობლემა უფრო საინტერესოს და ღირებულს ხდის ქართული ლიტერატურის

ნიმუშების თურქულ ენაზე ამეტყველების თვალსაზრისით ფარნა-ბექა ჩილაშვილის

ღვაწლს ჩვენი მწერლობისა და კულტურის წინაშე, რადგანაც მწერალს და მთარგმნელს

სწორად აქვს გააზრებული, რომ „საუკუნეების განმავლობაში ქართული მწერლობა

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ფაზებს სძლევდა და მოქნილად ესადაგებოდა

ინდივიდუალური ესთეტიკური ხედვებით გამორჩეული ეპოქების კულტურულ-

ლიტერატურულ მოთხოვნილებებსა და გემოვნებას“ (რატინი, 2015: 206-207).

ფარნა-ბექა ჩილაშვილის ქართული ღვაწლის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ იგი თანამედროვე თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, ლიტერატურულ სამყაროში ფართოდ ცნობილი პროზაიკოსი, პოეტი და ესეისტი, ძალიან მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ქართულმა თემატიკამ ფარნა-ბექა ჩილაშვილის მხატვრულ შემოქმედებაშიც დაიმკვიდრა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი(ნიკოლაიშვილი, 2011, 193).

ფარნა-

ბექა ჩილაშვილის ქართულ ენოვანიშემოქმედება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმიტომაც რომ მწვენივრთამთელი ისტორიის მანძილზე იგი ფაქტობრივად პირველი პროფესიონალი ქართველი მწერალია, რომელმაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი აბიჯების გადადგმას ცადა ქართულ ენოვანი ლიტერატურის შექმნის გზაზე. ქვესერ რუჰი (ქეთი ხანთაძე) და ფარნა-ბექა ჩილაშვილი ქართული მწერლობის მოამაგენი და ქართულ ენაზე მხატვრული ნაწარმოებების შემქმნელნი არიან. მათი შემოქმედებითი მოღვაწეობა ორი ქვეყნის ლიტერატურის და კულტურის დაახლოების უზადლო ნიმუშია.

ქართული მწერლობისა და მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება პროფესორი და ენათმეცნიერი **ჰარუნ ჩიმქე**, რომელიც სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მთარგმნელობით საქმიანობაშიც არის ჩართული. ის არის პირველი თურქი ქართველოლოგი, რომელმაც თავისი მეცნიერული კვლევის უმთავრეს მიმართულებად ქართული ენათმეცნიერება გაიხადა, წარმატებით განაგრძობს მოღვაწეობას ამ სფეროში. ჰარუნ ჩიმქემ 2015 წელს ქართულიდან თურქულ ენაზე მთარგმნა და თურქეთში გამოსცა „ქართული ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია)“ ჟუჟუნაფეიქრიშვილისა და რუსუდანი სადინამის თანაავტორობით, რომელიც თურქულ ენაზე მესრულელების სამეცნიერო ხასიათის პირველი ქართული ენის გრამატიკა გახლავთ.

მანვე მთარგმნა ასევე პროფესორ ჟუჟუნაფეიქრიშვილის „ქართველოლოგიის შესავალი“ (2017) და ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი კრებული — „ქართული კულტურა“ (2005),

ბესიკხარანაულის „წიგნიამბავიბესარიონისა“ (2015),
„თანამედროვექართულიმოთხრობები“ (2015), დათოტურაშვილის „გურჯიხათუნი“
(2015), ზვიადკვარაცხელიას „ფორმა 100“ (2016), ნინოსადღობელაშვილის
„თავშესაფარი“ (2016), გიორგისოსიაშვილის „მარტოსულთაზამთარი“ (2017),
შოთაარველაძის „გუმინ“ (2017) დარეზოთაბუკაშვილის „13 დღე“ (2017). ჰარუნ ჩიმქეს
სამეცნიერო და მთარგმნელობითი საქმიანობა ქართულ–თურქული ლიტერატურული
და ენობრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების საწინდარია.

საინტერესო სამეცნიერო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა ილიას
უსთუნიერი, რომელიც ქართულ აკადემიურ სივრცეში მოღვაწეობს და კარგად იცნობს
ქართულ კულტურას და მწერლობას. მისი შრომები და თარგმანები ასე გამოიყურება:
ალპატოვი, სოციოლინგვისტურიპრობლემებისაბჭოთადაპოსტსაბჭოთასივრცეში: 150
ენადაპოლიტიკა (1917-2000), „გეჯე“, ანკარა-
2016;თურქოლოგიისფუძემდებლისაქართველოში: სერგიჯიქია (ბიო-ბიბლიოგრაფია),
შემდგენელი: იადუდუჩავა. გამომცემლობა „ფალეთი“, კონია/თურქეთი –
2014;შრომებითურქულლიტერატურაზესაქართველოში(დისერტაციები), გამომცემლობა
„ფენომენი“, ერზურუმი/თურქეთი-
2013;ნარკვევებიქართულენასადალიტერატურაზე,გამომცემლობა „კაკნუსი“,
სტამბოლი/თურქეთი-2010;მთა„Kaf-ის“ სამხრეთიმხარე, საქართველო: იდენტობა,
კულტურა, ტრადიცია. გამომცემლობა - „კაკნუსი“, სტამბოლი/თურქეთი- 2010,
თურქულ-რუსულისასაუბრო (ლექსიკონით) (თანაავტორი: გულნარადიასამიძე),
შავიზღვისსაერთაშორისოუნივერსიტეტისგამომცემლობა,თბილისი-2006. ილიას
უსთუნიერი თავის ნაშრომებით საინტერესო სურათს ქმნის ქართული ლიტერატურისა
და კულტურის თურქული წყაროებისა და თარგმანების შესახებ.

საინტერესო კვლევები აქვს მუზაფერ ქირისქართულ–თურქულილიტერა-
ტურულიურთიერთობების,
თარგმანისთეორიისადაქართულიფოლკლორისსაკითხებზე. მას
გამოქვეყნებულიაქვსწიგნები„ლიტერატურულ–
კულტურულიპროცესებისაქართველოშიXX საუკუნისპირველნახევარში“თბილისი,2014;

„მე-20საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმოხილვა (პერიოდიზაცია-
ლიტერატურული მიმდინარეობები-
სტილი“, (თანავტორი: ავთანდილ ნიკოლეიშვილი), გამომცემლობა „გეჯე“, ანკარა, 2016.
ის მუდმივად აქვეყნებს სამეცნიერო შრომებს ქართული ლიტერატურის შესახებ.

თანამედროვე ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობები მრავალი
ფორმით ხორციელდება. ლიტერატურულ ურთიერთობათა ცალკეული ფაქტების
მოძებნას, შესწავლას, განზოგადებას, ლიტერატურული კონტაქტების როლის
წარმოჩენას დიდი ყურადღება ექცევა. საინტერესო ურთიერთობანი ყოველდღიურად
ახალ გზებს გვისახავს ამ ორი ქვეყნის მწერლობების დაახლოების მაგალითზე
გავიზროთ თუ რამდენად წაკითხვადი და ხელმისაწვდომი გახდება ქართული
მწერლობა თურქი მკითხველების და მწიგნობრების ფართო აუდიტორიებისთვის.

თურქულიდან თარგმანი: თურქული ლიტერატურით ქართველი მკითხველის
დაინტერესება განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში შეინიშნება. ლიტერატურის
კრიტიკოსები ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს ასე ხსნიან:
ძალიან ბევრი მსგავსება ქართულ და თურქულ კულტურას შორის ერთერთი მთავარი განმაპი-
რობებელი ფაქტორია. აქვეუნდა გავითვალისწინოთ თურქეთ-
საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რამაც გარკვეული კვალი დატოვა ქართულ კუ-
ლტურასა და ქართველი ხალხის ქვეცნობიერში, აღმოსავლური ესთეტიკის ხიბლი,
რომელიც მკითხველს იზიდავს. ფაქტია,
რომ თურქული ლიტერატურის ქართულად თარგმნას
მკითხველები დიდ სიხარულით ელოდებიან.

მხატვრული ნაწარმოების თარგმანი თარგმნელის განმოთხოვს გარკვეული კულ-
ტურული და სოციალური კომპეტენციების გამოყენებას და წყაროებიდან მიღებული ინფორ-
მაციის კომპლექსურ ანალიზს. ეს ყველაფერი ერთიანდებანტერ-ტექსტუალურობის
ცნებაში. მხატვრული ლიტერატურაში ინტერტექსტუალურობა გულის-

ხმობს ისეთ კავშირს ნაწარმოებებს შორის, როცა ერთი მათგანის ხვანაწარმოებს სათაურით,
პერსონაჟებით, მოქმედების დროითა და ადგილით ან სიუჟეტი თეხში ანება.

არსებობს ექსპლიციტური (პირდაპირი) ანიმპლიციტური (შეფარული)

ინტერტექსტუალურიკავშირებიტექსტსადასხვა, მანამდეშემნიღანმისთანამედ-
როვეტექსტებსშორის.სხვადასხვაჟანრისადაეპოქისტექსტებზემუშაობისასმთარ-
გმნელისათვისძალიანმნიშვნელოვანიაშემდლოსინტერტექსტუალურიანალიზი,
რაცთავისმხრივმდგომარეობსიმაში,
რომმთარგმნელიუნდაგაეცნოსკონკრეტულტექსტშიმოხმობილანგამოყენებულსხვატექს-
ტს, გამთლიანოსდაშეადაროსტექსტიდაინტერტექსტი;
მთარგმნელმაუნდაგაიაზროსროგორცძირითადიტექსტი, ისეინტერტექსტი.
მთარგმნელივალდებულია, ინტერტექსტუალურადგაანალიზოსსათარგმნიტექსტი,
თურომელტექსტსეხმიანებაავტორი, როგორდარისთვისიყენებსმას,
როგორიამწერლისდამოკიდებულებანაწარმოებთანდარაცმეიძლება,
კარგადგადაიტანოსსათარგმნენაზედედნისტექსტშიარსებულიექსპლიციტურიითუიმპლ-
იციტურიინფორმაცია, რაცერთ-ერთყველაზემნიშვნელოვანპრობლემასწარმოადგენს.
იმპლიციტურიინფორმაცია, რომელიცდამალულიატექსტში,
შეიძლება მთარგმნელმაგადმოსცესლექსიკურიდაგრამატიკულიკონსტრუქციებითშემცი-
რებულინგაფართოებულკონტექსტით.

ხოლოექსპლიციტიანუპირდაპირინფორმაცია, რომელიცარსებობსსათარგმნიტექსტში,
ხშირ შემთხვევაშიიზღუდებაროგორცგრამატიკულ, ასეველექსიკურდონეზე. ცნობილია,
რომ ყოველი ტექსტი არსებობს, როგორც წარსულისა თუ თანამედროვეობის
კულტურულ-ესთეტიკური სისტემების, როგორც საერთო კულტურული ტრადიციის
მიერ განსაზღვრული და განპირობებული მოვლენა. ტექსტი არ არის ზოგადი,
მრავალსაუკუნოვანი კულტურული სივრცისაგან გამოცალკევებული, ჰერმეტიკული
სივრცე ან მხოლოდ ერთი ესთეტიკური სისტემის ნაწილი. გარდა საკუთარი
ტექსტუალური სივრცისა, ის იქმნება, იკითხება, მოქმედებს ვრცელ, მრავალშრიან
კულტურულ არაელში, ტექსტთა ერთიან ინტერტექსტუალურ სივრცეში, სადაც
ურთიერთქმედებენ განსხვავებული ტექსტები. შესაბამისად თითოეულ ტექსტში
ასახულია ტექსტთაშორისი კავშირები, რაც ხდება კიდევ პოსტმოდერნიზმის
განსაკუთრებული ინტერესის საგანი და მუშავდება ინტერტექსტუალიზმის იდეის
საფუძველზე(წიფურია, 2016: 463–464).

თურქულიდან ქართულ მწერლობაში გადმოტანილი მხატვრული ნაწარმოებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში „ლიტერატურული პროცესების თვალსაზრისით თავის ძლიერების ფაზაში შეაბიჯებს ინტერტექსტუალობა, რაც გულისხმობს ტექსტის შინაგან კავშირებს, მიმართულს არა გარეთ, ცხოვრებისეული რეალობისაკენ, არამედ ნაციონალური და საერთაშორისო კულტურული წიაღისაკენ. დასავლური კანონი ახალ წესრიგს აწესებს, ხოლო პროცესი განსაკუთრებულ სიღრმეს იძენს გახსნილი საზღვრების პირობებში და თანდათან იპყრობს მსოფლიო სივრცეს (თუმცა ლიტერატურის კრიტიკოსების ერთი ნაწილის აზრით, აღმოსავლურმა კულტურამ ინტერტექსტუალობის თავისი მოდელი შესთავაზა მსოფლიოს და პირიქით გავლენა იქონია დასავლურ პროცესზე)(რატიანი, 2015: 189–190).

ქართულმა ლიტერატურამ განვითარების საკუთარი გზა განვლო, რომელიც დეტერმინირებული იყო ისტორიული რეალებითა და სინამდვილით, ცხოვრების წესითა და აზროვნების მოდელით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართული, ისე თურქული ლიტერატურა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყო ევროპულ მხატვრულ თუ ზოგადად კულტურულ ცნობიერებას, რაც ქართულ მწერლობაში აისახა თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში სპარსულ–აღმოსავლური მოტივებისა და თემების მოძალებით, მეცხრამეტე საუკუნიდანეს პროცესი, ახალი ლიტერატურული და წიგნიერი საზოგადოების განვითარებით დასრულდა. მეოცე საუკუნის პოსტკოლონიურმა რეალობამ ქართული მწერლობა მრავალგვარი ჟანრული ნარატივის მიების წინაშე დააყენა და უნდა დავეთანხმოთ მკვლევარს იმაში, რომ „თავისი თემებითა და სტილისტური მოდელებით, დისკურსული პლანებითა და ამოცანებით თანამედროვე ქართული მწერლობა გლობალური ლიტერატურული სამყაროს სრულუფლებიანი წევრია, მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი, და, ამავე დროს, არნახულად ორიენტირებული საკუთარ ღირებულებებზე(რატიანი, 2015: 206) სწორედ აქ იკვეთება ზემოთ აღნიშნული გამძაფრებული ინტერესი თურქული მწერლობისადმი ქართულ რეალობაში, რადგანაც, ვთვლით, რომ სწორედ ასეთივე ღირებულებებზე ორიენტირებულ კარგ მწერლობას თარგმნიან ჩვენი მთარგმნელები მეზობელი ქვეყნის პროზიდან და პოეზიიდან.

როცა დაიბეჭდა ვახტანგ კეკელიძის მიერ უზადოდ თარგმნილი ლექსების კრებული ნაზიმ ჰიქმეთისა, სხვაწიგნითურქული პოეზიისა ჩვენში არ გამოცემულა. თურქული პოეზიის ანთოლოგია, რომელიც 2018 წელს გამოიცა შეადგინეს მაცვალა ხარებავამდა ალექსანდრე ელერდაშვილმა.

ახალკრებულში შესულია ბევრი ცნობილი მთარგმნელის თურქოლოგის თარგმანები, ასევე მთარგმნელთა კლუბის წევრების ნაშრომები, რომელთა ძალიან დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. წიგნი მოიცავს თურქული პოეზიის ყველა გამოჩენილი წარმომადგენლის შემოქმედებას ადრეული შუა საუკუნეებიდან თანამედროვე ეპოქამდე, რომელიც თარგმნილია როგორც ცნობილი თურქოლოგებისა და მთარგმნელების ასევე მთარგმნელთა კლუბის გამოცდილი წევრების მიერ. ამგვარი ფართო პლანიანი რჩეული თურქი პოეტებისა ქართულ ენაზე ჯერ არ გამოცემულა. ეს წიგნი და აინტერესებს პოეზიის მოყვარულთა ფართო წრეებს, ასევე, საშუალებას მოგვცემს შევადწინოთ საინტერესო დამრავალფეროვან თურქულ სამყაროში.

ცნობილი ქართველი თურქოლოგის,

ჰალდუნ თანერისა და ორჰან ფამუქის უბადლო მთარგმნელის, თურქულ-ქართული აკადემიური ლექსიკონის რედაქტორის, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ ლია ჩლაიძის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 2009 წელს, შედგენილი თურქული პოეზიის ანთოლოგია, 100 ქართული ლექსითურქულად" გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა 2018 წელს. ორივე პოეზიის კრებული ძვირფასი შენაძენია ქართველი მკითხველისთვის, რადგანაც გემოვნებიანი პოეზიის გარდა, ამ თარგმანებში ასახულია თურქული პოეზიის განვითარების თანმიმდევრული პროცესი, რაც თვალსაჩინოს ხდის მის მნიშვნელობას თურქული პოეტური გზისა და პოეტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

თურქული პროზის თარგმნის თვალსაზრისით საქართველოში ბოლო ოცწლეული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც კრიტიკოსები მიუთითებენ ქართველი თურქოლოგები, კლასიკური ნაწარმოებების პარალელურად, პროფესი-

ონალურად თარგმნიან თანამედროვე მწერლების ბეტსელერებად ქცეულ ნაწარ-
მოებებს.

ორჰან ფამუქი თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის წამყვანი
მწერალი–ნოველისტია. იგი უფრო პოპულარულია საზღვარგარეთ ვიდრე საკუთარ
სამშობლოში. ფამუქის მკითხველთა რიცხვი მთელ მსოფლიოში დღითიდღე იზრდება.

ორჰანფამუქისრომანისნიშან-

თვისებატოტალიტარულიაზროვნებისთვისდამახასიათებელიანტროპოცენტრიზმისსწო
რხაზობრივი,

დეტერმინისტულიაღქმისსაწინააღმდეგოდ„ჭეშმარიტებათა“მრავალფეროვნებისწარმო
დგენაა. პოსტმო–დერნიზმისფილოსოფიისძირითადიპარადიგმაცმდგომარეობსიმაში,
რომსამყაროსუსასრულობაგანაპირობებსმისუსასროლოინტერპრეტაციებს,

ხოლო„გონებაარწარმოადგენსადამიანისსიძლიერისადაუნიკალობისწყაროს“.ლიტერატ
ურათმცოდნეები წერენ, რომ

ფამუქიმხოლოდგეოგრაფიულითვალსაზრისითშიეძლებაჩაითვალოსაღმოსავლურიტ
ერატორად, ის ძალიანევროპულიტიპისლიტერატორია.თუმცა უნდა გავიზიაროთ
მოსაზრება, რომ „ორჰან ფამუქის რომანების საერთო მახასიათებელი აღმოსავლურ –
დასავლური სამყაროს შეხვედრაა. ორჰანი თავადაც აღნიშნავს, რომ ის აღმოსავლურ
ფესვებზე ამოზრდილი დასავლური მანერებისა და მსოფლხედვის მქონე ადამიანია.
ევროპულობისაკენ სწრაფვა და გულისწყვეტა იმაზე თუ დღემდე რატომ ვერ გახდნენ
თურქები ევროპელები, მისი პოსტმოდერნისტული რომანის
ლაიტმოტივია“(გაფრინდაშვილი, 2017:1).

ფამუქის, 2008 წელს ქეთევან ტომარაძის მიერ თარგმნილი, რომანის „თეთრი
ციხესიმაგრე“, ძირითადი იდეა სწორედ ამ იდეას გამოხატავს: „ეს უთვალავფერი
ქვეყანა ღმერთმა ადამიანებს უბოძა ერთადერთ საცხოვრებლად და მიუხედავად
უამრავი განსხვავება–თავისებურებისა, ყველანი ერთნი ვართ – ადამის მოდგმა,
ადამიანები. ნებიმიერი მცდელობა კაცობრიობის გაყოფა–დაყოფისა კანის ფერის,
რელიგიური აღმსარებლობისა, ეროვნული თუ სხვა ნიშნით, ხელოვნურია და საბოლოო
ჯამში– დამლუპველი. მსოფლიო ერთობ პატარაა იმისათვის, რომ აღმოსავლეთი და

დასავლეთი ცალ-ცალკე, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილნი, უერთმანეთოდ არსებობდეს. აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და დასავლეთიდასავლეთი და ისინი აუცილებლად უნდა შეხვდნენ, საკუთარი სპეციფიკების, განსაკუთრებულობის შენარჩუნებით“ (ვახანია,2008: 5). აღმოსავლეთმცოდნეს, მთარგმნელისადაპოეტისგიორგილობჟანიძისაზრით, საქართველოშიარავინდალოდებია, სანამფამუქსმსოფლიოადიარებდა, მასნობელისპრემიამდეცკარგადიცნობდნენჩვენში:„რაცშეეხებაქართულთარგმანებს... ქართულიაღმოსავლეთმცოდნეობაარდალოდებიაიმას, რომფამუქიმსოფლიოშიელიარებიათდაგამოჩენისთანავედაიწყომისიშემოქმედებისშესწავლა. ჩვენიტურქოლოგები – თამუნაალფენიძე, ქეთევანტომარაძე, ნანაჯანაშიადალიაჩლაიძეაქტიურადშეისწავლიდნენდათარგმნიდნენმისნაწარმოებებს“. თავადფამუქი, მისიპირადიცხოვრებით, შეხედულებებითდაწერისმანერით, ცალკეთემაა.

XX საუკუნის 80-იანიწლებისტურქეთშიარავინელოდაასეთიმწერლისგამოჩენას, მწერლისა, რომელიცგულახდილიციყოდათამაშობდაკიდევაცკულტურულიმეტაფორებით. ფამუქში, შეიძლებაითქვასაღმოსავლურიდადასავლურილიტერატურულიტრადიციისშერწყმამობდა: „საერთოდალიანუცნაურიიყოფამუქისგამოჩენათურქულლიტერატურაშიდაკონკრეტულადიმსახისმწერლისგამოჩენა, როგორიცფამუქია. საკმაოდდარიბიათურქულილიტერატურა, განსხვავებითსხვააღმოსავლურილიტერატურებისგანდამასპრაქტიკულადთანამედროველიტერატურისეთიდონისჰქონდა, რომნაკლებსავარაუდოიყომმასშტაბისმწერლისგამოჩენა. თვითონთურქეთშიფამუქისმიუღებლობამემგონისწორედამითაცარისგანპირობებული, რომიგიპიროვნულიაქტითშემდგარიმწერალიუფროადადიდადგაუსწროდროსდათავისთანამედროვეთურქულლიტერატურას. თავისმხრივმისიპოლიტიკურიშეხედულებებიცამძაფრებს

პროტესტდახშირადგამიზნულიხასიათისარისხოლომე,
რათადასავლურისაზოგადოებისყურადღებამიექცია“(ხარბედია,2010)

ორჰანფამუქიერთადერთითანამედროვემწერალია,
რომლისყველაწიგნიცქართულადნათარგმნია (ანახლაითარგმნება).

გამომცემლობებისამგვარიმონდომებაკომხოლოდერთზემიანიშნებს:
ქართველმკითხველსმისიწიგნებიმოსწონს, შესაბამისად, ისინისხვა,
არანაკლებცნობილიმწერლებისწიგნებზეუკეთესადიყიდება. გამომცემლობა “დიოგენეს”
იმწიგნისგამოცემისუფლებაცკიაქვსმოპოვებული, რომელიცფამუქსჯერარდაუწერია.

თურქეთისადასაქართველოსწარსულშიხშირიაარაუბრალოდგადაკვეთისწერტილ
ები, არამედესთითქმისსაერთოისტორიასაუკუნეებისმანძილზე.
ასეთისიახლოვედაერთადცხოვრებისგამოცდილებაშესაძლოათურქიმწერლითდიდიგატ
აცებისერთ-ერთიმიზეზიციყოს. თურქულ-ქართულიყოფითირეალიებიმსგავსია.
მსგავსიაკომპლექსებიც, რომლებსაცპერიფერიაშიცხოვრებისგანცდააჩენს.
ფილოსოფოსიგეგაზედანარადიო “ცხელიშოკოლადის” გადაცემაში “წიგნები” (14. 03.
2013) აღნიშნავს, რომფამუქისკითხვისასმისთვისგამაოგნებელიაესფაქტი:
მიუხედავადორასიწლისგანმავლობაშისხვაკულტურის – რუსულ-სლავურიკულტურის
– ბატონობისქვეშყოფნისა, ბევრიშრემევენარჩუნეთ,
რომლებიცდღევანდელთურქულსაზოგადოებასთანგვაახლოებს,
თუმცაპირდაპირიკონტაქტიძალიანდიდიხანია, არგვექონია.
ესარისრადაცდავიწყებულისგახსენებაცდამავედროსგანცდა, რომტყუპისცალები,
რომლებიცდაბადებიდანვედააშორეს, ერთმანეთსხვდებიან –
მათშორისმსგავსებაცთვალშისაცემიადაგანსხვავებაც.

ორჰანფამუქიქართველიმკითხველისთვისბევრადუფროახლობელიდაგასაგებიაღ
მოჩნდა, ვიდრეთუნდაცპოლოსტერი, რომლისნიუ-
იორკიცმორეულდამიუწვდომელმეტროპოლისადრჩება. სტამბოლიაქვეა –
ნამდვილიცდაგამოგონილიც – ხელისგაწვდენაზე. როგორცჩემიმეგობარიამბობს,
ფამუქიჩვენებიჭიადამისიშეყვარებისერთ-ერთიმთავარიმიზეზიესუნდაიყოს.

ჩემიაზრით, მთელისაიდუმლოესარის(ტაველიძე, 2013).

ასეთია შეხედულებები ნობელის პრემიის ლაურეატ მწერალ ორჰან ფამუქზე ლიტერატურულ კრიტიკაში. გარდა ამისა, თარგმანების გამოჩენისთანავე დაიწყო ორჰან ფამუქის შემოქმედების კვლევა, ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს თამარ ალფენიძის სადოქტორო დისერტაცია და ელენე ჯაველიძის ფამუქის რომანების ინტერტექსტუალურობის კვლევა. ქართველი მეცნიერები მკითხველ საზოგადოებას მუდმივად აწვდიან ორჰან ფამუქის შემოქმედების სრულყოფილ ინტერპრეტაციას, რაც დღეისთვის მოკლე დასკვნის სახით ასე გამოიყურება: „ნობელის პრემიის კომიტეტის მშრალი დასკვნის სახით თუ ვიმსჯელებთ, თურქმა მწერალმა ორჰან ფამუქმა ცივილიზაციათა შეხვედრის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთის, ამ საკითხის ორიგინალური მხატვრული ინტერპრეტაციისთვის დაიმსახურა ნობელის პრემია და არა პოლიტიკური ანგაჟირების გამო, როგორც ხშირად შენიშნავენ მწარე ენები. ორჰან ფამუქი ხომ მსოფლიოს უამრავი პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. მისი შემოქმედების დამფასებლებისათვის ნობელი ჯილდოების ვრცელ ნუსხაში მხოლოდ მწერლური მოღვაწეობის შეფასების ლოგიკური გაგრძელებაა და სხვა არაფერი“ (ტომარაძე, 2006: 38) .

ელიფ შაფაქი მეორე პოპულარული თურქი მწერალია, რომლის ნაწარმოებებიც ქართველ მკითხველებში და სალიტერატურო კრიტიკაში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ის თურქეთის ყველაზე პოპულარული, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე მდგარი მწერალი ქალია და მთარგმნელთა და ინტერესებაც სწორედ ამიტომ გამოიწვია. ელიფ შაფაქი თურქულ და ინგლისურ ენებზე წერს და ამ დროისთვის მისი წიგნები ხუთ ათეულამდე ენაზეა თარგმნილი. ელიფ შაფაქი წერს ტრადიციებზე, გენდერზე, უმცირესობებზე, ემიგრანტებზე, სუბკულტურებზე, ახალგაზრდა და კოსმოპოლიტურ სულებზე. მწერლის წიგნების უმრავლესობა სუფიზმთან დაკავშირებული ისტორიული რომანებია. წერს აგრეთვე სიმღერებს როკ-ანსამბლებისთვის, ესსეებს პოლიტიკისა და კულტურის თემებზე. ელიფ შაფაქის რომანებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. შაფაქის წიგნები კოლოსალური წარმატებით სარგებლობენ თურქეთში, მათ მინიჭებული აქვთ თვალსაჩინო ეროვნული პრემიები, მრავალ ენაზე არიან თარგმნილი. 2007 წელს

თურქეთის წიგნების გამომცემელთა კავშირმა მწერალ ქალს სიტყვის თავისუფლების პრემია მიანიჭა. ხელოვნებათა და ლიტერატურის ორდენის (საფრანგეთი) კავალერი.

პოპულარული მწერლის ოთხი რომანი: „ღირსება“, „რწყილების სასახლე“, „სტამბოლელი ნაბიჭვარი“ და „სიყვარულის ორმოცი წესი“ ქართულ ენაზეა თარგმნილი და ბეტსელერადაა ქცეული მკითხველ საზოგადოებაში. კიდევერთიყველასთვისსაინტერესორომანი „ევასსამიქალიშვილი“ ითარგმანა, რომლის მთავარილაიტმოტივირელიგიურიდაეთნიკურიგანსხვავებაა. სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნავენ, რომ თურქულ ლიტერატურას ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა პროფესიონალი ადამიანები თარგმნიან, და შესაბამისად, ქართველ მკითხველს აქვს საშუალება ორიგინალისმსგავსადშთამბეჭდავიტექსტი წაიკითხოს.

ქართულ საგამომცემლო სივრცეში დღითიდღე იზრდება ინტერესი თურქული ლიტერატურის თარგმანის საქმეში. გამომცემლობა „აგორამ“ ბოლო წლებში სხვა ქვეყნების მწერლებთან ერთად რამდენიმე თურქი მწერლის ნაწარმოებზე გამოჩნდა, რომელთაც ცნობილ მთარგმნელებთან ერთად ახალგაზრდა თაობის პროფესიონალებიც თარგმნიან. ეს ნაწარმოებებია: ნათსინ იუჯელის „ვათანდაში“ (თარგმნა ირინა ლაბაძემ), საიტ ფაიკ აბასიანიკის „უსარგებლო კაცი“ (თარგმნა თამარ ნონეშვილმა), ჰაქან გიუნდაის „დასაბამიდან დასასრულამდე“, „კიდევ“, „მალაფა“ (თარგმნა ირინა ლაბაძემ) მალე გამოვა ჰაქან გიუნდაის „ზიიანი“, ჩილერ ილქანი „გადასახლება“ (თარგმნა ნანა ჯანაშიამ), ამავე გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი თურქი მწერლის აჰმედ ჰამდი თანფინარის „სიმშვიდე“; გამომცემლობა **სიესტამ** გამოსცა ოია ბაიდარის „დაფერფლილები“ (თარგმნა ნანა ჯანაშიამ), ნაზიმ ჰიქმეთის „სანამ დრო გვაქვს მვირფასო“ (მთარგმნელი ოქტაი ქაზუმოვი),ნერმინ ბეზმენის „კურტ სეიდი და შურა“ (თარგმნა ნანა ჯანაშიამ); **ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ** დაბეჭდა ომერ სეიფედინის ნოველები „პირველი ცოდვა“ (თარგმნა გიორგი შაყულიშვილმა), ჰალდუნ თანერის „სანჩოს გასეირნება“ (მთარგმნელი ლია ჩლაიძე); გამომცემლობა **უსტარმა** გამოსცა რეშათ ნური გუნთეჟინის „ნარჩიტა“ (თარგმნა ლანა მანველმა), საბაჰათინ ალის „მადონა ბეწვის მანტოში“(თარგმნა ნანა ჯანაშიამ).

მიმდინარე ორმხრივი მთარგმნელობითი პროცესი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული კულტურულ–ლიტერატურული ურთიერთობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჭეშმარიტებას, „თარგმანის ფართო მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის მართლაც განუსაზღვრელად დიდია“ (ჭელიძე,1989:296). ლიტერატურული პროცესის ერთ–ერთი გამორჩეული უბანი – ქართულად და ქართულიდან თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები ხელს უწყობს ტექსტების ინტერტექსტუალობის საშუალებით ორი მეზობელი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების დაახლოებას. ხელოვნურდ შექმნილი ბარიერი, რაც საუკუნეების განმავლობაში აფერხებდა ინტერკულტურულ საგანმანათლებლო ურთიერთობებს ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სწორ კლაპოტში მოაქცია.

თურქეთის ისტორიისა, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში, რაც დღესაც არ მინელეებულა. უამრავი მონოგრაფია, დისერტაცია, სტატია, გამოკვლევა დაიწერა თურქული ენის თავისებურებების, ქართულ ენაშიშემოსული თურქული სიტყვების, ქართულ–თურქული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

ქართულ –თურქული ურთიერთობის კვლევა დაიწყო მასშემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას, ასევე ლიტერატურას. მათ შეისწავლეს თურქული გრამატიკის წესები, ქართულ–თურქული ენობრივი ურთიერთობები, – ქართულში შემოსული თურქული სიტყვები, თურქულ ენაში და დიალექტებში შესული ქართული სიტყვები, საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის საარქივო მასალები ენობრივი თვალსაზრისით, ორჰუნის წარწერების ენა, ქართულ–თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართული და თურქული ენის ტიპოლოგიური პარალელები, ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგია, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები (ხინთიბიძე, 2011: 17) აქვე უნდა აღინიშნოს,ბათუმისშოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტისქართველოლოგიის

ცენტრის დაუღალავი შრომა ქართულ–თურქული კულტურული, ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის საქმეში. ეს ცენტრი ინტენსიურად იკვლევს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას.

თავი II

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ცხოვრება და შემოქმედება

2.1. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფია

მეცხრამეტე–მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე (1844-1912) თურქეთში, რეფორმების დროის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულმა ახალმა კულტურულმა წრემ და ამ კულტურული წრის საზოგადოებამ, ერთის მხრივ, უმაღლესი ხარისხის ლიტერატურული ნაწარმოებებს და, მეორეს მხრივ, ამ ნაწარმოებებით უფრო დიდი მწერლობის წარმოშობას დაუდო საფუძველი.

ეს მწერლები, ევროპული სტილის ნაწარმოებებთან ერთად, ცდილობდნენ ხალხის დონის შესაბამისი საგანმანათლებლო ნაწარმოებებიც შეექმნათ. მათი მიზანი საზოგადოების ინფორმირება იყო. ეს ნაწარმოებები ყველა სახით იწერებოდა: რომანები, მოთხრობები, თეატრალური დრამები, ესეები თუ მოგზაურობის ჩანაწერები ახალი ლიტერატურას ქმნიდა და სთავაზობდა მრავალრიცხოვან მკითხველს. აჰმეთ მითჰათ ეფენდი თურქეთში მნიშვნელოვან მწერალთაგან ერთ-ერთია, რომელმაც ფართო აუდიტორიაში კითხვის სიყვარული დანერგა. მის ნაწარმოებებში ვხვდებით მწერლის ცხოვრებისეულ კვალს - სურვილს სწავლებისა თუ სათაგადასავლო გრძნობების შესახებ.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი ცნობილი მწერალია. მას დიდი წვლილი მიუძღვის თურქული მხატვრული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში: ერთ-ერთ პირველს შეაქვს დასავლური ელემენტები თურქულ ლიტერატურაში. მის შემოქმედებას მხოლოდ მხატვრული ღირებულება არ გამოარჩევს, მწერალი წერდა თურქეთის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისთვისაც და თავის თხზულებებში ბევრს საუბრობდა ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის შესახებ, ცდილობდა მხატვრული ნაწარმოებისათვის საგანმანათლებლო დანიშნულების მინიჭებას (გუჯეჯიანი, ხოსიტაშვილი, 2016: 106)

აჰმეთი მითჰათ ეფენდი დაიბადა 1844 წელს სტამბოლის ერთერთ რაიონში, ქარაბაშის უბანში (იქ სადაც ცხოვრობდნენ ასაფეთქებელი ნივთიერების შემქმნელები). (Banarlı, 2001: 864), მისი ნამდვილი სახელი აჰმეთია. მისი მამა ჰაჯი სულეიმან ალა ვაჭარი იყო. სულეიმან ალა, რაღაც ერიოდით სავაჭროდ კავკასიაში წავიდა, აქ ცოლად შეირთო ქვრივი ჩერქეზი ქალი. ქალს ყავდა შვილი სახელად ჰაფიზ იბრაჰიმი. თავის ცოლთან და გერთან ერთად თოფჰანეში გადავიდა, ეს ცოლი იყო ამავდროულად აჰმეთ მითათის დედაც. როდესაც 5 წლის ასაკში, აჰმეთ მითათმა დაკარგა მამა, ოჯახი დიდ გასაჭირში ჩავარდა. 1854 წელს, ოჯახი თვიდინში მყოფ უფროს ძმასთან, ჰაფიზთან გადავიდნენ საცხოვრებლად. ჰაფიზ იბრაჰიმი, მიდჰათ ფაშას მოწონების დამსახურებისთვის, იმ პერიოდის ოსმალეთის ტერიტორიაზე ბულგარეთში, ვიდინის პროვინციაში რაიონის გამგებლად მუშაობდა. მის განათლებაზე ძმა ზრუნავდა. აჰმეთი სწავლობდა ქალაქ ვიდინში, შემდეგ სტამბოლში, სწავლის პარალელურად კი მუშაობდა. აჰმეთ მითათ ეფენდის პირველი განათლება აქ დაიწყო და სწავლის დასრულებამდე უკან დაბრუნდა სტამბოლში ოჯახთან ერთად. (Sevük, 1921 : 290)

1857 წელს ეგვიპტეში, ერთერთ მეყვავილესთან დამხმარედ დაიწყო მუშაობა 1861 წლამდე. ამავდროულად, დადიოდა ადგილობრივ მაცხოვრებელთან წერა კითხვის სასწავლებლად, ხოლო პარალელურად ფრანგულის სწავლას ცდილობდა. მისმა ძმამ, ჰაფიზ იბრაჰიმმა, ნიშში გადასვლისას, 1861 წელს თავისი ოჯახიც თან წაიყვანა. აჰმეთ მითათ ეფენდი ნიშში საშუალო სკოლაში შევიდა, და 1864 წელს დაამთავრა. მითათ ფაშა სტუნაში გამგებლობის პერიოდში, რუსეში მოვიდნენ. მისი ძმის მოსალოდნელი ლიდერობის პერიოდში, ტუნას პროვინციაში სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

1864 წლიდან გადადის დუნაისპირეთში და იქ იწყებს სამსახურს სახელმწიფო სამსახურში; სწავლობს არაბულს, სპარსულს და ფრანგულს. ენების შესწავლის ეს ნიჭი დადებითად შეაფასა ადგილობრივმა გუბერნატორმა მითჰათ ფაშამ. მითჰათ აჰმეთ ფაშასადმი პატივისცემის გამო აჰმედმა დაიმატა სახელი „მითჰათ“. აჰმეთ მითათი სტატიებს აქვეყნებდა გაზეთ „დუნაი“-ში.

აჰმეთ მითათი, ერთის მხრივ რუსეში აგრძელებდა რელიგიურ გაკვეთილებს, ისლამის კულტურის შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ ბულგარელ ოდიან ეფენდისგან

იღებდა ფრანგულის გაკვეთილებს. პარალელურად, ახალშექმნილ გაზეთ ტუნაში მომუშავე აჰმეთ მითათ ეფენდი, წერდა მოკლე მოცულობის ნაშრომებს.

1866 წელს, აია სოფიაში ხელოვნების სკოლის დაარსება დაევალა ჰაფიზ იბრაჰიმს, რომელმაც სამუშაოებისთვის ევროპიდან ჩამოყვანილი გერმანელი არქიტექტორთან თარჯიმნად წაიყვანა აჰმეთ მითათ ეფენდი. 1866 წელს აჰმეთ მითათი სოფიაში დაქორწინდა და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. მაგრამ ვინაიდან ის რუსეში გამოიძახეს, მეუღლეს თან წაიყვანა. აჰმეთ მითათმა გაიცნო საემიგრაციო საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ შაქირი, მისი პიროვნებით აღფრთოვანებული აჰმეთ ჰამდი თანფინარი, ასე საუბრობდა შაქირ ეფენდიზე: „აჰმეთ მითათ ეფენდის ცხოვრებაში ბ-ნ შაქირის ადგილი, არის დამსახურები იმისა, რომ ის რუმინელია და ცოლის, რომელიც უკრავს ვიოლინოზე. შეიძლება ითქვას, რომ მითათ ფაშას შემდეგ მის ცხოვრებაში კარი შეალო, როგორც ჯარისკაცის, პოეტის, ამასთანავე ფილოსოფოსის, ოჯახურმა გარემომ და ინდივიდუალურობამ. (Tanpınar, 2003 : 446)

1869 წელს მითათ ფაშა ბალდადის გუბერნატორად დანიშნეს და მას თან გაჰყვა ამეთ მითათიც. აჰმეთს დაევალა სტამბის მოწყობა ბალდადში, სადაც ბეჭდავდა წიგნებს ხელოვნების სკოლისათვის. ბალდადში გამოსცა გაზეთი „ზევრა“. აჰმეთ მითათ ეფენდი 1869 წელს გაზეთ “ტუნაში” გახდა მთავარი მწერალი. ამის შემდგომ, მითათ ეფენდის დაევალა ბალდათში გაზეთ “პროვინციის” შექმნა და საჭირო ბეჭდვითი პრესის შექმნა დაევალა. თავისი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი აჰმეთ მითათი, ბალდათის გაზეთი “პროვინცია“-ს და პროვინციის ბეჭდური პრესის დირექტორი გახდა. მოემზადა ინგლისურსა და არაბულ ენებში. იქ გაიცნო ორი მნიშვნელოვანი ადამიანი, რომლებთან ურთიერთობამაც მის ცხოვრებას ელფერი შეუცვალა. ამათგან ერთერთი არის ოსმან ჰამდი (1824-1910- წწ). ოსმან ჰამდიმ, მას შემდეგ რაც დაამთავრა პარიზის ხელოვნებათმცოდნეობის სასწავლებელი, თურქეთში არქეოლოგიურ, სამხატვრო და სამუზეუმო სფეროში დიდი წვლილი შეიტანა, ის არის ცნობილი მეცნიერი და ხელოვანი კაცი. მითათ ეფენდი გახდა მიზეზი, მის მიერ უცხოური ნაწარმოების თარგმანისა (ბანარლი, 2001: 964). მისი მეორე მეგობარი ჯანმაუთ თარი, რელიგიით დაინტერესებული (ბოლოს ისლამზე შეუჩერებია არჩევანი) ტრადიციული

ფილოსოფოსი იყო. მუათ თარმა, აღმოსავლური კულტურის ცოდნით, აღძრა ინტერესი აჰმეთ მითათში ფილოსოფიისა და ისტორიის. (Kabaklı, 2002 : 106)

ბაღდათში, საუკუნის ყველაზე დიდი რელიგიათმცოდნესთან, მუჰამედ ზუჰავისთან, თანამშრომლობით აჰმეთ მითათმა რელიგიურ საკითხებშიც მოახერხა განვითარება. 1870–იან წლებში განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ კონკურსში „წარსული მასწავლებელი“ მიიღო მონაწილეობა. 1871 წელს გარდაიცვალა აჰმეთ მითათის ძმა, რის გამოც აჰმეთი სტამბოლში დაბრუნდა, რათა გაძლოლოდა ოჯახს. მან სტამბულში გადაიტანა სტამბა, რომელიც მოაწყო სახლის სარდაფში და მარტოკა ბეჭდავდა წიგნებს, თავის სახლში, თაჰთაქალეში ბეჭდვითი პრესის შექმნით, დაიწყო ნაშრომების გამოცემა ბროშურებად. ამ გამომცემლობაში მწერალიც, კომპოზიტორიც, კურიერიც თვითონ და მისი ოჯახის წევრები იყვნენ. იმავე წელს ბეჭდვითი გამომცემლობა გაზარდა, ბეიოღლუში გადაიტანა. (Türk Dili ve Edebiyatı Ansiklopedisi, 1977:68) პარალელურად კი მუშაობდა გაზეთებში „ჯერიდეი ასქერიე“-სა და „ბასირეთ“-ში.

მთელი ცხოვრება კულტურისა და ფილოსოფიისაც სჯეროდა, ყველაფრიდან რაღაც ნაწილის გამოცემა პირველად აქ დაიწყო. მას თავი გაჰქონდა ისეთი ნაშრომების გაყიდვით როგორცაა “იუმორი”, “წარსულის გამოცდილება”. 1872 წელს თავზე აიღო გაზეთ “გაკვეთილი“-ს ხელმძღვანელობა. ამ წლებშივე გამოსცა საკუთარი პუბლიცისტური კრებულები ჟურნალ–გაზეთების სახით. მათში გამოთქმული აზრების გამო, სადაც წერდა სიღარიბესა და რელიგიაზე და მსგავსი ტიპის ნაშრომები მთავრობის მიერ მიერ არ იქნა მოწონებული. მისი ნაშრომების გამო ურწმუნოდ შერაცხეს და აჰმეთ მითათი 1873 წელს როდოსში გადაასახლეს, სადაც დაჰყო სამი წელი. ამასთანავე, სტატიებს აგზავნიდა სტამბოლის ჟურნალ–გაზეთებში.

როდოსში, ის უსაქმურად არ გაჩერებულა, აგზავნიდა თავის ნაშრომებს პერიოდულ გამომცემლობაში, როდოსზე ყოფნის დროს მან ბევრი მხატვრული ნაწარმოები შექმნა, დაუწერია ისეთი რომანები, როგორცაა „მეორედ მოსვლ“, „მეზღვაური ჰასანი“, „ფელატუნბეი და რაქიმ ეფენდი“, მეჩეთის ეზოში სულეიმანის სახელობის სამლოცველო სკოლად გადააკეთა, გახსნა მედრესე (სკოლა) და როდოსელ

ბავშვებს ასწავლიდა. ამგვარად, ხაზი გაუსვა, იმას რომ ისინი ვინც მას უსამართლოდ მოექცნენ, ვერ დააჩოქებენ.

1876 წელს ისარგებლა რა სულთან აბდულ აზიზის ტახტიდან ჩამოგდებით, ის დაბრუნდა სტამბოლში. სტამბოლში დაბრუნებიდან 15 დღის შემდეგ 27 ივნისს 1876 წელს, მან გამოსცა გაზეთი – „ერთიანობა“. 1877 წლებში წერდა გაზეთში „დრო“ და 1878 წელს გაზეთ „კალენდარული მოვლენები“-ს დირექტორი გახდა. 1878 წლის 27 ივნისს „გაზეთ თარჯიმნის უფლება“ გამოსცა და ამავე წელს გაზეთი „ოსმალეთის“ ხელმძღვანელობა აიღო თავზე. 1853 წელს ყირიმის ბრძოლიდან 1876 წლამდე არსებული მოვლენები, „დამოუკიდებელი წერის სურვილი“ გააერთიანა თავის ნაშრომში. ეს ნაშრომი მსხვერპლი გახდა ერთგვარი მოსაზრების, თითქოს მისი შექმნის მიზეზი იყო ფადიშაჰისთვის თავის მოწონება. რადგანაც ნაწარმოების წაკითხვისას იგრძნობა ერთგვარი პატივისცემა ხელმძღვანელობის მიმართ, თუმცა სუბიექტურად და კრიტიკული დამოკიდებულებით არის დაწერილი (Tanpınar, 2003 : 451-452). აჰმეთ მითათი თავისი ნაშრომის „მორალური რევოლუცია“ საცდელ ვარიანტში „ძვირფასი სინამდვილე“ მოგვითხრობს 93 ბრძოლის შესახებ. მისი შრომა მოიწონა ფადიშაჰმა. 1879 წელს გაზეთის დირექტორი გახდა. გაზეთმა „თერჯუმანი ჰაქიქათ“, ოსმალეთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად იარსება.

აჰმეთ მითათმა 1880 წელს სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში – ბეიქოზში – მიწა შეისყიდა, ეს იყო აქბაზაში ბალჯი ოღლის ფერმა, იქ აღმოჩნდა გოგირდის წყალი და აჰმეთ მითათმა დაიწყო ამ წყლის ჩამოსხმა და გაყიდვა. 1884 წელს იქორწინა ქალბატონ მელექთან. ამ ქორწინებაში გაუჩნდათ ორი ვაჟი (სულეიმანი, გალიფი) და სამი ქალიშვილი (ჰაჯერი, აზიმე, ზიბა) (Tuncer, 2001:454). შეიძინა ასევე სირმაქეშების გვარის ფერმა. ქალიშვილი მუალიმ ნაჯიზე დააქორწინა, საბჭოს საქმეთა მმართველი და პირველი მდივანი გახდა. ბეიქოზში იყიდა მიწა. 1888 წელს ვერცხლის პატივისცემის მედალი“, 1889 წელს ხარისხის წოდება და მეორე ეტაპზე ოსმალური ნიშანი. აჰმეთ მითათი აგრძელებდა სამწერლო და ჟურნალისტურ საქმიანობას. სწორედ ამ რაიონის ცენტრში დგას მისი სახლი. სახლს ამშვენებს მემორიალური დაფაც.

1888 წელს მონაწილეობდა სტოკჰოლმში გამართულ აღმოსავლეთის მეცნიერთა შეხვედრაზე, მიუსტე შრიკლერის VIII კონგრესზე. სადაც ისაუბრა თურქული ენის შესახებ, იქიდან დაბრუნებულმა კი დაწერა წიგნი, რომლითაც თურქული ენა გააცნო ევროპელებს.

თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში აჰმეთ მითათ ეფენდიმ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაასრულა გაზეთ „თარჯიმნის უფლება“-ში მოღვაწეობა. 1895 წლიდან სახელმწიფოს თხოვნით ატარებდა საჯარო ლექციებს ისტორიის, ფილოსოფიის ისტორიის, რელიგიის ისტორიისა და სხვა საკითხებზე. ამავე დროს, საკუთარი ინიციატივით, მიუსაფარ ბავშვთა სახლებში დადიოდა და მათ ზოგად განათლებაზე ზრუნავდა. 1903 წლიდან ის მორიგე პედაგოგად მუშაობდა ობოლ ბავშვთა სახლში და გულის პრობლემით გარდაიცვალა 1912 წლის 28 დეკემბერს, 68 წლისა

აჰმეთ მითათ ეფენდი დაკრძალულია სტამბოლში ფათიჰის რაიონში, ფათიჰის მეჩეთში, ფათიჰ მეათე დამპყრობლის სახელობის სასაფლაოზე, სულთან მეჰმედ მეორის ტურბეს გვერდით (Banarlı, 2001 : 317). მისი საფლავის ქვაზე პოეტი ქალბატონის, ინიგარის სიტყვებია: „შენი ძალისხმევას შენი სიყვარულის მიზეზი, გაწეული შრომა გადაეცემა ათასწლეულებს..“ (Özdemir, 2008: 3)

2.2. აჰმეთ მითათ ეფენდის ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმიანობა

აჰმეთ მითათ ეფენდი დღემდე ითვლება ყველაზე ნაყოფიერ მწერლად თურქული ლიტერატურის ისტორიაში. მის კალამს ეკუთვნის 36 რომანი და 200 – ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. მისთვის მეტსახელიც კი შეურქმევიათ მწერლებს – „მწარმოებელი მანქანა“. თურქული ლიტერატურის ისტორიაში აჰმეთ მითათი ითვლება ნოვატორ მწერლად, პირველი თურქული ნოველებისა და რომანების ავტორად.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიის მოძველებული თეოკრატიული სისტემის მოშლად აქვეყნის პროგრესის კენორიენტაციას იმპერიაში რეფორმების (თანზიმათის) განხორციელებით დაიწყო,

შესაბამისად,

ევროპასთან დაახლოების პროცესში დასავლური აზროვნების გავლენა ცვალებადია.

სახელმწიფოში გატარებულ რეფორმებს სერიოზული ცვლილებები მოჰყვება ლიტერატურაში

ც. სავალალო მდომარეობაში მყოფი მწერლობა სერიოზულ განახლებას აჭირობდა.

მეცხრამეტე საუკუნის

60-

იანწლებიდან თურქული მწერლობის მოდერნიზაცია იწყება და ისტრადიციული აღმოსავლური ლიტერატურის ჩარჩოებიდან გამოდის.

ლიტერატურაში განხორციელებული ცვლილებები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ს: ახალიაქამდე უცნობი ანრების დამკვიდრება; სამწერლობის რეფორმირება.

ახალი მწერლობის ჩამოყალიბების პროცესში მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში

თევროვანად განხორციელდა: დასავლური ლიტერატურის გაცნობა, თარგმნა,

სიუჟეტების ადამხატვრული ხერხების სესხება.

თანზიმათის ხანაში ევროპული ლიტერატურის გავლენა თურქულ მწერლობაზე უმთავრესად

დგრანგული მწერლობის სახით იყო წარმოდგენილი.

პრაქტიკულად,

ყველას მიმდინარეობა,

რომელიც ფრანგული ლიტერატურაში დამკვიდრდა,

გაზიარებული ქნათურქული მწერლობის ჩამოყალიბების ადაფორმირების პროცესში,

მაგალითად,

თანზიმათის პირველ ეტაპზე რომანტიზმის,

შემდგომ პერიოდში რეალიზმის ადანატურალიზმის გავლენა გამოსჭვივის.

ამგვარი მრავალფეროვნების მიზეზი აწილობრივ თანზიმათის მწერლებისათვის ნიშანდო

ბლივი პოზიციიდანაც გამოდინარეობდა:

მაქსიმალურად სწრაფად აეთვისებინათ დასავლური ლიტერატურის მიღწევები.

მათ მწერლობას ოციალური აქტივობის ძირითადი მოძრაველმა ლადჰქონდათ წარმოდგე

ნილი (ჯაველიძე, 2014: 151).

აჰმეთ მითჰათ ეფენდი თანზიმათის ერთერთი პოპულარული მწერალია. ის წერდა ყველა სფეროსა და საკითხთან დაკავშირებით და ევროპის ცივილიზაციასა და ეროვნულ იდეებს გამოხატავდა. ხალხსა და ეროვნულობას ანიჭებდა უპირატესობას. მისი კითხვისა და განთლების მიზანი იყო საზოგადოების აყვანა ევროპულ

ცივილიზაციამდე. ამ გაგებით, ის მხარს უჭერდა დასავლური კლასი-კოსების შემოსვლას თურქულ ენაში.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი წერდა ხალხისთვის, ცნობილი იყო როგორც სახალხო მწერალი. მას ჰქონდა დიდი სურვილი, ესწავლებინა საზოგადოებისთვის, მიეცა ცოდნა, შეძლებოდა ხალხის გულისცემის შეგრძნება, ხალხის ენის გამოყენებით მასწავლებლის მოვალეობა პირნათლად შეესრულებინა. მწერალი კალამს საზოგადოების განათლებისთვის იყენებდა, ამიტომაც ხელოვნება მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. მის მიერ გამოყენებული ენა შეესაბამებოდა განმანათლებლურ მიზნებს. ის თავის ნაშრომებს მარტივი ენით ქმნიდა. მისი სურვილი იყო საჭიროების გამო დიდი ყურადღება მიექცია განათლების განვითარებისთვის, ცდილობდა ხალხისთვის სასარგებლო ინფორმაციები მიეწოდებინა. მწერლის უმთავრესი მიზანი იყო ხალხში კითხვის სურვილი და სიყვარული გაეღვივებინა.

მწერალს ფართო წარმოსახვისა და კარგი მეხსიერების უნარი აქვს, მისი ყოველი ლიტერატურული ნაშრომი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციას ადარებს ერთმანეთს, ერთ საცერში გაატარებს და ცდილობს ერთ სინთეზად შერწყმული მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას. ამ მიზნით, რომანებით, მოთხრობებით, თეატრალური წერილებით და ჟურნალისტური სტატიებით ცდილობს მკითხველამდე მივიდეს. აჰმეთ მითათმა კარგად იცის აღმოსავლეთმცოდნეობა და ფილოსოფია. მწერალი ხშირად სასულიერო ტიპის ნაშრომებსაც ქმნის.

ჰალით ზიას აზრით, თურქულ გადატაკებულ ცხოვრებაში, პირველად მწერალთან ერთად დაიწყო ფიქრი დასავლური ფილოსოფიის საფუძველზე. ის, ახალგაზრდობისას მატერიალურსა და პოზიტიურ ინფორმაციას ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო მორალურს მიემხრო. ამასთანავე უფრო დაუახლოვდა ისლამურ მორალსა და დოქტრინას. აჰმეთ მითათის აზრით, რომანი და თეატრი უნდა დავიწყოთ დასავლური მიმბამძველობითი გზით, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩავრთოთ ადგილობრივი და ეროვნული ხასიათები. მორალის თვალსაზრისით კი ეროვნული და სოციალური რეალობები აისახება. აჰმეთ მითათი არის ადამიანი, რომელიც წერდა ისტორიას საკუთარი მიზნებისთვის. მსოფლიო

ისტორიისთვის მან შექმნა ნაწარმოები “მსოფლიო“. ამის შემდეგ შექმნილი ნაშრომები “მატერიალური რევოლუცია“ და “მვირფასი სინამდვილე” არის წიგნი ოსმალეთის ისტორიაზე.

აჰმეთ მითათმა გაზეთ “ტუნა და ზევრა“-ს სტატიების შემდეგ, მოთხრობები გამოსცა და ლიტერატურულ სფეროში თავი წარმოიჩინა, როგორც კარგმა პროზაიკოსმა. ბალდათში ყოფნისას გამოსცა ზღაპრებისგან შემდგარი მოთხრობა „მოთხრობა მორალიდან“. მოგვიანებით, 1984 წლამდე დაწერილი 28 მოთხრობა სახელწოდებით „ხუმრობა“ ცალცალკე გამოსცა. ამ მოთხრობებს ისე ალაგებდა როგორც მეზღაპრის ამბავს. მოთხრობის მოყოლის სისტემად, ჩვენი ძველი მეზღაპრეების მეთოდს ანიჭებდა უპირატესობას. იგი ხელმძღვანელობდა ლიტერატურული ტრადიციებით. ნაშრომს „შუათამაში, შავთვალა“, მეზღაპრის თხრობით და დიალოგის სტილში გადმოსცემს. ხალხის ენით დაწერილი ეს მოთხრობები, შემეცნებითი, სასაცილო არსისა და მკითხველთან შენობით საუბრის სტილით სრულდება. ტრადიციები ხალხურ თხრობასთან და მოთხრობელთან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამიტომაც ატარებს მწერალი თანამედროვე მეზღაპრის სახელს.

აჰმეთ მითათის სტილი ყავახანებში მოსმენილი ზღაპრული მოთხრობების გაგრძელებაა. აქედან მოდის ხშირად გამოყენებული გამონათქვამი „მხოლოდ თქმით ნუ შემოვიფარგლებით“. თანფინარი, აჰმეთ მითათ ეფენდის ყველა ნაშრომს წარმოადგენს როგორც “საზოგადოების კითხვის ოთახს“. მოვლენები იპყრობს ხალხის ყურადღებას, ილუსტრირება არ არის თვალისთვის დამღლევი, მხიარულება და იუმორი ხალხის დონის შესაბამისი. ხალხის დაინტერესებას და გაოცებას იწვევს. მკითხველს ასწავლის, ზრდის, აცინებს და ახარებს. საჭიროებისამებრ აძლევს რჩევებსაც. მის ირგვლივ უცნაურ მოვლენებს მოთხრობასა და რომანში გადაიტანს. ანდაზებსა და ანეგდოტებს აქცევს მოთხრობად. დასავლეთის რომანებითა და მოთხრობებით სარგებლობს. ენის სიმარტივე, წესი და ტრადიცია, ხალხური გამონათქვამები, ცოცხალი საუბრები და მონათხრობი ჩვენს ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. მან შეძლო მკითხველი აუდიტორიის დაკავშირება საკუთარ შემოქმედებასთან და წარმოგვიდგება,

როგორც ენციკლოპედიური განათლების მქონე მწერალი. კრიტიკოსთა აზრით, აჰმეთ მითათ ეფენდი საუკუნის ყველაზე კითხვადი მწერალია.

თურქულ ლიტერატურაში მოთხრობისა და რომანის პირველ დასავლურ ნიმუშს აჰმეთ მითათი გვაძლევს. საზოგადოების განათლების მიზნით, ის ხშირად სცდება თემას, ეხება ისტორიას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას. ყველა მის ნაშრომში ეყრდნობა გამოცდილებას და ცდილობს ამით სარგებელი ნახოს საზოგადოებამ. ხალხური მოთხრობისა და რომანის, დასავლურ მოთხრობასა და რომანში გადატანა, ყოველგვარი სისტემის გარეშე შესაძლებელია. ჩვენი ისტორიის თანამედროვე აზროვნების განხილვისას, მისი ნაშრომების მნიშვნელოვან კვალზე მიუთითებენ. დასავლეთის საპირისპიროდ დარჩენილ თურქულ ინტელიგენციას დასავლური აზროვნების სისტემა ასწავლა, ამასთან ერთად დასავლური აზროვნება ისტორიის პირველი დიდი მიმომხილველი გახდა.

თუმცა ეს პრობლემა სხვანაირადაა წარმოჩენილი მოგვიანო ხანის თურქულ ლიტერატურულ კრიტიკაში: აღმოსავლური კულტურა და მწერლობა ყურადღებით უსმენს დასავლურს იხსენებს რა „ოთხ მარტოსულ სტამბოლელ მწერალს“ (თაფინარს, იაჰია ქემალს, აბდულჰაქ შინას ჰისარს და რეშათ ექრემ ქოჩუს), ორჰან ფამუქი წერს: „თავის დროზე ყველა ეს მწერალი დაბრმავებული იყო დასავლური, ძირითადად ფრანგული ლიტერატურით და დასავლური ხელოვნებით... ფრანგული ლიტერატურით და მთლიანად დასავლური ხელოვნებით გატაცების შედეგად ამ მწერლებმა დასავლური მანერით წერა დაიწყეს და უკან დასახევი გზა აღარ დაიტოვეს... ფრანგულმა ლიტერატურამ მათ არა მარტო თანამედროვე შეხედულებები, არამედ უტყუარობის, თვითმყოფადობისა და სინამდვილისაკენ სწრაფვა შთააგონა (ფამუქი, 2012: 168–169). ცხადია ფამუქი აქვე არაერთგზის მიუთითებს პრობლემებზე, რომლებიც აღმოსავლელი ავტორების მიერ მალარმეს, ვერლენის, გოტიეს, ჯოისის, პრუსტის და მაშასადამე, დასავლური ლიტერატურული კანონის მიღებას მოსდევდა და განსაკუთრებით მწვავედ მიიჩნევს „განხეთქილებას“, რომელიც არსებობდა წერის დასავლურ მანერასა და „ორიგინალურ“ აღმოსავლურ მწერლად დარჩენის რეალობას შორის, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ორი სამყარო ერთმანეთს უახლოვდებოდა. ჩვენ

ვთვლით, რომ ამ ოთხ მარტოსულ მწერალთან ერთად უნდა იხსენიებოდეს აჰმეთ მითჰათ ეფენდი, როგორც თავისი ქვეყნის, არა მარტო თურქული მწერლობის განვითარების დიდი მოამაგე, არამედ დიდაქტიკოსი ადამიანი, რომელიც განუხრელად ზრუნავდა თავისი თანამოქალაქეების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებაზე.

აჰმეთ მითათი დაინტერესდა თურქული თეატრალური წარმოდგენებით, მასზე გავლენა იქონია ნამიქ ქემალის პიესამ „სამშობლო თუ საკრავი“, მწერალმა შექმნა პიესები „ვაი, თავღია“, „მოცეკვავე ქალი“, „ჩერქეზის არსი“. მიუხედავად, აჰმეთ მითათის მრავალმხრივი ინტერესისა, მისი შემოქმედების ყველაზე ფუნდამენტურ ასპექტს შეადგენს პროზაული ნაწარმოებების წერა. მწელის რომანისტიკა როდოსში, ტყვეობისას ალექსანდრე დიუმას – „გრაფი მონტე კრისტოს“ მსგავსი – „მეზღვარი ჰასანის“ შექმნით იწყება. ბოლო რომანი კი „თურქი ახალგაზრდაა“. მწერალი თურქულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც სახალხო რომანისტი. ავტორის რომანებში ნათლად აისახება ფრანგული მწერლობის გავლენა და მისი სტილის გადმოღების მცდელობა. ამ მოვლენას თანზიმათის ხანის მწერლობაში დიუმაზე დაყრდნობილი „პოპულარული რომანტიკული ხაზი“ შეიძლება ვუწოდოთ.

აჰმეთ მითათი, არის მწერალი რომელიც ზღაპრიდან რომანზე გადავიდა და მიიპყრო მკითხველის ყურადღება. აჰმეთ მითათის აზრით: „მათთვის ვისაც ხედვა აქვს ფანტაზია უკიდევანოა.“ მწერლის წერის მანერა ინდივიდუალურია, რადგანაც იდეისა და სიტყვის თანხვედრა მწერლის ფსიქიკაში არსებული მარადიული საიდუმლოებაა და ის მუდმივი დაკვირვების საგანია. აქაც განსხვავებულად უდგება მხატვრული შემოქმედებისა და სახეებს შექმნას მწერალი, ის ძირითადად ან საკუთარ ან მისი რომელიმე მეგობრის თავაგადასავლზე წერს.

ყველა მწერალს თავისი განუმეორებელი სტილი და წერის მანერა აქვს. სტილური თავისებურებანი ავტორის მხატვრული აზროვნების, სინმადვილისადმი მისი დამოკიდებულების, მისი ზნეობრივი კონცეფციის გამოვლენაა. სტილი ინდივიდუალური მსოფლხედვაა, გამოხატული შესაბამისობრივი ფორმით (ჯორბენამე, 1987, 31) აჰმეთ მითათს სტილად რეალისტური ამბების აღწერა და მკითხველისთვის გადაცემა დაუსახავს მიზნად. მას არ სურს არც ერთი რალობა, რომელიც არ უნახავს

გადაიტანოს კალმით. იმ ადგილებს, რომელიც უნდა მოიხსენიოს რომანში, კარგად გაითავისებს დაათვალიერებს, იცხოვრებს იქ და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებს თავის ნაშრომში. რომანებში ადგილმდებარეობა არ სცდება სტამბოლის საზღვრებს. მაგალითად ისეთ რომანებში რომელიცაა „ჯერ კიდევ 17 წლისა“, „თვითმართვა“, „ფელა ტუნბეიდარ აქიმეფენდი“ პერსონაჟები ალებულია ხალხიდან, ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენებია აღწერილი.

მწერლის ნაწარმოებების მიზანია თხრობის სტილის მიახლოება ცოცხალ სასაუბრო ენასთან, სიახლოვე თავის გმირებთან და ცხოვრებასთან რაც შეიძლება ახლოს ყოფნა. ლიტერატურული ნაწარმოების ძირითადი პრობლემა ადამიანის სულიერი სამყაროს წვდომა და იმ ტკივილების ასახვაა, რაც ამა თუ იმ სოციალურ ასპექტშია დასმული. აჰმეთ მითათ ეფენდის რეალური სამყარო და არსებული სოციალური მდგომარეობა განაპირობებდა საჭიროებას მხატვრულ ნაწარმოებებს, ხალხის გართობასთან ერთად, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისთვის შეეწყო ხელი. მწერალი ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს გამოთქვამს შემდეგნაირად: „რომანი, მხოლოდ უცნაური და სასიამოვნო მოვლენა არ არის, ის რა თქმა უნდა, არის მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის, გეოგრაფიის მოვლენებთან დაკავშირებული ახსნა, რაც მკითხველის ინფორმაციულ და ცოდნის დონეს გააღრმავებს“ (მიტკატი.....).

თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში მწერალი სათავგადასავლო რომანებს ქმნის მკითხველის დონის გათვალისწინებით. ის ხელმძღვანელობს ნახევარი რეალიზმის პრინციპით. ყოველ ეპოქასა და საზოგადოებას საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი მორალურ-ეთიკური ეტალონი აქვს. ის ეხებოდა თავისი ეპოქის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს და ცდილობდა აესახა ის ტკივილები რაც თავისი ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. მისი ნაწარმოებები იყო მცდელობა ცხოვრების არსის, ადამიანის რაობის, დანიშნულების, საზოგადოებასთან დამოკიდებულების რეალური საფუძვლების ძიებასა. მწერალმა დაიწყო ნატურალისტური რომანების შექმნა. „მეზღვარი ჰასანი“ და „ქურდი მონთარი“-ს მსგავსი რომანები არის ფანტაზიით აღსავსე, მკითხველის გრძნობების, გმირთა შინაგანი სამყაროს ქცევის დეტალიზების, გრძნობათა და განცდათა სიღრმეებში წვდომის წარმატებული

მცდელობა. აჰმეთ მითათი ეტაპობრივად გადადიოდა მარტივიდან რთულზე. ის ამას აკეთებდა განზრახ, მკითხველის გათვითცნობიერებისთვის.

აჰმეთ მითათი ხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებს ქმნიდა: ალექსანდრე დიუმას პერეს მსგავსი სათავგადასავლო რომანი („მეზღვაური ჰასანი“, „ფერმერი ჰუსეინი“, „მეორედ მოსვლა“), ჟიულ ვერნის მსგავსი სამეცნიერო და სამოგზაურო რომანი, ისტორიული რომანი (ალბანელები, იანიჩრები, სულეიმან მუსული), დეტექტიური რომანი („ქურდი მონტარი“, „საიდუმლო მკვლელობა“), რეალისტური რომანი („ფელატუნ ბეიდარ აქიმეფენდი“, „კარნავალი“, „ჯერ კიდევ 17 წლის“) და ემილ ზოლას მსგავსი ნატურალისტური რომანები („თვალთ ნანახი“, „თვითმმართველი“).

მწერლის ნაწარმოებებში ჩანს დამოკიდებულება რეალობისადმი, მას შეუძლია თავისი მხატვრული სიტყვით მოვლენათა განზოგადება, შეფასებითი დამოკიდებულება სათქმელისადმი, რომლის საშუალებითაც შეუძლია სათანადო იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოხდინოს მკითხველზე. მას, როგორც ჟურნალისტური პუბლიცისტიკიდან მოსულ მწერალს, გამომუშავებული აქვს მხილებისა და დაცინვის თავისებური, ჟურნალისტური პრინციპები, რომელსაც იყენებს მწერლური მიზნის განსახორციელებლად: მწერალი თვალმოუხუჭავად უნდა იდგეს საზოგადოებრივი ცხოვრების სადარაჯოზე. აჰმეთ მითათი რეორგანიზების შემდეგ თავის რომანებში „ქორწინება განქორწინება“, „მეზღვაური ჰასანი“, „მსოფლიოში მეორედ მოსვლა“ აკრიტიკებს საპატიმროებს. თავის მოთხრობებში „ფილოსოფოსი ქალი“, „დიპლომიანი გოგო“ ხაზს უსვამს იმას რომ ქალებიც უნდა იყვნენ მამაკაცებივით განათლებულები. დასავლური აზროვნების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მწერალი, რომელმაც ვერ დააღწია თავი კოსმოპოლიტიზმს, ნახევარგანათლების წინააღმდეგია, მას ესმის დასავლური ცივილიზაცია და ნამდვილი ინტელექტუალიზმის არსი. ნაწარმოებებში როგორცაა „ფელატუნ ბეიდარ აქიმ ეფენდი“, „კარნავალი, ვაჰ!“ ფელატუნ ბეიდარ აქიმ ეფენდი “შირაქიმ ეფენდი წარმოდგენილია როგორც ევროპული მსოფლმხედველობის კარგ საზოგადოებაში გაზრდილი ახალგაზრდა ამ მხრივ საყურადღებოა. მრაქიმ ეფენდი თანამედროვე თურქი ახალგაზრდის ნიმუშია, რომელიც მზად არის სიახლეებისთვის და სამართლიანობისთვის. აჰმეთ მითათმა თავისი რომანებით „ქორწინება, გაჭირვება,

გაყრა“ და „ქალი“, დიდი წვლილი შეიტანა თურქული რომანის განვითარებაში. თავის რომანებში მკითხველს არ უმაღავს თავის პიროვნებას, ხშირად მკითხველს “ჰეი დედაკაცო”–თი მიმართავს. მკითხველების მოყოლილ ამბავზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს და, შესაბამისად, ითვალისწინებს მათ მოსაზრებასაც.

მწერლის რომანები მდიდარია ზღაპრიდან გადმოსული გმირებით. ეს გმირები პასიურად რჩებიან, ცოცხალი სახეები ნაკლებად მოიძებნება, რასაც გაზვიადებულად აჩვენებს. რომანებში „ქალბატონი დურდანი“ და „მეზღვაური ჰასანი“-ს გმირები ზღაპრის პიროვნებების თვისებებით პიკს აღწევს. მსგავსი გამოკითხვა ახასიათებთ მეზღაპრეებს. მეზღაპრეობის ეფექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა მკითხველებში. „ცოლ–ქმრის ზღაპარი“-ს სახელწოდებით ცნობილ ნაშრომს ახასიათებს მეზღაპრეობის თავისებურება. თავის ნაწარმოებებში ის ძირითადად ძალაზე, უფლებაზე და სამართლიანობაზე საუბრობდა, სამართ–ლიანობა ყოველთვის იმარჯვებს. რომანი მორალისთვის, პატივისცემისა და ზრდილობისთვის იქმნება. ძირითადად, გამოცდილებიდან ნათელის პოვნის მომხრე მწერალი, ნაწარმოების დასასრულს კარგს აჯილდოვებს, ხოლო ცუდს სჯის.

მიუხედავად იმისა რომ, აჰმეთ მითჰათ ეფენდი რომანტიკოსი მწერალი იყო, რეალისტურ ამბებს უფრო დიდ ადგილს უთმობდა თავის შემოქმედებაში. თურქეთი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთთან ბრძოლაში იყო ჩართული, ამიტომ შემთხვევითი არ არის რომ მას რეალისტური რუსული რომანიც აინტერესებდა. შესაბამისად, რომანში „სამყაროს საკვირველებანი“ რუსეთის მნიშვნელოვან ქალაქებში მოსკოვსა და პეტერგურგში ხელოვნების ისტორიის მუზეუმში განვითარებული სიუჟეტური ქარგა დიდი თურქი რომანისტის მწერლურ ხელოვნებაზე მიუთითებს. რომანებში „ბედნიერება“ „ფელათუნ ბეი“ და „რაქიმ ეფენდი“- ფეოდალური პერიოდია აღწერილი. რომანში „წმინდა წყარო სენაიში“ სავსეა გოგოლის რომანში „მკვდარ სულებში“ გადმოცემული მსგავსი ადამიანის ტრაგედიები და გმირული საქციელები. შემოქმედი რეფორმებისა და საკონსტიტუციო წლებში, ევროპის რომელიმე ქალაქში სამოგზაუროდ წასვლამდე ევროპის ქალაქებთან დაკავშირებული რომანებს კითხულობს.

მისი რომანები სავსეა დაუვიწყარი სცენებით. უდანაშაულო ახალგაზრდა გოგონას გადამრჩენელი პიროვნებები, შორეულ ქვეყნებში სამოგზაუროდ წასული პიროვნებები, პიროვნებები, რომლებიც საზოგადოებაში როგორც საპატიო დიდგვაროვნად ცხოვრობენ, სინამდვილეში კი ავაზაკები არიან, დასავლელი სნობი პიროვნებები, გოგონები, რომლებიც დემონური სამყაროდან გარბიან და საბოლოოდ სიმართლეს მიღწეული ახალ ცხოვრებას იწყებენ. მისი ნაშრომები გეოგრაფიის თვალსაზრისით ფართო ანთროპოლოგიური ნამუშევარიცაა. ფაქტობრივად აჰმეთ მითჰათ ეფენდი ლიტერატორია, რომელმაც თურქული რომანის, კინოს, ტელევიზიის საკითხებში წარუშლელი კვალი დატოვა.

რომანები - „ჰასან მელაჰი“ და „ზეილი ჰასან მელაჰი“ აღმოსავლეთმცოდნე და იმპერატორის აგენტის დომინგო ბადია ი ლებლიხი-ს მსგავსია. ჰასან მელაჰი ტელემაქეს მსგავსად ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობს. ალექსანდრე დიუმას რომანი „გრაფი მონტე კრისტო“ თურქული კულტურის, რწმენისა და ტრადიციების შესაბამისია, ეს პირველი „მდინარე“ (ერთი ადამიანის, ოჯახის, ცხოვრების აღწერა და გადმოცემა ტომებით) რომანია. მოთხრობა „ჩენგი“-ი დონ კიხოტის მსგავსად ფანტაზიებით სავსე ახალგაზრდის ნამდვილი სამყაროდან გაქცევას და ზღაპრული სამყაროს ძებნას აღწერს. რომანში „ანგელოზი დედამიწაზე“ ძალით გათხოვებული ახალგაზრდა გოგონას საყვარელი ადამიანისადმი უდანაშაულო სიყვარულის დაცვას, მის ერთგულად დარჩენას ასახავს.

„კარნავალში“ ბეიოღლუს დამეულ სამყაროს და მუსლუმანი ახალგაზრდა კაცისა და დაქორწინებული რომაელი ქალის სიყვარულს აღწერს. „ვაჰ“-ში თურქი ინტელექტუალი ქალის პროტოტიპია გადმოცემული. მოთხრობაში „თააფუფ“ (უმწიკვლო) ახალგაზრდა კობტა ქალის მიერ არასწორ გზაზე, შემდეგ კი ამის მიხვედრას და სწორ გზაზე დადგომას გადმოსცემს. ძირითადად, ყველა რომანში დასავლური ცივილიზაციის კარებში შესული ოსმალთა საზოგადოების ცხოვრებისეული პრობლემები და ბედნიერი ცხოვრების საიდუმლოა გადმოცემული.

“მოხალისე“ და „ალბანელი სოლიოტები“ - გადმოგვცემს 18-ე საუკუნის ბოლოდან ბრძოლაში ჩართული, გადაშენების პირამდე მისული ბალკანეთის ისტორიას

და კულტურას და იმდროინდელ სასიყვარულო მოვლენებს. „ალბანელი სოლიოტებ“-ში დამარცხებული თეფედელენელი ალი ფაშას ჯარიდან 17.275 ჯარისკაცი, სტენდალის „პარმის მონასტერში“ ვატერლოოს დამარცხებიდან პარიზში დაბრუნებული ფრანგი ჯარისკაცების მსგავსად, იანიაში დაბრუნდებიან.

„მკვლელობის საიდუმლოებები“ დეტექტიური რომანია, სადაც მწერალი ცდილობს ჟურნალისტის დანაშაულის და დანაშაულის წინააღმდეგ დამოკიდებულების და პრესის წესდების გამომცემლობითობის მნიშვნელოვანი როლის ჩვენებას. რომანი „ჯალათი“ დასავლურ პრესაში დანაშაულისა და ძალადობის ამსახველი მოთხრობაა, „სატყუარა“ კი თურქეთში პირველი მაგალითია მხატვრულ ნაწარმოებში ჯალათის ცხოვრების ირგვლივ ძალადობრივი სცენების განხილვისა.

რომანი „ჯონ თურქში“ აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფიული კვალი ჩანს. უფრო სწორად, აჰმეთ მითჰათ ეფენდის თითოეულ რომანში ბიოგრაფიული კვალი ჩანს. ამ რომანში, კონსტიტუციური დღეები რაც არ უნდა სიყვარულით აღიწეროს, საფუძველი-მთავარი სათქმელი მაინც 1873 წლის აჰმეთ ეფენდის, ნამიქ ქემალის, ებუზია თევფიქის და ნური მენაპირზადეს გადასახლებაა. (დევნა) „ძველ წერილებში“ გალათასარაიში სკოლა-ინტერნატის წარმატებული მოსწავლის გადატანილ პრობლემებზე საუბრობს.

პარიზში, თურქი ნასუჰი, როუზ ენ კოეურის პარიზის ქუჩებში ხეტიალობს, ცუდ ადამიანებთან მართავს დუელებს, ქუარტიერის მოსწავლეებთან მეგობრობს. „მესაილი მულაკა“ (საიდუმლოებით მოცული საქმეები) ძირითადი თემა ისევ პარიზში ახალგაზრდა თურქი მოსწავლის (სტუდენტის) პიროვნულობაა. რომანში „აჰმედ მეთინი და შირზადი“, ფრიად განათლებული აჰმედ მეთინის მიერ, ხმელთაშუა ზღვაში სელჩუკელი პრინცის - შირზადის კვალდაკვალ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის აღწერის მიზანი ჩანს.

„სამყაროს საკვირვებან“-ში სუფი, მოსკოვისა და პეტერბურგის სასახლის დარბაზში პრინცესებს შორის დიპლომატიური თავაზიანობით დადის, თვეების განმავლობაში საყვარელი ინგლისელი გოგონას ჰაფთის გულის მოსაპოვებლად იბრძვის. ქალბატონ დურდანეს პირველი ტელეფონის მოსასმენები აქვს, ქალბატონი ულვიე კი, დურდანეს, რომელსაც უკანონო შვილი ჰყავს სახლს მოუსმენს. ჰასან მელაჰი

ხმელთაშუა ზღვის მოგზაურია, რომანი გიბლარტარიდან სინამდე (ნახევარკუნძული) მცხოვრები ხალხის ცხოვრებას აირეკლავს. ჰასან მელაჰი ისლამური სამყაროს ტელემარქია. (ბერძ. მითოლოგია შიპენელოპესა და ოდისეას ვაჟი).

„ჯერ კიდევ 17 წლისა“ – ში კალიოპი პროსტიტუციის ჭაობში ჩარჩენილი ახალგაზრდა გოგონაა, აჰმეთ მითჰათს ის მუსლიმანი თურქი გოგონას სახით ჰყავს წარმოდგენილი, ბედნიერების მიზნით ერთ ახალგაზრდაზე გაათხოვებს. „კავკასია“ 93 წლის ბრძოლას აღწერს (ოსმალეთ-თურქეთს შორის 1877- 1878 წლების ბრძოლა, ჰიჯრას კალენდრით 1294 წელს ბერძნულ კალენდარში 1293 ეწერა ამიტომ 93 ჰარბი უწოდეს.) მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა. წარმომავლობით ჩერქეზი მითჰათ ფაშას კავკასიის ინტერესი ნათლად ჩანს. ის პირველი ხელოვანია, რომელმაც თურქ მკითხველს იქაურობა მთლიანად აღუწერა. „ქართველი გოგონა ან შურისძიება“ ში კავკასიის საზოგადოების ეთნოგრაფიული ცნობები მოიპოვება. ერთი სავაჭრო კომპანიის თანამშრომელი მოგზაურის თვალთ აღწერს კავკასიას. „ქართველი გოგონა ან შურისძიება“ თურქული ლიტერატურის რომანის სახეობების პირველი აღმოსავლეთმცოდნის ნაშრომია. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ეს რომანი, თურქული რომანისტიკის ახალ განზომილებას ქმინს. თხრობა მეორე პირითაა გადმოცემული, ეს თურქული რომანისთვის სიახლეა. ხელთ არსებულმა კვლევებმა, რაც არ უნდა „თვალთვალს“ შეადაროს, „ქართველი გოგონა ან შურისძიება“ აჰმეთ მითჰათ ეფენდის მწერლის თავისებურ სტილს და ამ სტილის ოსტატობას გვიჩვენებს.

„მეორედ მოსვლა“ – ში იანიჩარის და ნიზამი ჯედიტის კორპუსების შიდა ბრძოლებს და იმ დროინდელ ამბებს აღწერს. „ჰუსეინ ფელაჰი“ ხმელთაშუა ზღვის მეკობრეებისა და მონობასთან ერთად აფრიკის ისტორიაა. „ბედნიერება“ ოსმალეთის ბალკანეთში ჩატარებული ბრძოლების ისტორიაა. „ოქროზე შეყვარებულები“ დეტექტიური რომანია და კლასიკური „ოქროს ციებ-ცხელების“ მოტივით თურქული რომანის პირველი მაგალითია. საუბარია სიმდიდრის უსამართლო მფლობელზე, რომელმაც მოგებაზე მეტი ზარალი ნახა. „საინტერესო“ ინდოეთის ისტორიის და ევროპის წარმოჩინების ილუზიური რომანია. „მონტარის ბანდიტებ“ ში „ჰუსეინ ფელაჰის“ რომანის მსგავსად, გარეგნობა შეცვლილი დიდგვაროვანთა სზოგადოებაში

მცხოვრები გიორგინოს და გარგულას ამბავი, დემონური ცხოვრების ამსახველია. ამჯერად, ჩრდილოეთი აფრიკა კი არა, იტალიაა. უფრო სწორად, აჰმეთ მითჰათ ეფენდის ეს რომანი ხმელთაშუა ზღვის კულტურითაა სავსე.

მისი რამოდენიმე რომანის მიზანი საზოგადოებაში მოჩვენებით პატივისცემი ცხოვრებით მცხოვრების და სინამდვილეში კი პირფერი და ორპირი ადამიანების წარმოჩინებაა. რა საკვირველია, გამომცემლის ამ მიზანმა სულ სხვა სახე შეიძინა. დღესდღეობით აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანების უამრავი გარჩევაა. „დემირ ბეი ან აყვავების საიდუმლო“ მამის შევიწროებისგან საფრანგეთში გაქცეული დემირ ბეი, სხვა სახელით პიერ ჰაიდერი, ფრანგულ არმიასთან ერთად ექსპედიციაში მონაწილეობდა, როგორც ჯარისკაცი, ციებ-ცხელებით გარდაიცვლება.

სამეცნიერო ჟანრისაა რომანი „ამერიკის ექიმები“, სადაც ექიმების ერთი ჯგუფი საკუთარ სხეულზე ცდას ატარებენ და ასეთი ცხოვრების წესით ცხოვრობენ. 1877 წელს ბემირ ფუადმა თავი მოიკლა, მის სიკვდილზე რომანი „სამეცნიერო რომანი ან ამერიკის ექიმები“ დიალოგის სახით 1889 წელს დაიწერა. „რიკალდა ან ველური სამყარო ამერიკაში“- რომანში საუბარია ახალგაზრდა გოგონას ჯონ სონსერის მიერ ტოტემური კლანის ცივილიზაციის შესწავლაზე. აჰმეთ მითჰათ ეფენდი აცკეტური ცივილიზაციის და მასზე თაყვანისცემის სახელით ჩადენილი სისასტიკეს გვიჩვენებს. „დიპლომიანი გოგონა“ რომანში საუბარია გოგონაზე, რომლის მამამ ყველა მსხვერპლი გაიღო რომ გოგონას განათლება მიეღო, მაგრამ ოჯახი გადარიბდება, იმისათვის რომ სიღარიბეს თავი დააღწიოს ჯული დეპრესი ოჯახთან ერთად პარიზის ქუჩებში დაიარება სამუშაოს საპოვნელად. რომანი მსგავსი ტრაგიკული სცენებითაა სავსე. ჯული, რომელიც გადაწვეტს მეყვავილე გახდეს, თეატრის წინ პოეტების ნაწყვეტების წაკითხვით ყვავილებს ჰყიდის. მთხრობელი, ხანდახან ჯულის საკუთარ ნაწყვეტებს აკითხინებს. ამით თვით მწერლის პოეტური იმპროვიზაცია ნაჩვენები. შეიძლება პარალელები გავავლოთ რომანში „დიპლომიანი გოგონა“ ჯულის უხემ შევიცარსა და ელიას ჯანეტის რომანში „სიბრმავე“ კიენის შევიცარს შორის. აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ რომანი 1891 წელს ხოლო ელიას ჯანეტმა 1939 წელს დაწერა. ამ მაგალითით შემდეგი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია: აჰმეთ მითჰათ ეფენდი საერთაშორისო რომანისტია.

მისი ნაშრომები დიკენსის, ტოლსტოის ზოლას მსგავსად მთელმა მსოფლიომ უნდა წაიკითხოს, აჰმეთ მითჰათ ეფენდის დასავლეთში განათლებისთვის წასულმა გმირებმა იციან თუ რას იპოვნიან იქ. დასავლეთში, დაბინძურებული ადამიანობისა და სამართლიანობისთვის მიდიან. „თურქი პარიზში“ ნასუჰი, „დემირ ბეი ან აყვაგების საიდუმლო“-ში მუსტაფა ქამერუდინი, დასავლელი ქალისადმი პატივისცემას ისწავლიან. პარიზელი ქალები ყალბი ურთიერთობისაგან დაღლილები არიან. ოსმალეთელ ახალგაზრდებში, რომლებსაც ისინი ძალიან უყვართ, არც კი ეპარებათ ეჭვი.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის მნიშვნელობაზე ან მის წვლილზე არასოდეს ყოფილა საუბრები. თუმცა ხალით ზია მის ნაშრომებზე გაიზარდა და ეს მართლაც ასეა. მისი უარყოფის მთავარი მიზეზი, უეჭვოა რომ აბდულაზიზის სიკვდილის საიდუმლოება მითჰათ ფაშას ამბებთანაა დაკავშირებული. სხვა მხვრივ, აჰმეთ მითჰათ ეფენდი რომანით „რატომ შემდეგ“ სიტყვისა და ფრაზების კლიშეს გამომგონებლად ითვლება. მის შემდგომი რომანისტები, დღესდღეობითაც კი ამ კლიშეებს იყენებენ. სამწუხაროდ, იდეოლოგიური კრიტერიუმები, ადამიანს სინამდვილის წინაშე აბრმავებს და მათი კრიტიკაც კი ბრმაა. ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვისას, აუცილებელია იმ პერიოდის იმ ხანის შესახებ ცოდნა. ჯეიმს ჯოისის, ელიას ჯანეტის, თომას მანის ნაშრომების კრიტიკის ჩარჩოებში პოლ დე კოკის გაკრიტიკება დიდი უსამართლობა იქნება. შესაბამისად, ის რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანები, თანზიმათის(რეფორმების) პირველ პერიოდში შემსედინ სემისა და ნამიქ ქემალის რომანებთან ერთად თანდათან ფორმას იცვლიდა და უფრო თანამედროვედებოდა და უკვე თანზიმათის (რეფორმების) შემდგომ პერიოდში უფრო დახვეწილი და მნიშვნელობით ძლიერი გახდა უსამართლო მსჯელობაა. მისი რომანი იმ პერიოდის ძლიერი ფორმისა და მნიშვნელობის მატარებელია. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანზიმათის პერიოდის ინტელიგენციის უმრავლესობა მის რომანებზე გაიზარდა.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლიტერატურული პიროვნება შემდეგნაირად შეგვიძლია დავახასიათოთ:

1) რეფორმების პერიოდის ყველაზე პოპულარული მწერალი, რომელიც მთელი გულით წერდა, სახელმწიფოს სხვადასხვა სამსახურში მოღვაწე, ჟურნალისტი, ხელოვანი.

2) ის მაშინდელი საზოგადოების განათლებისთვის წერდა.

3) ის მრავალმხრივი შემოქმედია, მის კალამს ეკუთვნის 200–მდე ნაშრომი.

4) მისი ძირითადი ინტერესის სფეროებია: ჟურნალისტიკა, მხატვრული ლიტერატურა, თეატრალური წერილები, ეკონომიკა, პედაგოგიკა, რელიგია, ფილოსოფია, ისტორია, სახელმძღვანელოები და ა. შ.

5) მწერალი თავისი შემოქმედების ძირითად დანიშნულებად საზოგადოების სულიერ–ინტელექტუალურ და ფილოსოფიური–ფსიქოლოგიური ცოდნის მიწოდება ხალხისთვის, რასაც თან ერთვოდა ყოფითი სოციალური პრობლემების მათთვის მისაწვდომ ფორმებში დახატვა და მიწოდება, რაც მხატვრული ნაწარმოების წაკითხვასთან ერთად საზოგადოებასი კითხვის სიყვარულსაც დანერგავდა.

6) მწერლის სტილური მრავალფეროვნება მისი ბიბლიოგრაფიის ჩამონათვალითაც თვალსაჩინოა, ის სათქმელის გადმოსაცემად არჩევს სხვადასხვა გამოსახვის ხერხებს, ჟანრობრივად მწერლის შემოქმედება მრავალმხრივია: მოგზაურობა, თავგადასავალი, სიყვარული, ისტორია, საიდუმლოები და სხვ.

7) აჰმეთ მითჰათ ეფენდის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ე. წ. სახუმარო ჟანრის ლტერატურას, მას ეკუთვნის „სახუმარო მოთხრობების“ 24 ნაწილიანი ბიბლიოთეკის სერია. მწერლის სტილური მრავალფეროვნება ჩანს სინამდვილის მეტაფორულად გადააზრებაში, რაც საინტერესოაა გამოყენებული ამ მოთხრობებში.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიბლიოგრაფია:

ამ ნაშრომის მომზადების დროს ბევრი წყარო იყო გამოყენებული. ასევე მნიშვნელოვანი იყო წიგნების კლასიფიცირება ჟენევის მიხედვით კლასიკოსით,

ქრონოლოგიური წესრიგის წიგნების დახარისხებისაც საინტერესო იყო. შემოქმედების ეს ჩამონათვალი მკითხველისათვის საჭირო და საინტერესო იქნება.

ამგვარად, ბიბლიოთეკაში არსებული აჰმეთ მითჰათ ეფენდის საკუთრებაში არსებული საავტორო და თარგმნილი წიგნების რიცხვი დაახლოებით 230-ს შეადგენს. თუ მიემატება გამოქვეყნებული სტატიები ჟურნალებში და გაზათებში, სავარაუდოა, რომ ეს რიცხვი დაახლოებით 250 იქნება.

მისი გამომცემლობითი ცხოვრების ყოველ ნაყოფიერ წელს ერთ რომანს მატებდა, მის კალამს 34 რომანის კრებული ეკუთვნის, დღესდღეობით მისი განსხვავებული მოჰაეჟრე შეხედულებების შეფასება და მისი გახსენება როგორც „რომელიმე მხარის დამჭერი მწერალად“ ან „ყბედ ადამიან“-ად, მის მიმართ ჩადენილი უსამართლობის მტკიცებულება იქნება. აჰმეთ მითჰათი ეფენდი ალექსანდრე დიუმას, ემილ გაბორიუს, პოლ დე კოკის, მარი ანა რედკლიფის, ოქტავ ფეილეტის თარგმანს აკეთებდა და მის ნათარგმნებს რა თქმა უნდა ამ მწერლების გავლენა ეტყობა. პოლ დე კოკის, დიდი ფრანგი რომანისტის მიზეზით, ჯოისის „ულისეს“ ტექსტებში სიტყვის თემა თვალს მიღმა არ უნდა დარჩეს. მეორე მხრივ, მითჰათ ეფენდიმ, სერვანტესის და ბალზაკის მსგავსი დიდი რომანისტების რომანის წაკითხვის შემდეგ მთელი ცოდნა თავის ნაწარმოებებში გადმოსცა.

სამწუხაროდ, აჰმეთ მითჰათ ეფენდის ლათინურ ანბანზე ციტირებული ნაშრომების ნაწილი დაიკარგა. მწერლობის მიმართ პატივით აღსავსე, საკუთარ თავს „საბეჭდი მანქანა“ -ს კი არა, „მწერლობის მუშა“-ს უწოდებდა,- მისი მოკრძალებული სტილი - ნამდვილად ღირს რომ არასოდეს მიეცეს დავიწყებას.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიბლიოგრაფია შემდეგნაირად დავალაგეთ:

მოთხრობები: შესაძლებელია ამ ტიპის ტექსტების შეჯამება ორ ჯგუფში. პირველი არის მოკლე/პატარა ჟანრის ტიპით მოთხრობები, მეორე კი სახელად რივაიათ გრძელი/დიდი. არსებობს ლიტერატორთა შეხედულებები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი დიდი ამბავი, შეიძლება ჩაითვალოს რომანებად. სინამდვილეში, თავადი მწერალი ამ ნაწერებს მოთხრობებად მიიჩნევს.

რომანები: ზოგიერთი წიგნი ძალიან მოცულობითია, დანარჩენები კი საშუალო ზომისაა. დაახლოებით 40 რომანი არსებობს, აქედან 35 დიდი და 5 საშუალოა.

თეატრალური წერილები: ესენია აჰმეთ მითჰათის ნარომები, მაგრამ იმდროინდელი ადამიანების მოგონებებს თუ მეტი ყურადღებით მოვეკიდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ბეიქოზის რაიონში მოქმედი თეატრებისა და იმ თეატრებში წარმოდგენილი სანახაობების შესახებ ამომწურავი ცნობები არ შემონახულა. შესაძლოა არც იყო, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ინფორმაცია არსებობდა, თუმცა დრო-ჟამისგან უკვალოდაა გამქრალი. ამიტომაც ამ წერილების შესწავლა საინტერესო იქნება თეატრის ისტორიისთვის.

მოგონება: მოგონებების ერთადერთ წიგნს, რომელიც ამჟამად ხელთ გვაქვს, უნდა ვუმაღლოდეთ მწერლის ვაჟს ქამილ იაზგიჩს, რომელმაც შეკრიბა მამის მოგონებები და წიგნად გამოსაცემად მოამზადა.

მოგზაურობა: ამ მოგზაურობათა ციკლიდან ერთ - ერთი ეხება მწერლის საზღვარგარეთ, მეორე კი ანატოლიაში მოგზაურობას. წიგნებში საინტერესოადაა აღწერილი მწერლის შთაბეჭდილებები თანზიმათის (ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი წლები) და დასავლეთ ევროპაში მოგზაურობის შესახებ.

ისტორიული წიგნები: ჩვენთვის ცნობილია, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდი დაინტერესებული იყო ისტორიით, უფრო მეტიც, ის თავად იყო ანგარიშგასაწევი ისტორიკოსი. მისი აზრით, ლიტერატურასა და ისტორიას ერთი ძირეული ნიშანი განასხვავებდა. ისტორია ყოველთვის ემყარებოდა რეალურ ფაქტებს, ხოლო ლიტერატურულ ძეგლებში ბევრი იყო მხატვრული გამონაგონი, აქ მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ფაქტი, არამედ მომხდარის მწერლისეული შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალური მწერლობა არ განიცდიდა ისტორიკოსთა სიმცირეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის მოღვაწეობამდე თითქმის არ შექმნილა უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი ნაწარმოები. „ისტორიული რომანის მამად“ წოდებულმა აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ დაწერა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი ძალიან საინტერესო ნაშრომი. მიუხედავად ისტორიკოსთა სიმრავლისა, მასზე უფრო პროდუქტიული მწერალი არ არსებობს.

რელიგია და ფილოსოფია:მართალია, აჰმეთ მითჰათ ეფენდის არაერთი წიგნი აქვს დაწერილი, სადაც განხილულია სარწმუნოებრივი და ფილოსოფიური საკითხები, მაგრამ არა იმიტომ, რომ სურდა მაჰმადიანთა დაცვა, მათ უპირატესობაზე საუბარი, არამედ იმიტომ, რომ გონიერ კაცს წაეკითხა, შეესწავლა, დაფიქრებულიყო და თავადვე გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. იგი ფილოსოფიურ საკითხებზე ხან პირდაპირ, დაუფარავად, ხან კი ქარაგმულად წერდა, თითქოს მინანიშნებდა მთავარ სათქმელზე.

ეკონომიკა, პედაგოგიკა და სხვა: აჰმეთ მითჰათ ეფენდი ბევრს წერდა, განსხვავებულ საკითხებსა და თემებს ეხებოდა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი შეხედულებები ლიტერატურის თეორიის შესახებ.

სახელმძღვანელოები: აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ სახელმძღვანელო წიგნებზე მუშაობისას იგრძნო საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროება, რათა საუბრისას ნააზრევს უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეღო, ამ მიზნით ის დაუკავშირდა მეჰმეთ აკიფს (მეჰმეთ აკიფ ერსოი - თურქეთის ამჟამინდელი ჰიმნის ტექსტის ავტორი). ისინი ერთად მუშაობდნენ უნივერსიტეტში (ოსმალური სახელწოდება - დარუფუნუნი), მათ ერთად მოამზადეს სახელმძღვანელო წიგნი, თუმცა იმ პერიოდში საჭიროდ არ ჩათვალეს ამ წიგნის დაბეჭდვა. მოგვიანებით, წლების შემდეგ, მათი ნააზრევი აქსეჯის მკვიდრმა აჰმეთ ჰამდიმ ერთ წიგნად შეკრიბა და დაბეჭდა.

2.3. აჰმეთ მითჰათ ეფენდის შეხედულებები

XIX საუკუნეში თურქეთი ევროპის წამყვან სახელმწიფოთა შორის გამუდმებული დაპირისპირების ასპარეზად გადაიქცა, რადგან ისინი თავიანთი გავლენის გაფართოებისათვის იბრძოდნენ. სასულთნოსა და სახალიფოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება ნიშნავდა აწ უკვე ახალ ნაციონალურ საზოგადოებაში საკუთრივ თურქული იდეოლოგიის განმტკიცებას განსხვავებულ კულტურათა სინთეზის ჭრილში. XIX ს. მეორე ნახევარი, თურქული ეროვნული

თვითშეგნების გამოღვიძებით ხასიათდება. ამის მიზეზი იყო ოსმალეთის იმპერიის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო სარბიელზეც. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მტაცებლური ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, მათი მიღწევების, იდეების, საზოგადოდ, კულტურის შესწავლა ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური წრეებისათვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა. საზოგადოებას, რომელიც ქვეყნის განვითარების ახალ გზებს ეძიებდა, თავისი არჩევანი ან ტრადიციულ აღმოსავლურ ან დასავლურ ღირებულებებს შორის უნდა გაეკეთებინა.

როგორც აჰმეთ მითჰათ ეფენდის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევამ გვიჩვენა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მწერალი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მიმართულებას თურქული საზოგადოების ევროპული განათლების რადიუსზე გამართვისთვის იყენებდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ევროპულ კულტურას ზიარებოდა. მწერლის მთავარი მიზანი დასავლური ელემენტების შეტანაა თურქულ მწერლობაში. ნებისმიერი შემოქმედის ლაბორატორიაში მხატვრულ ღირებულებაზე ზრუნვა მთავარია, მაგრამ მწერალი, უმთავრესად, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნავს, რადგანაც მისი შეხედულებით თუ ბევრს ისაუბრებდა ლიტერატურაზე, ისტორიაზე, სხვადასხვა მეცნიერებებზე, ამით მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა სხვა დანიშნულებას მიიღებდა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ევროპული ორიენტაციის მწერალი იყო, აჰმეთ მითჰათ ეფენდი თვლიდა, რომ რომანისტიკაში მწერალმა უნდა იხელმძღვანელოს ნაციონალურ იდენტობის პრინციპებით. მხატვრულ ნაწარმოებებში უნდა აისახოს ეროვნული კულტურა და ტრადიციები. აჰმეთ მითათ ეფენდის აზრით, რომანი არის განზოგადებული ადამიანის სახე, რომელიც რეალური ცხოვრებიდან ქალაქდზე კალმით არის გადმოტანილი. რომანი, ზოგადი მორალიდან გამომდინარე ქცევების აუცილებლობაა. როგორც ევროპული რომანი ეკუთვნის ევროპას, ისე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენი რომანიც ჩვენ.

თარგმანთან მიმართებით მწერალი თვლის, რომ მხატვრული ნაწარმოები, ნებისმიერი ქვეყნიდან რომ ითარგმნოს აუცილებლად კარგად უნდა ფლობდეს

ევროპისა და ოსმალეთის კულტურასა და ყოფას. ის ხაზს უსვამს რომანის თარგმანის სპეციფიურობას და უპირატესობას ანიჭებს კონტექსტუალურობას, სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია მისი, როგორც პიროვნებისა და მწერლის ჩამოყალიბება. მის მიერ თარგმნილი ტექსტები გამოირჩევა სიზუსტით, თუმცა თარგმანში, როგორც კრიტიკოსები შენიშნავენ, ევროპულის მიბადვის ნიშნებიც არსებობს. მწერალი გამოხატავს სურვილს, ითარგმნოს ისეთი ნაწარმოებები, რომელიც თურქ ხალხს დაანახებს დასავლური ლიტერატურის უპირატესობას. მწერლის ნაწარმოებები, ძირითადად, შემეცნებითი ხასიათისაა. რისი დამსახურებაცაა მოვლენების ქრონოლოგიური გადმოცემა, თავისი შეხედულების **დაფიქსირება და მეზღაპრეობის მეთოდის გამოყენება.**

მწერლის შეხედულებებს, მის ნაწარმოებებში ასახული პერსონაჟები გამოხატავენ, აჰმეთ მითათის შესახებ მეჰმეთ ქაფლანი წერდა: „აჰმეთ მითათის თავის რომანებში, იმ პერიოდისათვის აქტიური საზოგადოებიდან უსაქმურ და უარყოფით ტიპებს ქმნიდა. ამ ტიპის პერსონაჟები წარმოადგენენ გმირებს. მითათ ეფენდი ცდილობს შექმნას განსხვავებული გმირები ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა შავთვალა და შუა თამაში, და ალაპარაკოს ისინი მუდამ. აჰმეთ მითათი, თავის მობეზრების გარეშე, საუბრით, გართობით ცდილობს მკითხველამდე მიიტანოს მორალი და ცივილიზაცია. ამ მეთოდმა ის **ჭორაობის მოყვარული** გახადა. ქაფლანი ამტკიცებს რომ აჰმეთ მითათში არ არის შინაარსისა და წერის მანერის შიში“ (ქაფლანი, 2005: აპა)

აჰმეთ მითათს მოვლენები ყოველდღიური ცხოვრებიდან გადაქონდა ნაწილი კი გაზვიადებული მოვლენებიდან აქვს აღებული (ფერმერი ჰუსეინი, მოცეკვავე ქალი, მეორედ მოსვლა). თვალშისაცემია ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდები ნაწარმოებში „მუშეჰადეთ“. პირველ რომანებში რომანტიზმის, ხოლო შემდეგი პერიოდის ნაშრომებში რეალიზმისა და ნატურალიზმის ზეგავლენის ქვეშ დარჩა. აჰმეთ მითათი ფიქრობს, რომ რეალიზმისა და ნატურალიზმის ზეგავლენის ქვეშ დაწერილ რომანებთან შედარებით, რომანტიზმით დატვირთული ნაშრომები უფრო ლამაზია. აქედან გამომდინარე, ამ მოძრაობების სხვაობების მოყოლილი ამბებითა და მწერლის მსოფლმხედველობით ვხედავთ. მაშინ როცა რომანტიზმი ეფუძნება სილამაზეს,

რეალიზმი და ნატურალიზმი ცუდისა და სიმახინჯის ჩვენებაზეა დაფუძნებული. რომანში, უტილიტარიზმის მომხრე აჰმეთ მითათი, ცდილობს ასწავლოს ადამიანებს ცხოვრებისადმი ხედვა და სილამაზის აღქმა.

აჰმეთ მითათის აზრით, რომანს მხოლოდ გართობითი და შემეცნებითი დატვირთვა უნდა ჰქონდეს. თუმცა ყოველ რომანს აღენიშნება კვალი იმ პერიოდისა, რომელშიც დაიწერა იგი. ის ფიქრობს, რომ რა პერიოდშიც არ უნდა დაიწეროს რომანი, მას აქვს “წარმოდგენითი დატვირთვა“. მოჩვენებითობას ლიტერატურის არსი ეთანხმება. ის მოგვითხრობს, რომ რომანი წარმოსახვითი წარმოდგენაა.

მწერალი თავისი შეხედულებებით წარმოგვიდგება თურქული ენის დიდ მოამაგედ. იგი თავის ნაწარმოებებში მცირე დოზით იყენებს არაბულ, სპარსულ სიტყვებს და გამონათქვამებს, ღია და პირდაპირი თურქულით წერს. ის, არაბულიდან და სპარსულიდან სიტყვის, წინადადების კალკირების წინააღმდეგია. როდესაც სიტყვა შესაძლოა წარმოითქვას თურქულად, ის საჭიროდ არ თვლის მათ ნაცვლად არაბულის და სპარსულის გამოყენებას. მისი სურვილია აკადემიური ენის დამკვიდრება სასაუბრო მეტყველებაში. იგი მომხრეა, რომ მხატვრული ნაწარმოები შეიქმნას მარტივ, ხალხისათვის გასაგებ ენაზე. მწერალი თავისი წინამორბედების მიმდევარია და თვლის, რომ ენის თავისებურებების შენარჩუნებისთვის უცხო ელემენტებისგან თავის არიდება ჯობია. მითათ ეფენდი, რომელიც ცნობილია ზედმეტსახელით „წარსულის მეთაური“ მასის გათვალისწინებით დიდაქტიკური ნაშრომების შექმნისას საზოგადოებისთვის მარტივად გასაგებ ენას ანიჭებს უპირატესობას. მარტივ ენასთან ერთად ფორმულირების სიმარტივეც აღსანიშნავია. თავის ნაწარმოებების წავლების მსგავსშინაარსს მოიცავდა, რომელიც ძირითადად მოწოდებებით „ისწავლე გამოცდილებით“ სრულდებოდა.

აჰმეთ მითათი 1900 წლებში თურქული ასოციაციის შემქმნელებს შორის გვევლინება. თურქეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიული აზროვნებით მიიქცევს ყურადღებას. ის ამტკიცებს რომ, აფრიკაში მცხოვრები ხალხის რაღაც ნაწილი თურქები არიან. აჰმეთ მითათი წარმატებული მწერალია, რომელმაც ხალხში გააღვივა კითხვის ინტერესი და სიყვარული. ხალხში ცოდნისა და ღირებული შეხედულების გადრმავეებაში

წარმატებული ხელოვანის სახელით მისი შემოქმედება არის დიდი მნიშვნელობის მატარებელი.

აჰმეთ მითჰათი კონსერვატიზმის წინააღმდეგია, მისი წერის მანერა კითხვის დაბალ დონეს უკავშირდება. მწერალი თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით ასე განგვიმარტავს: „მე არ დამიწერია არცერთი ნაწარმოები, იმისთვის რომ ჩაითვალოს ლიტერატურულ ნიმუშად. ვინაიდან ამ ნაწარმოებების შექმნისას, ხალხის უმეტესობა, ძირითადად, წარმოადგენდა ლიტერატურის უცოდინარ საზოგადოებას. ჩემი მიზანი უმრავლესობის განათლება და მათი დარდების თარგმნის მცდელობა იყო. ისედაც ლიტერატურული ნიმუშის შესაქმნელად არც საკმარის დრო და არც კალამი მქონდა“.

თურქული ლიტერატურის ისტორიის საერთო დებულება აჰმეთ მითჰათის შესახებ ასეთია: „მწერლის უმთავრესი მიზანი საზოგადოების განვითარება და კითხვის სიყვარულის დანერგვაა, აჰმეთ მითჰათ ეფენდი ხელოვნური შფოთვის ნაცვლად ხალხის განათლების შემოტანის სურვილის მქონე მწერალია. აჰმეთ მითჰათი საყურადღებოა როგორც მწერალი, რომელიც ფიქრობს და ცდილობს განათლების პოპულარიზაციას, იგი ცდილობს ხალხსა და ახალგაზრდებს მოუწოდოს საუკუნეს აუბან მხარი, მოემზადონ მომავლისთვის. დაბალი ლიტერატურული მნიშვნელობის მიუხედავად, ხალხის განათლების მისია საკმარისია იმისათვის, რომ მან შეინარჩუნოს ზედმეტ-სახელი „ხალხის რომანისტი“.

აჰმეთ მითათის სამწერლო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია პროზაულ-პუბლიცისტური ნაწერების შექმნა. მწერალმა თავის ნაწარმოებებში გაავრცელა შეხედულებანი იმის შესახებ თუ რომელი დასავლური რომანის წარმოშობის, განვითარების, არსებული მდგომარეობის და განსაკუთრებით კრიტიკის რომელ კონტექსტში შემოტანა იქნებოდა მართებული თურქულ რეალობაში.

აჰმეთ მითათი, თავის რომანებში ბაძავდა ევროპელ რომანისტებს. მის რომანებში ნაწარმოების სიუჟეტური კვანძი არ არის დაფუძნებული მხოლოდ გმირის ავანტიურაზე. ერთზე მეტი გმირის თავგადასავალი ისეა მოწყობილი, რომ ერთი მეორეს ცვლის. მრავალრიცხოვანი ტექსტური წრეები რედაქტირებულია ამბის ან

მოვლენის გარშემო. რეალისტებისა და ნატურალისტების გმირების განვითარებულ გარემოსა და გმირებს შორის გაივლება პარალელი. ზოგიერთ ნაწარმოებში არაორდინალურ სახეებსაც წააწყდებით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აჰმეთ მითათ ეფენდი, ფიქრობდა იმ საკითხებზე რაც იმ დროის მწერლებს არც კი მოსვლიათ აზრად, როგორცაა ოსმალთა გამარტივება და კლასიკური საკითხები. დასავლური ორიენტაცია ზნეობრივი და კულტურული სხვაობისკენ მიუთითებს. შრომით განვითარებაზე, ცოდნის და გამოცდილების გაზრდაზე, საზოგადოების ყველა ნაწილის განათლებაზე საუბრობდა და ზრუნავდა იმისთვის, რომ სახელმწიფო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან. მხარს უჭერდა ახალგაზრდა მწერლებს, ჩვენთვის უნიკალური ლიტერატურის შექმნისათვის. მწერლის პროგრესულ შეხედულებაზე უნდა მივიჩნიოთ საზოგადოების ყველა ფენასთან კომუნიკაციის არსის დაფასება, მათი შენარჩუნება და რელიგიურ-კულტურული ფასეულობების დაცვა.

როგორც თურქული კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიკოსების მოკლე მიმოხილვამ გვიჩვენა აჰმეთ მითათ ეფენდი ხალხისათვის წერდა, მათი განათლება იყო მთავარი მიზანი მისი მწერლობისა, იმ პერიოდის ინტელიგენციას იდეებით მიმართავდა. მან ოსმალეთის საზოგადოებას დასავლური ცივილიზირებული სამყარო მთელი პასუხისმგებლობით აუხსნა და გააცნო ის ძირითადი ტენდენციები, რაც მაშინ განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა.

თავი III

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“

მხატვრული ანალიზი

3.1. რომანის დაწერის თარიღი და ჟანრობრივი თავისებურებები

აჰმეთ მითჰათ ეფენდი (1844–1912) თურქული ლიტერატურის ერთ–ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. იგი, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში რეფორმების პერიოდის სახელით ცნობილ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აჰმეთ მითჰათ ეფენდი მუდმივად სიახლეებში მყოფი ავტორია, სწორედ ამიტომ, მის სახელთან ბევრი ინოვაციაა დაკავშირებული. მაგალითად: მან დაწერა პირველი დეტექტური რომანი („დანაშაულნი სასტიკნი“); მან გამოსცა პირველად მოთხრობების კრებული („ჰამზავნი თავშესაქცევნი“); მის კალამს ეკუთვნის ნატურალისტური რომანი („აღმოჩენანი“) და სხვ.

როგორც ჩვენი საკვლევი ნაწარმოების ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე მთარგმნელი აბდულაჰ თათაროღლუ წიგნის წინასიტყვაობაში წერს, ნაწარმოები თავდაპირველად გაზეთში „მაცნე ჭეშმარიტებისა“ დაიბეჭდა, წიგნი ოსმალურ ენაზე გამოვიდა 1889 წელს და შემდეგ არ დაბეჭდილა. მეორედ წიგნი 2003 წელს, თურქული პალატის ინიციატივით, თანამედროვე ანბანით გამოიცა. თანამედროვე თურქულ ენაზე რომანის თარგმანი 2015 წელს გამოიცა. ეს რომანი ლიტერატურის ისტორიკოსების, კრიტიკოსებისა თუ მკვლევართა მიერ ბიბლიოგრაფიებში იხსენიება, თუმცა მისი შინაარსის მიმოხილვა არსად გვხვდება. „ქართველი ასულის შურისძიება“ ეგზოტიკური

რომანის ჟანრს განეკუთვნება. აღნიშნული ლიტერატურული მიმართულებაც სწორედ აჰმეთ მითჰათ ეფენდიმ დაამკვიდრა თურქულ ლიტერატურაში (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 5). რაც შეეხება აჰმეთ მითჰათ ეფენდის რომანს, მალევე, როგორც კი თანამედროვე თურქულ ენაზე ითარგმნა, მისმა ქართულმა თარგმანებმაც არ დააყოვნა. იგი ოსმალური ენიდან 2016 წელს თარგმნა თამარ ალფენიძემ, რომელმაც წყაროდ რომანის 1895 წელს ოსმალურ თურქულად გამოცემული წიგნი გამოიყენა და იმავე წელს თანამედროვე თურქული ენიდან თარგმნა თამარ თევდორაძემ.

ლიტერატურის თეორიებში ვრცლადაა განხილული ჟანრის გვარსახეობის თავისებურებანი. ჟანრი და გვარი ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია – სწორედ ის უზრუნველყოფს ლიტერატურული პროცესის ერთიანობასა და მემკვიდრეობითობას. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს კლასიფიკაცია ლიტერატურაში სიტყვისთვის „ადგილის დამკვიდრების პირობებია“, ასწლეულების მანძილზე შემუშავებული და დაკანონებული. გვარი და ჟანრი განსაზღვრავს თხრობის თავისე ბურებას „ჟანრი მხატვრულ ნაწარმოებთა ფორმისა და შინაარსის სპეციფიკურ ნიშანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობაა, რომელიც სხვადასხვა პრინციპით არის დიფერენცირებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ჟანრი მხატვრულ ლიტერატურაში დიფერენცირებულია რამდენიმე პრინციპით და, ამდენად, განიხილება სხვადასხვა სიბრტყეში: ა) ლიტერატურულ გვართან დამოკიდებულებით არის ეპიკური ჟანრი (გმირული პოემა, რომანი, მოთხრობა), ლირიკული ჟანრი (ოდა, ელეგია, ლექსი, სასიმღერო ლექსი), დრამატული ჟანრი (ტრაგედია, კომედია, დრამა); ბ) შეფასებით-ფსიქოლოგიური განწყობის საფუძველზე (სატირული, პათეტიკური, ტრაგიკული, იუმორისტული); გ) მხატვრული სახის აგების პრინციპის საფუძველზე (სიმბოლიკა, ალეგორია, დოკუმენტურობა). ყოველი ჟანრის შიგნით გამოყოფილია მრავალი სახეობა, შესაბამისად დიფერენცირებული სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე“ (ჭილაია, 1984: 254).

ჟანრი წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს, სახეს, რომელსაც ახასიათებს ფორმის სპეციფიკური თავისებურებები და შინაარსის ერთიანობა. ჟანრი წარმოადგენს ტიპოლოგიურ, ისტორიულად მდგარდ

მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა ეპოქისა და ლიტერატურული მიმართულების ნაწარმოებისათვის (გაფრინდაშვილი, 2008:278) ჟანრობრივი ფორმების თეორიული და საბუთებასაკმაოდრთულია, რადგან მხატვრული ლიტერატურის მრავალგვარობა ხელს უშლის უწყვეტი კატეგორიების ჩამოყალიბებას. ამასთან, ჟანრობრივი კლასიფიკაცია იცვლება, რადგან განუწყვეტელი ცვლებათვის მხატვრული ლიტერატურა დამისი ჟანრობრივის ისტემის ცნება.

ბუნების ქმნილება თამსგავსად, ჟანრები იბადებიან, იზრდებიან და გარდაიცვლებიან, ან სხვა მონათესავე ჟანრებში გარდაისახებიან. მათ დაბადებას, ისევე როგორც ყვავებას ან ტრანსფორმაციას, ხელს უწყობს ისტორიული თუ სოციალური ვითარება, ასევე, სხვადასხვა გარემოება. ჟანრებს შორის მხოლოდ ისინი ძლიერდებიან, რომელთაც ვითარების თავის სასარგებლოდ მოხმარების უნარი შესწევდათ, ერთის იტყვიით, ჟანრები ბუნებრივ შერჩევას ექვემდებარებიან. ერთი ჟანრი გზას უთმობს მეორეს, მაგრამ მთლა დკი არა ღიგვება პირისაგან მიწისა, არამედ გადაინაცვლებს მეორეში. ამგვარად, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურის მსვლელობაშიც, ცხოვრებისათვის ჭიდილისა და ბუნებრივი შერჩევის გზით, ხდება ევოლუცია.

ჟანრის ევოლუცია ძირითადად ეპოქის მოვლენებთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ. როგორც ჩანს, ეპოქის ხასიათი, რიტმი, დროის „აკადემიზმი“ თუ ლირიზმი“ ბევრად განსაზღვრავს ჟანრის სახეს, მაგრამ, ალბათ, მაინც ზედმეტი სითამამე იქნებოდა ჟანრის დაყოფა „თანამედროვე“ და „მომავალ“ ჟანრებად. მთავარია, მიღწეული იყოს ფორმისა და შინაარსის ჰარმონია, გამოკვეთილი იყოს ავტორის პოზიცია და დასმულ პრობლემებს აქტუალობის იერი ჰქონდეთ (მიშველაძე, 2000: 116) ჟანრიც ჩარჩოა, რომელშიც მწერალი მკითხველის წინაშე გამოჟენს თავის რეალიზებულ ჩანაფიქრს, თუმცა მწერალს, თეორეტიკოსისგან განსხვავებით, უფლება აქვს, გარკვეულ ექსპერიმენტზე წავიდეს.

ლიტერატურულ პროცესთა აღსაწერად ჟანრული ნარატივი მთავარი მაუწყებელია არა მხოლოდ ტექსტის, როგორც ჩაკეტილი, თვითკმარი სინამდვილის შესახებ, არამედ გარეტექსტობრივი, გარელიტერატურული სინამდვილისა და ლიტერატურის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. კითხვა: ლიტერატურა ქმნის სინამდვილეს, თუ სინამდვილე ლიტერატურას, – ტექსტის ავტონომიურობის, თუ მისი გარეგანი დეტერმინაციის ტრადიციული და ახალი ინტერპრეტაციებით, – არსებითადაა დაკავშირებული ჟანრის საკითხთან (ტრაპაიძე, 2012: 368)

დასავლეთის კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეიქმნა ტექსტის მრავალი სახეობა, რომლებიც თავდაპირველად ლიტერატურულ ჟანრებს არ განეკუთვნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ლიტერატურის ცნების გაფართოების შედეგად (XX საუკუნეში), ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის ობიექტად იქცა. ამგვარი თხზულებები შინაარსობრივად შეიძლება არც იყოს ფიქციური, მაგრამ თავიანთი ესთეტიკური ფორმით (გამოყენებული ლიტერატურული ხერხებით) ისინი ლიტერატურას განეკუთვნებიან. თუმცა ლიტერატურული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, ნახევრადფიქციური ჟანრები სრულიად მოკლებულია ავტონომიური ესთეტიკისთვის დამახასიათებელ თვითმყოფადობას: ისინი გარელიტერატურულ, არასახელოვნებო მიზნებს (ინფორმაციის გავრცელება, განსწავლა, გართობა, კრიტიკა, დარწმუნება, აგიტაცია) ემსახურებიან.

მემუარებში ანუსამოგზაურო ჟანრის პროზაულ ნაწარმოებებში ავტობიოგრაფიებისგან განსხვავებით უკვე ჩამოყალიბებული პიროვნების საზოგადოებრივად ღირებული საქმიანობის შესახებაა მოთხრობილი. ავტობიოგრაფიული თხრობის ერთ-ერთი სახეობაა **სამოგზაურო ლიტერატურა**, რომელშიც მოგზაურობის დროს მიღებული ნამდვილი შთაბეჭდილებები და განცდებია გადმოცემული. შეიძლება ითქვას, რომ სამოგზაურო წერილი / ანგარიში ყველაზე ძველი ნახევრადფიქციური ჟანრია. მოგზაურობის (გზის) მოტივი ანტიკური ეპოქიდან გვხვდება ლიტერატურაშიც (ოდისეა, ენეიდა) და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რობინზონადებსა და განვითარების რომანებში (ცაგარელი, 2012:76) მოგზაურობა დოკუმენტურ-ეპიკური ჟანრებიდან ერთ-ერთია. ეს არის ნაწარმოები, რომელშიც გადმოცემულია მოგზაურობის

ამბავი: ჩვეულებრივ შედგება ავტორისეული აღწერის, თხრობისა და მსჯელობისაგან. მოგზაურობა ორგვარია: როდესაც ავტორი თავად მოგზაურობს და ქმნის დღიურებს ან მემუარებს, შესაბამისად, საინტერესოა და არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით, არამედ – ინფორმაციულადაც; ამავე ჟანრისაა ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტი და კომპოზიცია აგებულია რეალური მოგზაურობის აღწერის ფორმით. სამოგზაუროჟანრისნაწარმოებები

სცილდებიანვიწროლიტერატურულჩარჩოებსდასახალხოდებატებისსაგნადიქცევიან.

პერიოდულგამოცემებშიქვეყნდებაფელეტ-ონებისსახით. თუმცა,

სამოგზაუროგამოცდილებაწარმოგვიდგებაროგორცმწერლობისგანუყოფელინაწილი.

მკითხველისთვისთავიანთიგამოცდილებისგაზიარებისაუცილებლობა,

განცდაიმისარომგანსაკუთრებულიწუთებიდამდგარამათცხოვრებაში, რაც

ქმნისწერისსაჭიროებას.სამოგზაუროჟანრისნარკვევებისგანხილვაშეუძლებელიაიმისგაუ

თვალისწინებლადთურადიდაქტიკური, პოლიტიკური,

იდეოლოგიურიდაიდენტობრივიმიზნებისმატარებელნიარინესნაწერები.

სამოგზაუროჟანრიორიგინალურქართულმწერლობაშიდამკვიდრდა XVIII

საუკუნეში, რასაცხელიშეუწყოკონკრეტულმაისტორიულმაავითარებამ -

მუსლიმურიზოლაციაშიმოქცეულისაქართველოროგორცპოლიტიკური,

ისეკულტურულიინტელექტუალურითვალსაზრისითუკვემზადიყო,

ამიზოლაციისგარღვევისადასაერთო-

საკაცობრიოცხოვრებაშიჩართვისპროცესისათვისმიზანმიმართულიხასიათიმიეცა.

გახშირდაქართველმოდვაწეთამოგზაურობებიუცხოეთისქვეყნებში,

რასაცსხვადასხვამიზანიჰქონდა: წმინდაადგილებისმოხილვა,

საერთაშორისოავითარებისგარკვევა, დიპლომატიურმისიათაშესრულება,

სამხედროდასავაჭროსაქმეები, ქართულსიძველეთაგამოვლენადასხვ.

ევროპული ლიტერატურული ტრადიციის გამოვლინება აღმოსავლურ

კულტურულ ზონაში, ნიკოლაი კონრადის საგულისხმო დაკვირვებით, „იმ ფორმებსაც

ავლენს, რომლებითაც ეს გამოჩენა ხორციელდებოდა“ (კონრადი, 1972:320). „გამოჩენის“

მთავარ ფორმად კი კონრადი ენას მიიჩნევს: ევროპული ლიტერატურების „შეჭრა“

აღმოსავლური ლიტერატურების ზონაში ხორციელდებოდა აღმოსავლელი ავტორების მიერ ცალკეული ევროპული ენებისა და ლიტერატურების ზედმიწევნით ცოდნის ხარჯზე (ჰასეგავა ფთაბათეი, ჩუბოუტი შოო, მირზა მალკომი, ზეინ ალ-აბედინი და სხვ.). აღმოსავლური კულტურა და მწერლობა ყურადღებით უსმენს დასავლურს: იხსენებს რა „ოთხ მარტოსულ სტამბოლელ მწერალს“ (თანფინარს, იაჰია ქემალს, აბდულჰაქ შინას ჰისარს და რეშათ ექრემ ქოჩუს), ორჰან ფამუქი წერს: „თავის დროზე ყველა ეს მწერალი დაბრმავებული იყო დასავლური, ძირითადად, ფრანგული ლიტერატურით და დასავლური ხელოვნებით... ფრანგული ლიტერატურით და მთლიანად დასავლური ხელოვნებით გატაცების შედეგად ამ მწერლებმა დასავლური მანერით წერა დაიწყეს და უკან დასახევი გზა აღარ დაიტოვეს... ფრანგულმა ლიტერატურამ მათ არა მარტო თანამედროვე შეხედულებები, არამედ უტყუარობის, თვითმყოფადობისა და სინამდვილისკენ სწრაფვა შთააგონა“ (ფამუქი, 2012:168–169). ცხადია, ფამუქი აქვე არაერთგზის მიუთითებს პრობლემებზე, რომლებიც აღმოსავლელი ავტორების მიერ მალარმეს, ვერლენის, გოტიეს, ჟიდის, პრუსტის, და მაშასადამე, დასავლური კანონის მიღებას მოსდევდა და განსაკუთრებით მწვავედ მიიჩნევს „განხეთქილებას“, რომელიც არსებობდა წერის დასავლურ მანერასა და „ორიგინალურ“ აღმოსავლელ მწერლად დარჩენის რეალობას შორის, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ორი სამყარო ერთმანეთს უახლოვდებოდა. ამ ფონზე ზედმიწევნით კარგად რეალიზდა ქართული მწერლობისთვის ესოდენ ორგანული ტოლერანტობა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტურის მიმართ (რატიანი, 2016: 169–171). რადგანაც „ეროვნული ლიტერატურებისა და მწერლების შენაკადები,

რომლებიც ასაზრდოებენ მსოფლიო ლიტერატურას. მწერალი ჯერ ეროვნული ლიტერატურის საკუთრებაა და მხოლოდ შემდეგ იკავებს

ადგილს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში“ (გაფრინდაშვილი, 2012:318) ზემოთ აღწერილი დამოკიდებულებანი და ევროპული ლიტერატურის გავლენების ასახვა თურქულ ლიტერატურულ რეალობაში, თურქული ლიტერატურისა და ეროვნული თვითშემეცნების გაღვივების ეპოქაში შეიძლება ითქვას აჰმეთ მითჰათ ეფენდის დამსახურებაა. განსახილველი ნაწარმოებიც ევროპული ჟანრობრივი სივრციდან

ორიგინალურად გადმოღებული მხატვრული ხერხია და „ქართველი ასულის შურისძიება“ ესადაგება ყველა იმ ჟანრობრივ სტანდარტს, რაზეც ზემოთ გვეყონდა საუბარი.

ევროპელთა მიერ საქართველოს თავიდან „აღმოჩენა“ მე- 16 – მე- 17 საუკუნეებიდან დაიწყო. ინტერესი საქართველოსადმი, როგორც აღმოსავლეთის ეგზოტიკური ქვეყნისადმი, თავდაპირველად ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში გამოიკვეთა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები იტალიელმა მისიონერებმა გადადგეს. მნიშვნელოვანია ცნობილი იტალიელი მოგზაურის, პიეტრო დე ლა ვალეს ჩანაწერები საქართველოზე, ასევე ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნი „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი 1672-73 წლებში შარდენის საქართველოში მოგზაურობას მიეძღვნა. ავტორის უშუალო შთაბეჭდილებები შევსებულია ძველ ავტორთა ცნობებით საქართველოს შესახებ. წიგნში ვხვდებით ძველი თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის, მხატვარ გრელოს მიერ უნდა იყოს შესრულებული. ვატიკანის არქივებში დაცულია დონ პიეტრო ავიტაბილეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩის, ანტონიო ჯარდინას, დონ კრისტოფორო დე კასტელის, ანდრეა ბორომეოს და სხვათა საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები და ჩანაწერები და არქანჯელო ლამბერტის მიერ მე- 17 საუკუნის 50 -იან წლებში იტალიაში გამოქვეყნებული წიგნები – „სამეგრელოს აღწერა“ და „წმინდა კოლხიდა“, რომლებშიც მოცემულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წესჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა (ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, 2016: 7–8).

ამავდროულად მისი საქართველოს თემად ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაში ცვაჩნდა ანტიკური თქმულებები (არგონავტების მითი) თუსაისტორიო წყაროები (ტაციტუსის „ანალები“), ჯვაროსნებისა და ევროპელი მოგზაურების მონათხრობის საქართველოს შესახებ ევროპელ მწერალთა შემოქმედებაში აისახა.

ამასზოგჯერემატებოდაადმოსავლეთიდანმომდინარეზღაპრულითემატიკისმისტიფიცი
რებადასიუჟეტისსაქართველოშიგადმოტანა.ანტიკურ წყაროების თავისუფალი
გადამუშავებისსაფუძველზეჩანსშექმნილიინგლისელიდრამატურგების –
ფრანსისბომონტისადაჯონფლექტერისპიესა „მეფედაარამეფე“,რომლისმთავარიგმირი,
იბერიისმეფეარბასისი, სომხეთისმეფეს, ტიგრანსუპირისპირდება.მე- 17 საუკუნის 30-
იანწლებშიევროპაშიგახმაურდაქართველიდედოფლის,
მეფეთეიმურაზპირველისდედის, ქეთევანის, წამებისამბავისპარსეთისშაჰის, შაჰ-
აბასის, მიერ.
1633წელსამფაქტისშესახებოქსფორდშიდაიბეჭდაბერიგრეგორიუსისსაგანგებოწერილი,16
57
წელსკიგერმანელმადრამატურგმაანდრიასგრიფიუსმადაწერაბუნთმოქმედებიანიტრაგედ
იალექსად „ქართველიქალიეკატერინე, ანუნაცადისიმტიცი“,
რომელიცწლებისგანმავლობაშიწარმატებითიდგმებოდაევროპულსცენებზე. 1761
წელსვენეციისსცენაზედაიდგაიტალიელიდრამატურგისკარლოგოლდონისპიესა
„მშვენიერიქართველიქალი“,მოგვიანებითკიკარლოგოცისპიესები – „ქალიგველი“ და
„ლურჯიურჩხული“, რომელთამოქმედებიბერიაში (საქართველოში) ხდება(ქართული
ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე, 2016: 7–8). გვიან პერიოდში
საქართველოსადმი ინტერესი არ განელეებულა და ბევრი მოგზაური ეწვია მას,
შესაბამისად მოგზაურობის ჟანრის ნაწარმოებები უცხოელთა და ქართველთა მიერ
შესრულებული მრავლად მოიპოვება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. აჰმეთ მითჰათ
ეფენდი როგორც ძალიან ბევრი ლიტერატურულ–საგანმანათლებლო სიახლეების
ინიციატორი თავის ქვეყანაში, მოგზაურობითი ჟანრის ფუძემდებელიცაა, ჩვენთვის
საინტერესოა ის ფაქტი, რომ მან საქართველო აირჩია სამოგზაუროდ და ქართული
კულტურისა და ისტორიის გაცნობა დაისახა მიზნად თავისი მკითხველისთვის. ჩვენი
აზრით, ეს არაა შემთხვევითი, ამაზე მისი წარმომავლობა და ქვეყანაში მოსახლე
მუჰაჯირთა შთამომავლობის რაოდენობაც იქონიებდა გარკვეულ ზემოქმედებას.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნაწარმოების მცირე პარალელების გავლენაც კი ცნობილი
მოგზაურების მიერ აღწერილ საქართველოს ისტორიულ, კულტურულ, ეთნოგრაფიულ

და სხვა ტრადიციებთან, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები არის მხატვრული ჟანრის ეგზოტიკური რომანი, მას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც მოგზაურობის აღწერას შეეფერება მაშინდელი ევროპული სტანდარტებით, როგორც თარგმნილი წიგნის წინასიტყვაობაშია მითითებული „ნაწარმოების სახელწოდებაც და შინაარსიც მეტად საინტერესოა. როგორც აჰმედ მითჰათ ეფენდი იგონებს, რომანი გერმანელი მოგზაურის, გილომ სანქის მონაყოლზეა დაფუძნებული. თუმცა, ავტორი თითქმის ორი წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიას იკვლევდა. აღსანიშნავია, რომ წიგნში ასახული ისტორიული ფონი ეფუძნება საქართველოს ისტორიულ რეალობას“((აჰმედ მითჰათ ეფენდი, 2016: 6).

დავაკვირდეთ ევროპელ მოგზაურებს: „შარდენს შეუსწავლია საქართველოს შესახებ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობები, რასაც მისთვის საშუალება უნდა მიეცა უფრო ღრმად გაცნობოდა საქართველოს წარსულს. შარდენი საქართველოში ჩამოვიდა ისე, რომ მას ამ ქვეყანაზე გარკვეული, წინასწარ შემუშავებული აზრი უკვე ჰქონდა“(შარდენი, 2018:22–23)

უფრო გვიან დაიწერა ალექსანდრე დიუმას „კავკასია“, სადაც ცნობილი მწერალი მოგზაურის როლში გვევლინება და ისიც ასეთივე ცოდნას ამჟღავნებს რეგიონის მიმართ: ერთ ადგილას დიუმა აფრთხილებს მკითხველს, რომ იგი არაა მეცნიერი და კავკასიაზე მისი მსჯელობა უმთავრესად მოგზაურის შთაბეჭდილებებს ეყრდნობა. ეს მართალია, მაგრამ მწერალი არც მთლად დელეტანტი ჩანს კავკასიის ისტორიის საკითხებში. ჯერ ერთი დიუმა იცნობს ანტიკური ხანის მწერლებს, რომელთა ნაწერებში ასე თუ ისე აირეკლა კავკასიის და, კერძოდ იბერიისა და კოლხიდის შორეული წარსული. კავკასიის მწვერვალებს იგი ესქილეს შემოქმედების პიედესტალად თვლის, იცნობს ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს („ანაბაზისი“) ნაწერებს, არა ერთგზის ასახელებს ელინისტური პერიოდის გამოჩენილ პოეტ აპოლონიო როდოსელს არგონავტების მითთან დაკავშირებით. დიუმას ჩაუხედავს აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებშიც. ამის საბუთია წიგნის შესავალი თავი „პრომეთედან შამილამდე“, სადაც იგი ამჟღავნებს იბერია კოლხეთისა და ძველი სომხეთის ისტორიის უძველესი პერიოდის ძირითად ეტაპების ცოდნას, რამდენადაც მწერალს ამის საშუალებას აძლევდნენ ანტიკური

წყაროები (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ტაციტი, პომპეი ტროგი, განსაკუთრებით პლუტარქე და სხვ.) და მისი დროის ევროპელ მკვლევართა შრომები. უფრო გვიანდელი ხანის (მაგ, შუა საუკუნეების) მიმოხილვისას დიუნა ემყარება სოლიდურ შრომებს ამ ეპოქის შესახებ. მაგ, კავკასიის ისტორიასთან დაკავშირებით დიუნას წაუკითხავს დ'ოსონის კაპიტალური ნაშრომი მონგოლთა ისტორიის შესახებ და ა. შ (გაწერელია, 2018). როგორც ვხედავთ, ამ ჟანრის ნაწარმოების შექმნას წინ უძღოდა საკითხის გამოწვლილვითი ცოდნა და წინამორბედების ნაშრომთა გათვალისწინება.

დამოკიდებულება ხიფათისადმი შარდენის მთელი ნაწარმოების ლეიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს და ამსთანავე ლიტერატურული ხერხია, რომლითაც ავტორი სათანადოდ განაწყობს მკითხველს და ინტერესს უღვივებს მას მთელი შემდგომი ამბებისადმი. ავტორი საგანგებოდ აშუქებს ფერებს, მწვავე დრამატულ იერს აძლევს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბებს, თავის ყოველ ნაბიჯს წარმოსახავს ხიფათით აღსავსედ. ეგზოტიკით გატაცებული, იგი არარეალურ, ფანტასტიკურ თვისებებს მიაწერს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს. ყოველივე ეს ლიტერატურული თვალსაზრისით თითქოს ბუნებრივიცაა. 17 საუკუნის განათლებული ფრანგის სათავგადასავლო ამბით გატაცება არ არის მოულოდნელი.

შეიძლება ითქვას, რომ თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით ჩვენი მწერალი ეგზოტიკით გატაცებაში უფრო ზომიერია და ცდილობს რეალობა შემოიტანოს ამ ჟანრის ნაწარმოებში, თუმცა არც მხატვრული გამონაგონის სიმცირე შეინიშნება, როგორც ცნობილია, წიგნში დასახელებული პერსონაჟები არ არიან ისტორიული პირები, მათ შორის ყველაზე მთავარი პერსონაჟი მარიამ დედოფლის შვილი ელენე, ბატონიშვილი გადილა, დანიელი, ტიგრანი, მიჰრან ბარონი, პოლიციის უფროსი და სხვ. აქ რეალური და არარეალური ზომიერად ერწყმის ერთმანეთს და საბოლოოდ მხატვრული ხერხებისა და საინტერესო თხრობის ნაზავი მკითხველს კეთილად განაწყობს სამოგზაურო ქვეყნისადმი.

ნაწარმოებისთვის დართულ ბოლოსიტყვაობაში სწორადაა შენიშნული, რომ ავტორი საკმაოდ კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, და კულტურას, მას გული შეტკივა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხზე: „საქართველოზე იმდენად ვარ

შეყვარებული, რომ აქ მოგზაურობა არასდროს მბეზრდება. სამწუხაროა, რომ აქ უკვე რუსული გავლენა იგრძნობა. დიდია ალბათობა იმისა, რომ რუსული კულტურა და ცივილიზაცია ამ დარბაისელ ხალხზე ცუდ გავლენას მოახდენს და მათ დონეს დაამდაბლებს. ამაზე ფიქრისას საშინელ გულისტკივილს ვგრძნობ. ამგვარი კითხვების დასმა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ საქართველოში, ქვეყნის სასარგებლოდ, ბედის უცნაურობით, იმდენჯერ შემოტრიალებულა უკუღმა დაბრუნებული ჩარხი, იმდენი სასწაული მომხდარა სასოწარკვეთილების ჟამს, იმდენჯერ გამხდარა ეს ქვეყანა გამარჯვების მოწმე, რომ ამ ერთი შეხედვით შეუძლებელი ამოცანის შესრულებაც არ იქნებოდა გასაკვირი“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016: 75;105–106) მწერალს ცოცხალი მაგალითი მოჰყავს თავისი არგუმენტის გასამყარებლად და ასეა ეს მთელი ნაწარმოების განმავლობაში.

ქვეყნის ისტორიულ–პოლიტიკური რეალიების ცოდნა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებთა ავტორების ვალდებულებაა, რადგანაც ამ ცოდნის გარეშე მოგზაურობის აღწერა არ იქნება სრულყოფილი, ასე იყო აჰმეთ მითჰათის წინამორბედთა ნაშრომებშიც, პარალელი ისევ ჟან შარდენთან გავავლოთ: „როგორც მოსალოდნელი იყო, შარდენის თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებას. შარდენმა იცის, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, რომ იგი ერთ დროს ძლიერ და ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, და, რომ ეს ქვეყანა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დაიშალა ცალკე სამეფო–სამთავროებად. იგი ცდილობს გაიაზროს კიდევ, თუ რატომ მოხდა ეს ასე; მოაქვს ქვეყნის დაშლა – დაქვეითების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზები (შარდენი, 2018:31). ეს მიზეზები საქართველოსთვის, როგორც ვიცით წინა ეპოქაში სხვა ქვეყნების ინტერესებით იყო გამოწვეული.

ყველა მოგზაურისთვის თბილისი არის ქალაქი, რომელიც საინტერესოა და ეგზოტიკურიც, აქ ერთმანეთს ერწყმის ევროპული და აზიური მშვენიერება, თითქოს ყველანი ვალდებულნი არიან აღწერონ ერთგვარი მექა კულტურათა თანხვედრისა: შარდენის სიტყვებით, თბილისი დიდი არ არის, მაგრამ ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებულია ხალხმრავალი ქალაქია. საინტერესო ფაქტია, მას დარ ალ–მულუქს,

ანუ მეფეთა ქალაქსაც უწოდებნო. ქალაქს მყარი კედლები იცავს. აქ არის მრავალი ეკლესია–როგორც ქართული, ისე სომხური; არაერთი საკრებულო შენობა; ქვით ნაშენი ბაზარი; ქარვასლები უცხოელთათვის; მაღაზიები და დუქნები; თბილი გოგირდის აბანოები, რომლებსაც ჰიგიენური დანიშნულებისათვის იყენებდნენ და სამკურნალოდაც.

თბილისის მშვენიერებას წარმოადგენს მეფის(მთავრის) სასახლე, დიდი დარბაზებითა და სხვადასხვა დანიშნულების შესანიშნავად მოწყობილი სათავსებით. ქალაქის განაპირას მდებარეობს კახეთის მეფის(მეფისნაცვლის) სასახლე. გარეუბანში სააგარაკო სახლები და გაშლილი ბაღებია, რომელთაგანაც ყველაზე ლამაზი მთავრის ბარია. მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ. ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან. შარდენი საქართველოში ასევე ხაზს უსვამს თბილისის მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ ხასიათს –აქ ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსმალები, სპარსები, ინდოელები, თათრები, მოსკოველები, ევროპელები და ყველას უფლება ჰქონდა ეცხოვრა საკუთარი სარწმუნოებით, ადათებით, ემსჯელა მასზე და დაეცვა იგი (შარდენი, 2018:41–51). უაღრესად საინტერესოა დიუმას უშუალო ცნობები საქართველოს დედაქალაქზე. იცნობს სათანადო ლიტერატურასაც. მაგ; თბილისში ცხოვრების სიძვირის შესახებ დიუმას ნაამბობი ეხმაურება პუშკინის ცნობებს. საფიქრებელია, დიუმას წაუკითხავს „არზრუმში მოგზაურობა“; პუშკინი წერდა: „ტფილისში გამაკვირვა ფულის სიაფემ. გავიარე ეტლით ორი ქუჩა და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოვხტი, იძულებული გავხდი გადამეხადა ორი მანეთი ვერცხლით, პირველად მეგონა ,რომ მას უნდოდა ესარგებლა ახლად მოსულის უცოდინარობით, მაგრამ მითხრეს -სწორედ ამდენი ღირსო. სხვა ყველაფერიც ასევე ძვირია“. პუშკინის ამ ცნობას თითქოს დიუმაც იმეორებს, როდესაც ანალოგიურ შემთხვევას აგვიწერს. გარდა ამისა, დიუმაც ისევე აღტაცებულია თბილისის აბანოთი, როგორც პუშკინი; აღწერის მთელი პასაჟები და ცალკე დეტალებიც კი მოგვაგონებენ პუშკინის გადმოცემის ზოგიერთ ადგილს(გაწერელია, 2018).

საინტერესოა აჰმედ მითჰათ ეფენდისეული აღწერა უმშვენიერესი ქალაქისა „მნიშვნელოვანია ქალაქ ტფილისის აღწერაც, რომლითაც ჩანს, რომ ტფილისი მართლაც

იყო კავკასიელთათვის უმნიშვნელოვანესი ადგილი, განათლებისა და კულტურის კერა, უმთავრესი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი, მულტიკულტურული სივრცე, სადაც ქართველებთან ერთად, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სახლდებოდნენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა წარმომადგენლებიც და მათ ეძლეოდათ ყოფისა და ცხოვრების წარმატებულად რეალიზების შესაძლებლობა, თუმცა კი, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩამოსახლებულნი საქართველოს ინტერესებს ღალატობდნენ. ტფილისის შესახებ აჰმეთ მითჰათ ეფენდი მეწერს: „ასე გადავდიოდით სოფლიდან სოფელში - გზადაგზა ღამის გასათევად ვჩერდებოდით და ვტკბებოდით უმშვენიერესი ბუნებით, მორაკრაკე ნაკადულებით და ანკარა წყაროებით. ნანახსა და განცდილს თარჯიმანთან, მიჰრან ბარონთან ერთად განვიხილავდი. როგორც აღმოჩნდა, მას ტბილისში ჰქონდა განათლება მიღებული, ამიტომ კარგად იცნობდა ჰეროდოტესა და სტრაბონის წყაროებს და მეც მიზიარებდა ისტორიასთან, გეოგრაფიასა და მითოლოგიასთან დაკავშირებულ ცნობებს“ (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016:106–107); მეწერლის თქმით: ტფილის-ქალაქი, არა მარტო საქართველოს დედაქალაქს, არამედ რუსული მმართველობის დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა კავკასიაში. ტფილისის ქუჩები ფართო და სუფთაა. არქიტექტურული თვალსაზრისით, ევროპული და აზიური შტრიხების თანხვედრა იგრძნობა (აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016:66).

მწერალი აღწერს აფხაზეთის სანაპიროს და სოხუმის ციხეს და აღნიშნავს, „როგორც მივხვდი, აფხაზები, სხვა კავკასიელ ხალხებთან შედარებით უფრო განვითარებულნი და ცივილიზებულნი იყვნენ. სოხუმის ციხემდე სანამ მოვალწევდით, გზად ბევრი ზღვისპირა სოფელი და დაბა გამოვიარეთ. თუმცა როგორც შევამჩნიე, აქაურები უკვე ისე იყვნენ გაწაფულნი ვაჭრობაში, რომ სტუმართმოყვარეობასაც აღარ დაგიდევდნენ, არათუ ღამის გასათევს, სადილითაც კი არ გიმასპინძლებოდნენ თუ ფულს არ გადაუხდიდი. თანაც ყველაფერს ძვირად აფასებდნენ.“ მწერალი დიდი სიყვარულით აღწერს საქართველოს სხვა კუთხეებსა და ქალაქებსაც, „ქუთაისში ჩასული აღმაფრთოვანა აქაურმა ცივილიზაციამ, რაც კავკასიაში არც თუ გასაკვირი იყო. მოვინახცულე გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევები, მომაჯადოვა კოლხიდამ...ეს იყო

ადგილი, რომლის ისტორიაც საუკუნეებს ითვლიდა და მე წილად მხვდა ბედნიერება , საკუთარი თვალთ მეხილა იგი(აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016:17–19).

ეგზოტიკური ჟანრის ნაწარმოებთა განსაკუთრებულ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი მოსახლეობის ანთროპოლოგიური აღწერა და მათი ნაკლისა თუ ღირსების წარმოჩენა და მკითხველისთვის გაზიარება. აჰმეთ მითჰათ ეფენდი აქაც არ ღალატობს წინამორბედთა გაკვალულ გზას. შარდენი არაერთხელ ამჟღავნებს დადებით განწყობას ქართველებისადმი და მოხიბლულია როგორც მათი გარეგნობით, ისე სამაგალითო ქცევით, სწორედ შარდენის გავლენით გავრცელდა ევროპაში ცნობები ქართველების განსაკუთრებული სილამაზის შესახებ (შარდენი, 2018:25–49).

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე ასევე ხაზს უსვამს ქართველი ქალების სილამაზეს და ამასთანავე აღნიშნავს, მათ მიდრეკილებას ღვინის სმისადმი: „ისინი (ქართველი ქალები, მართალი რომ ვთქვა, ყველაზე ულამაზესნი არიან, თითქმის ყველას შავი ფერის თმა აქვს და ასევე შავი თვალები, დიდი და ულამაზესი, მათ სახეს გაფუჩქნული თეთრი ფერი აქვს, ჩემი აზრით, იმის აგამოც რომ დიდ პატივშია მათ შორის ბახუსის სასმელი, რაშიც ისინი გერმანელებს არ ჩამოუვარდებიან (ვათეიშვილი, 2014: 34)

დიუმას განსაკუთრებით ხიბლავს ქართველების სილამაზე. იგი ერთმანეთს ადარებს ქართველსა და ჩერქეზს და აღნიშნავს: „ამბობენ, ჩერქეზები დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი ხალხიაო. ეს შეიძლება მართალი იყოს მხოლოდ კაცების მიმართ, ქალების მიმართ კი სადავოა. ჩემი შეხედულებით, ქართველს სრულიად თავისუფლად შეუძლია შეეცილოს ჩერქეზებს სილამაზეში. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ნოღაის ველებში პირველი ქართველის შეხვედრამ მოახდინა ჩემზე“.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი საინტერესოდ აღწერს ქართველთა სილამაზესა და ეროვნულ ხასიათს: „ზღვისპირა დასახლებებში ხშირია შერეული ქორწინებები, ალბათ ამიტომაცაა, რომ ბევრი გენეტიკური თავისებურება მათთან არ შენარჩუნებულა. მაგრამ რაც უფრო ადიხართ მაღლა, კავკასიის მთების წიაღში, მით უფრო ხშირად ხვდებით მთელს მსოფლიოში გულადობით, პურადობით და ვაჟკაცობით განთქმულ ნამდვილ

კავკასიელებს. მათი მამაკაცები მეტად მამაცნი, მაგარამ ამავდროულად მშვიდნი, თავდაჭერილნი და თავმდაბალნი არიან. ქალები იშვიათი სილამაზით, ზნეობითა დაკდემამოსილებით გამოირჩევიან. იმ გარყვნილებას, რომელიც ევროპაში განვითარებულობის ნიშანია, აქ ფეხი ვერ მოუკიდებია“(19); ქართველი ქალების სილამაზის აღწერას აქ არ ვაპირებ, ფუჭი ლაყობა გამომივა. სიტყვები უძლურია მათი სინატიფის, დახვეწილობის, კდემამოსილებისა და სილამაზის აღსაწერად. მერე რარიგ შვენოდათ ხელში საზი და სახეზე მორცხვი ღიმილი?! უფლისწულის მამულს იმდამეს რჩეულნი სტუმრობდნენ და ჩემზე მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. 38; ევროპელებმა რასების ძირითადი ფიზიკური მახასიათებლის საფუძველზე, მათი დაყოფა მოახდინეს. ამ ჩამონათვალში, ყველაზე ლამაზ ეთნოსად კავკასიელები არიან აღიარებულნი. მართლაც გულახდილად რომ გითხრათ, აქ ყოფნის განმავლობაში, სულ ერთმანეტზე უკეთესი სილამაზის ადამიანებს ვხვდებოდი, არ შემხვედრია გონჯი და შეუხედავი(აჰმეთ მითჰათ ეფენდი, 2016:39).

როგორც მკვლევარები მიუთითებენ აჰმეთ მითჰათ ეფენდის „წიგნი ფრიად საყურადღებოა ეთნოლოგთათვის, რადგან ნაწარმოებში არაერთი ეთნოგრაფიული პასაჟია აღწერილი: საქართველოს ბუნება, ქართველთა ხასიათი, ქართველთა თავგანწირვა ქვეყნისათვის, ქართველთა ანთროპოლოგიური ტიპი, განსახლების არეალი, დასახლების ფორმები, ბრძოლის ხერხები, ქართული ცხენის ჯიშები, მათი აღკაზმულობა, ქართველთა მხედრული გამოცდილება, საოჯახო ყოფის თავისებურებები, ქართული ცეკვები, სიმღერები, სტუმართმოყვარეობა, ლხინი, სუფრის ტრადიციები, ტრადიციული ეტიკეტი, საუბრის მანერა; ვრცელი ინფორმაციაა მოწოდებული სოხუმის, ტფილისის, ფშავის, საქართველოს და ზოგადად კავკასიის გზების შესახებ; დახასიათებულნი არიან აფხაზები, იმერლები, ფშაველები, აგრეტვე გერმანელი კოლონისტები და სხვ.“(გუჯეჯიანი, ხოსიტაშვილი,2016:105) ჩამოთვლილი ეთნოლოგიური პასაჟები ერთობლიობაში ქმნიან ქართველთა საინტერესო სახეს, მათი ისტორიის, ყოფისა და ცხოვრების კულტურის ცოცხალ სურათებს.

„ქართველი ასულის შურისძიება“ არის შემეცნებითი ღირებულების მქონე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც, ყველა ჭეშმარიტი ლიტერატურის მსგავსად

დიდაქტიკური ღირებულებით გამოირჩევა. აჰმეთ მითჰათ ეფენდი მხატვრული შემოქმედების ძალით შთაუნერგავს თავის მკითხველს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მშვენიერი ქვეყნისადმი. იგი თავისი ამ ნაწარმოებით ასწავლის ადამიანებს ერთგულების, სიყვარულის, ჭეშმარიტი მეგობრობის, განსხვავებული კულტურების პატივისცემის აუცილებლობას. ამასთანავე, თურქულ ლიტერატურაში ეგზოტიკური სამოგზაურო ჟანრის შემოტანასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვაც შემოაქვს თავის დროსა და ეპოქაზე, იგი მკითხველს აწვდის ცოდნასა და ინფორმაციას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოგზაურობის ჟანრის ეს მხატვრული ნაწარმოები ჭეშმარიტი ხელოვანის მიერ არის შექმნილი და თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც ემსახურება ორი ქვეყნის კულტურათა დაახლოებას.

3.2. რომანის ისტორიული გარემო და პერსონაჟები

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია XVIII ს-ის ბოლო და XIX ს-ის დასაწყისი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ბედი. ეს არის საქართველოს მოქცევის ხანა რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაში, რომელიც დასრულდა იმპერიის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვა ნაწილების ანექსიით.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნაწარმოებში, „ქართველი ასულის შურისძიება“, გაცოცხლებულია საქართველოს ისტორიის მრავალთაგან ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი. კერძოდ, საქართველოს სამეფოს აღსასრული, ბაგრატიონთა გადასახლება რუსეთის იმპერიაში, რუსი გენერლის - ლაზარევის მკვლელობა მარიამ დედოფლის მიერ და ამის შემდგომად განვითარებული მოვლენები. ნაჩვენებია რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია, ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და მათი მეზრძოლი ბუნება.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა საქართველო დაიპყრო. იმპერიის ხელისუფლებამ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო, დასავლეთ საქართველოს სამთავროებს კი ავტონომიური

მმართველობა დაუტოვა. საქართველოს ისტორიის ფურცლები ამ პერიოდიდან მძიმედ დაფიქსირდა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი, ტრაგიკული ეპოქის შუქ – ჩრდილები: „1801 წლის მანიფესტით ცარიზმმა განახორციელა საქართველოს რუსეთთან თვითნებური მიერთება, რითაც თავადვე დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, მოსპო მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და განახორციელა სრული ანექსია. საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ეს აქტი დიდი უბედურება იყო. ცარიზმმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო პრეროგატივა. დავითი, რომელიც გიორგიმ მისივე სიცოცხლეში რუსეთის სამეფო კარის დასტურით მემკვიდრედ დაიმტკიცა, ცარიზმმა რუსეთს გადაასახლა. რუსეთში გადასახლება გადაუწყვიტეს საქართველოს უკანასკნელ დედოფალს - გიორგი მეთორმეტის მეუღლეს მარიამსაც, მაგრამ ამ ბრძანებას იგი არ დაემორჩილა. 1805 წელს, როცა მარიამს ოთახში შეუვარდა ციციანოვის მიერ მიგზავნილი რუსი გენერალი ლაზარევი, დედოფალმა იგი ხანჯლით განგმირა. ეს აქტი სიმბოლურად იმას ნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო არ დამორჩილებია რუსეთის უკანონო მოქმედებას და თავისუფლებას საქართველოს სუვერენულ მმართველობაზე სისხლით იცავდა (სურგულაძე, 2012:78).

ქართლის და კახეთის მეფეები – თეიმურაზ II და ერეკლე II, ისევე როგორც იმერეთის მეფე სოლომონ I, ძალიან დაინტერესებულები იყვნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ ძლიერი მოკავშირის შეძენით. ასეთად კი მაშინ მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთი ჩანდა (დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელი გზები იმ დროს ოსმალების ხელთ იყო და, გარდა ამისა, ქართველთა ადრინდელი გამოცდილება, მიეპყროთ დასავლეთის სახელმწიფოების ყურადღება, უჩვენებდა, რომ ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული შორეული საქართველოთი). ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია კრახით დასრულდა. რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირით ერეკლე II-მ იმდენად შორს შესტოპა, რომ ვერც პირადად მეფე მან და ვერც მისმა მემკვიდრემ გიორგი XII-მ (1798-1800) პრორუსული ორიენტაცია ვეღარ შეცვალეს, თუმცა ორივენი, ისევე როგორც ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები, კარგად

გრძნობდნენ დამლუპველი პოლიტიკის შედეგს. ასე მივიდა ქართლ-კახეთის სამეფო 1801 წლის კატასტროფამდე.

დიდხანს ემზადებოდა რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან სპარსეთისა და ოსმალეთის გასაძევებლად და საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად. ამ შემთხვევაში ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის პრორუსულ პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა. პრორუსული ორიენტაციის შეცვლის შემთხვევაშიც სპარსეთი და ოსმალეთი ერეკლე II-ს აღარ ენდობოდნენ. ასე რომ ერეკლე II-ს სურდა თუ არ სურდა, წაგებული თამაში უნდა ეთამაშა, პრორუსული ორიენტაცია უნდა შეენარჩუნებინა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საქართველო და საერთოდ, მთელი სამხრეთ კავკასია სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთს შორის დაპირისპირებაში გამარჯვებულს დარჩებოდა. გრძნობდნენ თუ არა ამ საშიშროებას ქართველი მეფე-მთავრები? ცხადია, გრძნობდნენ. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების სრული ინერტულობის პირობებში ქართველი ხელისუფალნი და დიპლომატები რუსეთის ფაქტორის ამოქმედებას ჯიუტად ცდილობდნენ, ქართული სამეფო-სამთავროებისა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების შეუთავსებლობას ვერ ამჩნევდნენ.

სამასწლიანი მარცხიანი საგარეო პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.), ხოლო მისი ტრაგიკული გაგრძელება - ქართლ-კახეთის სამეფოს, სამეგრელოს სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამეფოს დაპყრობა (1801-1810 წწ.) (გურული, 2007: 13-14). როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლას განაპირობებდა არა რუსებისადმი სიყვარული ან სიძულვილი, არამედ ის, რომ ქართველი ხალხი სხვის სახელმწიფოში, სხვა ხალხის კანონებითა და სხვის ნება-სურვილზე ცხოვრებას ვერ შეეგუა. საქართველოს მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში ექნებოდა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენებინა ქართველი ერის სულიერი ენერგია, ინტელექტუალური, ბუნებრივი და პოლიტიკური პოტენციალი და შეექმნა საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური წყობის შესაბამისი სისტემა (კუპრაშვილი, 2011: 29).

საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობა-დაკარგული შევიდა. ქართული მთავარი პოლიტიკური ერთეულის და საქართველოს გაერთიანების მედროშის გაუქმებამ ფრთები შეაკვეცა სხვა სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მხოლოდ იმერეთის სამეფო, მისი ენერგიული და პატრიოტი მეფის, ორი დიდი პიროვნების გენეტიკური და პოლიტიკური მემკვიდრის, სოლომონ მეფის – მედგარმა ბრძოლამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1783 წლის ხელშეკრულებით ჩამოყალიბებული ლეგიტიმური ურთიერთობის აღდგენისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი არ გამოიღო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთმა განსაკუთრებული დამაბვის გარეშე თავისი კონტროლი მთელ საქართველოზე განხორციელდა, შემდეგ კი თანდათანობით მოახდინა მისი ნაწილების ანექსია.

ეს არ იყო თავისუფლების დაკარგვა, რადგან საქართველოს სამეფო სამთავროებს უპირობო დამოუკიდებულობა არ ჰქონიათ. ეს იყო ფაქტობრივი დამოუკიდებლობის და მისი მოპოვების პერსპექტივის ხანგრძლივი დროით დაკარგვა (საქართველოს ისტორია, 2012: 517-718).

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა გადაწყვიტა სამეფო ოჯახის საქართველოდან გადაესახლებინა. მან საქმე გენერალ კნორინგს დაავალა, რომელმაც თავის მხრივ გენერალი ლაზარევი ჩართო გეგმის განხორციელებაში. ლაზარევმა სასტიკი ომი გამოუცხადა სამეფო ოჯახს და გიორგიმეთორმეტისგარდაცვალებისშემდეგმეფისჯალაბოზასაც.

ლაზარევმამიზანშიდედოფალიმარიამიამოიღო:

მეფისქვრისსაკმაოდშემოსავლიანიმიწებიჰქონდათანამეცხედრისაგანდარჩენილი.

მათშორის, ერეკლემეორისაგანდარეჯანდედოფლისადმიბომბეზულისოფლებიცყო, რომლებიცგიორგიმეფემ, მისდამიმტრულისაქმიანობისგამო, 1800 წლის 30 აპრილსდედინაცვალსჩამოართვადათავისმეუღლესდაუმტკიცა... გენერალმალაზარევმა მარიამდედოფალსყოველგვარისაარსებოსაშუალება, უბრალოწისქვილიცკიარდაუტოვა, რათაიძულებულიგაეხადა, "საკუთარინებით"

წასულიყორუსეთში. გენერალმაკნორინგის

ნაცვლადსაქართველოსმთავარმართებლადპავლეციციანოვი (ციციშვილი) - ქართულიგვარისადარუსულისულისადამიანი - დაინიშნა. თბილისშიმისიჩამოსვლითბაგრატიონთამიმართგაასკეცებულადუხეშიდატლანქილონის მიებებისგატარებადაიწყო.

1803 წლისდამდეგს, ციციანოვიმაწერილითაცნობამარიამდედოფალს, მცირეწლოვანიშვილებისთანხლებითდაუყოვნებლად, რუსეთშიგამგზავრებისაუცილებლობისშესახებ (აქვეუნდააღინიშნოს, რომსაქართველოდანმარიამისგადასახლებისსაქმეშიგარკვეულიროლიდაბეზღებამაცით ამაშა. გიორგიმეთორმეტისქვრივისმტრებმაციციანოვსაცნობეს, რომისრუსულიპოლიტიკითუკმაყოფილოძალებსსაიმპერატოროკარისწინააღმდეგაქეზე ზდადაამასთანავე, საიდუმლოკავშირიჰქონდამთიელებთან. ამცნობამციციანოვიგანარისხა).

მთავარმართებლისგულისნადებიდედოფლისათვისცნობილიყო, მაგრამკატეგორიულიტონითდაწერილიბარათისმიღებამისსულით-ხორცამდეშეძრა.

1802 წელს, ანტირუსულაჯანყებასბაგრატიონთაერთიანიფრონტიჩაუდგასათავეში. ამბოხებისაქტიურმონაწილეებსშორის, მარიამდადარეჯანდედოფლებიცყვნენ, მაგრამსაუბედუროდ, შეთქმულებისმზადებისშესახებლაზარევმაშეიტყო, რომელმაცცეცხლითადამახვილითჩაახშოაჯანყება. 1803 წლის 19 აპრილს, პავლეციციანოვისდავალებითადასამხედრორაზმისთანხლებით, დედოფალმარიამთანგენერალი ივანლაზარევი მივიდა. სასახლეშიმისივიზიტისმიზანი, გიორგიმეთორმეტისოჯახისრუსეთშიგადასახლებაყო. ამდავალებისშესრულებამასსიცოცხლისფასადდაუჯდა.

აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიება“, როგორც ავტორი გვამცნობს, ისტორიულ წყაროებს ეფუძნება და თვალწინ გვიცოცხლებს XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს, როცა რუსეთმა მოახერხა სამეფოს გაუქმება და გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატიონები რუსეთის იმპერიაში გადაასახლა, რათა ხალხში საბოლოოდ აღმოეფხვრა ოცნება მრონცხებული მეფის

ხელისუფლების აღდგენაზე. რუსეთის მთავრობა, იცოდა რა ქართველთა ბუნება, დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთი ბატონიშვილი მაინც დარჩებოდა საქართველოში, ხალხი ტახტის აღდგენისათვის ბრძოლას არ შეწყვეტდა, ამიტომ ბატონიშვილთა გადასახლებით ცდილობდა მომავალში პოლიტიკური სიმშვიდე უზრუნველყო. ვნახოთ როგორ აღწერს მწერალი საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენებს: „როგორც მოგეხსენებათ, XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველო დამოუკიდებელი სამეფო იყო. მისი დედაქალაქი ტფილისი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ ოსმალეთი, მეორე მხრივ კი სპარსეთი მუდმივად ქიშპობდნენსაქართველოს გამო, მონარქიული მმართველობა მაინც არ გაუქმებულა. XVIII საუკუნის ბოლოს, ქვეყნის ძირითადი ნაწილი სპარსეთს ეპყრა.

ამ პერიოდში, რუსეთსაც საკუთარი ინტერესები ჰქონდა შავი ზღვისპირეთისა და კასპიის ზღვის აუზში, ანუ კავკასიაში გაბატონება, ერთ-ერთი ნაწილი ამ გეგმისა, იყო საქართველოს სამეფოს მიერთება. ქართველები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა მათ შვებას მოუტანდა და ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებდა.

სპარსეთის შაჰმა, საქართველოს მეფეს, ერეკლეს ელჩები აახლა და ურჩია, რუსეთთან შეერთებაზე უარი ეთქვა. ეს თავად სპარსეთის ინტერესებითაც იყო განპირობებული, რადგან აღნიშნული ნაბიჯი საფრთხეს შეუქმნიდა ამ უკანასკნელს. მაგრამ მეფე ერეკლემ შაჰის რჩევა ყურად არ იღო და რუსეთის იმპერატორისცა, ეკატერინეს დახმარება სთხოვა. ამგვარად, რუსეთის ჯარებმა სპარსეთის კლანჭებიდან დაიხსნეს საქართველო. რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლეს „სრულიად საქართველოს ცარი“ უწოდა, თუმცა მალევე, დაარსდა საქართველოს საეგზარქოსო.

სამწუხაროდ, ეს იყო ერთგვარი სამზადისი რუსეთის მხრიდან საქართველოს სრული ანექსიისათვის. ჯერ კიდევ ერეკლე მეფის სიცოცხლეში, ტფილისში რუსეთიდან მოვლინებული უმაღლესი მოხელეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პატარა საქართველოს მეფისათვის „ცარის“ ტიტულის მინიჭების გამო, მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფალი იმპერიის სათავეში იდგა. მათი აზრით, ერეკლესათვის „სრულიად საქართველოს ცარის რწმუნებულის“ წოდების მინიჭება უფრო მართებული იქნებოდა.

საბოლოოდ, რუსეთმა საწადელს 1799 წელს, გიორგი XI დროს მიაღწია. გიორგი მეფისგარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, დავითმა მიიღო ცარის რწმუნებულის წოდება.

იმ დროს საქართველო საუფლისწულოებად იყო დაყოფილი, დაქუცმაცებული ქვეყანა რუსეთის აგრესიას ვერ გაუმკლავდა, რადგან საკუთარ საუფლისწულოებში გაბატონებული მემკვიდრეები ტფილისს არ ემორჩილებოდნენ, ამასთან, მუდმივად ქიშპობდნენ ერთმანეთში, ამიტომ რუსეთს ამოცანის შესრულება გაუადვილდა და მათ საუფლისწულოებს ადვილად დაეპატრონა. გარდა ამისა, რუსეთი მოტყუებით, თითქოსდა დაჯილდოების მიზნით უფლისწულებს ხან მოსკოვში, ხან პეტერბურგში იწვევდა, მათი იქ ჩასვლის შემდეგ კი მათ მამულებს სხვა მთავრებს უმტკიცებდა. მალევე საქართველო სრულად იქნა დაქვემდებარებული რუსეთის მმართველობას (აჰმეთ მითჰათ ეფენდი: 2016: 42-43). როგორც ნაწარმოებში აღწერილი ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, მწერალი კარგად იყო ჩახედული საქართველოს იტორიულ რეალობებში და თუ მცირე უზუსტობებს არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, ავტორისთვის ახლობელი და კარგად გააზრებულია ის ამბები, რომლის შესახებაც თავისი სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოების შექმნაც გადაუწყვეტია.

ამ ნაწარმოების ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერალი რეალისტურად ხედავს და აღწერს შექმნილ ვითარებას. თუმცა ნაწარმოებში მთავარ მოქმედ პერსონაჟებად გამოგონილი გმირებიც მრავლად არიან. ამ ჟანრის ნაწარმოებების შემქმნელნი წინასწარ ეცნობიან ქვეყნის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, კულტურას. აჰმეთ მითჰათ ეფენდიც, როგორც მისი ბიოგრაფები გვამცნობენ, დაახლოებით ორი წლის განმავლობაში სწავლობდა საქართველოს ისტორიას. საანალიზო ნაწარმოები, მიუხედავად მცირე ისტორიული უზუსტობებისა, ეგზოტიკურ ჟანრში მოქცეული საინტერესო ნაზავია საქართველოს ანექსიის, ქართული ეთნოგრაფიული და კულტურული ღირებულებებისა და მრავალი ისეთი ნიუანსისა, რომელიც ამ პერიოდის სურათის დახატვაში დაეხმარება სპეციალისტებს. რაც ყველაზე მთავარია: „აღნიშნული ნაწარმოები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ თურქი მწერლები ქართული კულტურისა და ისტორიის მიმართ“ (აბდულაჰ

თათაროღლუ, 2016:6). მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება დამოკიდებულია ეპოქის სინამდვილის ასახვის ხარისხზე და ჩვენს განსახილველ ნაწარმოებში ეს ტენდენცია მკაფიოდაა ასახული.

როგორც მკვლევარები მიგვითითებენ „მხატვრული ნაწარმოები, მართალია ილუზიური, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყაროა, როგორია ეს სამყარო, როგორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მკითხველი ავტორის (მწერლის) დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად – რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟის საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ცალკერძ თავისთავისადმი, ცალკერძ სხვათადმი. ეს ისევე ხდება, როგორც რეალურ სინამდვილეში. ყოველ ჩვენგანს რეალურ სინამდვილეზე წარმოდგენა იმის მიხედვით კი არ ექმნება, – რას ჩასჩინებენ მას აგიტატორები და პროპაგანდისტები, – არამედ იმისდა თანახმად – რა ხდება ამ რეალურ სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს მასში ადამიანი (ბაქრაძე, 1990: 164).

ნაწარმოების ერთიან ქსოვილში ლიტერატურული პერსონაჟების როლის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ მთავარი, დამხმარე და ეპიზოდური პერსონაჟები; ხოლო მოქმედების განვითარებაში მონაწილეობის თვალსაზრისით – აქტიური და პასიური პერსონაჟები. „ადრე ამბობდნენ, მწერალს უნდა უყვარდეს თავისი პერსონაჟებიო. გარკვეული გაგებით, რა თქმა უნდა, მათი პიროვნულობის მიუხედავად, შენი პერსონაჟები უნდა გიყვარდეს, ისინი ხომ შენი შვილები არიან – უშნოებიც და მიმზიდველებიც (ბერძენიშვილი, 2016: 21). სწორედ ასეთ სიყვარულს ვგრძნობთ აჰმეთ მითჰათ ეფენდის „ქართველი ასულის შურისძიების“ მოქმედების სუბიექტებთან შეხვედრისას. ისინი ძირითადად აქტიური და მთავარი პერსონაჟები არიან. ავტორი, რომელიც ნაწარმოებში მოქმედ პერსონაჟ გილიომ სანქად წარმოგვიდგება, მთელ საქართველოში მოგზაურობს, აწარმოებს საქმიან მოლაპარაკებებს, იკვლევს და ეცნობა ქვეყნის ისტორიას, კულტურას, მოსახლეობას, მათ შინაგან სამყაროს, სულიერ ღირებულებებს. შესაბამისად, იგი პერსონაჟებს გვიხატავს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით და თითოეული ახალი გმირის წარდგენისას იგრძნობა ავტორისეული კეთილგანწყობა ადამიანური

სიკეთეებისა და სისუსტეების მიმართ. თითოეული პერსონაჟის ხატვის დროს ჩანს, რომ ავტორი შესანიშნავად ფლობს ნაწარმოების ჟანრისთვის დამახასიათებელ თხრობის ტრადიციულ ხერხებს, ნაწარმოების გმირები ხან პირველ პირში საუბრობენ, ხან ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა პერსონაჟთა ნაამბობი და თხრობის სტილიც შესაბამისად იცვლება, მწერლის დამოკიდებულება კი თავისი გმირებისადმი არის შესაბამისი.

ნაწარმოების მთავარი გმირი, ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ცნობილი პერსონაჟი მარიამ ციციშვილია, რომელიც საქართველოს ძნელბედობის გამო უკანასკნელ დედოფლად იხსენიება. ნაწარმოების დასაწყისშივე იგრძნობა ავტორის დადებითი დამოკიდებულება გმირი ქალბატონისადმი, რომელიც თავის ღირსებასა და პატიოსნებას უთავსებს ქვეყნის ინტერესებს და, საჭიროების შემთხვევაში, მზადაა პირად ინტერესებზე მაღლა საქვეყნო საჭიროება დააყენოს.

მარიამ დედოფლის ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობანი მისი პიროვნების შესახებაც, მაგრამ ყველა თანხმდება ერთ შეხედულებაზე: იგი არის გამოჩენილი ქართველი ქალი, რომელმაც სცადა ისტორიის ბედუკუდმართობით დაწერილი რეალობის შეცვლა, შეეწინააღმდეგა იმპერიული ზრახვების განმახორციელებლებს და არ დანებდა მათ უხეშ დირექტივებს. აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნაწარმოებში დახატულია დედოფლის სახე, რომელიც მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობებისა, არასოდეს დანებებულა და მტკიცე და თანმიმდევრულია თავის ქმედებებში. მწერალმა მარიამ დედოფლის მხატვრულ სახეში ასახა მისი დაუმორჩილებელი სული. ისტორიული სინამდვილისგან განსხვავებით, გამოგონილი პერსონაჟის, მისი ასულის ელენეს, შურისძიების გრძნობით აღზრდა და მისთვის ხელშეწყობა, რომელზედაც აგებულია ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა, მიუთითებს ავტორის განზრახვაზე, უფრო ამაღლებულად წარმოადგინოს პერსონაჟის სახე, გახადოს ის მისაბამი გმირი და გადმოსცეს მისი შინაგანი განცდები. მარიამი ნაწარმოებში დახატულია, როგორც მტკიცე და ღრმა სულიერების მქონე დედოფალი, რომელიც განთქმული იყო თავისი ღვთისმოსაობითა და კეთილშობილებით. მწერალი დიდი პატივისცემით საუბრობს მარიამ დედოფალზე, ამ კეთილშობილ,

დახვეწილ, სათნო ქალბატონზე, რომლის სიცოცხლის მთავარი დანიშნულება თავის მცირეწლოვან ობლებზე ზრუნვა, მათი დაცვა და პატრონობა იყო. ამისათვის მან წარმოდგენელი თვისებები გამოავლინა, როცა რუს გენერალს - ლაზარევს შეურაცხყოფა არ აპატია და საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს (თუმცა არსებობს შეხედულება, რომ გენერალი ბატონიშვილმა ჯიბრაელმა მოკლა დედის ღირსების დასაცავად და მისი დანაშაული დედოფალმა აიღო საკუთარ თავზე, რამდენადაც დარწმუნებული იყო, რომ ბატონიშვილს უფრო მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხს).

მეორე მთავარი გმირი, რომელსაც ავტორი განსაკუთრებული სიმპატიით ხატავს არის ბატონიშვილი გადილა, ფშავის მმართველი: „ახოვანი, ბრგე, საოცრად გულადი, შეუპოვარი და მრისხანე...“ (გვ.44), რომლის სახეზე გამკრთალი ღიმილიც კარგა ხანია აღარავის ეხილა, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ღიმილისა და ლხენის დრო არ იყო, რომ მის სამშობლოს უახლოვდებოდა რაღაც ძალიან უცხო და მტრული ძალა. შეიძლება ზუსტად არც იცოდა კონკრეტულად რა ძალა იყო, ან საიდან ემუქრებოდა სასიკვდილო საფრთხე, მაგრამ კარგი რომ არაფერი ხდებოდა, ამას ქვეცნობიერად გრძნობდა. გადილა იყო „ფშაველთა თავკაცი, რომელმაც რუსების წინაშეც კი ქედი არ მოიდრიკა და ბოლო წუთამდე იდგა საქართველოს სადარაჯოზე... მეფის მარჯვენა ხელი“, მეფე ერეკლეს კარზე სათანადოდ დაფასებული და უფლისწულ გიორგისთან და დედოფალთან შეზრდილი (გვ.45). ბატონიშვილი გადილა უსაზღვრო პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად, ბოლომდე ერთგულებდა მარიამს. მან ჭირში არ მიატოვა დედოფალი, იყო მისი მცველი, მოჭირნახულე და შემწე. „იგი იყო ფშაველთა თავკაცი, თანაც ისეთი ძნელბედობის ჟამს. მან რუსების წინაშეც ქედი არ მოიდრიკა და ბოლო წუთებამდე იდგა საქართველოს სადარაჯოზე (გვ.45).

ბატონიშვილი გადილა არის გამოგონილი პერსონაჟი, მისი სახით ავტორმა დახატა გაუტეხელი, თავისუფლებისმოყვარე სულის მატარებელი ადამიანი. თავისი ქვეყნის უბედურებაზე და გენერალ ციციანოვის მზაკვრობებზე გადილას მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ის არ შემდრკალა მაშინაც კი, როცა ნახა, რომ მის

თავისუფლებას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მან მტკიცედ უთხრა გენერალს, რომ მთიელები არ აღიარებდნენ რუსულ მმართველობას და გაკოჭილ-შეურაცხყოფილიც კი ღირსებისა და ვაჟკაცობის ნამდვილ მაგალითს იძლეოდა. ბატონიშვილი გადილა ნაწარმოების მიხედვით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოა. ნაწარმოების მიხედვით, მამის საქმის გამგრძელებელია მისი შვილი დანიელი, რომელიც წინმორბედის ანდერძს პირნათლად ასრულებს და სიმბოლურად იმ იდეების გამგრძელებელია, რასაც გადილას მხატვრული სახის შექმნა ემსახურება. ეს უტეხი მთიელები ქართული სულის განსახიერებაა და საინტერესოა ის, რომ აჰმეთ მითჰათ ეფენდის ნათლად აქვს გააზრებული ეპოქის სული და მისი პერსონაჟებიც ამ სულის გამომხატველნი არიან.

სრულიად განსხვავებულია მწერლის დამოკიდებულება ქართული წარმომავლობის რუს მოხელეზე, გენერალ პავლე ციციანოვზე, დედოფლის ახლო ნათესავზე, მეფის რუსეთის ძალღვივით მორჩილ მსახურზე, რომელიც ცხოვრების მიზანი ერთადერთი იყო: თავი მოეწონებინა თავისი პატრონისთვის და მისი კეთილგანწყობა საკუთარი ინტერესებისამებრ გამოეყენებინა, ამიტომ ყველაფრისთვის მზად იყო, არავის და არაფერს არ დაინდობდა. ციციანოვი მედროვე კარიერისტია, რომელიც არად დაგიდევთ არც საკუთარ წარმომავლობას, ნათესაობის ტრადიციას და სხვა ღირებულებებს, მისი ინტერესი და მიდრეკილებები დასმენა, სიცრუე, ინტრიგების ხლართვა და ძალაუფლებისკენ სწრაფვაა. სახელმწიფო მოხელე არ ერიდება უმსგავსო საქციელებს, ადამიანებით მანიპულირებას და ავტორიც როცა მის შესახებ გვიყვება საინტერესოდ ალაგებს ფაქტებს, მოვლენებს, ის თითქოს კვალში უდგას უკეთური ადამიანის ქმედებებს, რომელიც დამპყრობელი ქვეყნის ინტერესების გამტარებელია.

„მრისხანე თავადი“, როგორც ციციანოვს კავკასიის ხალხები ეძახდნენ, ახალგაზრდა იმპერატორის, ალექსანდრე პირველის დიდი ნდობით სარგებლობდა. საისტორიო წყაროებში პავლე ციციანოვზე არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს, ზოგნი წერენ მის ზრუნვაზე განათლების სისტემის განვითარებაზე, სინამდვილეში კი ეს რუსული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვას ემსახურებოდა. გენერალი თვითონაც

განათლებული ადამიანი იყო და მამამისის დიმიტრი ციციშვილის საგანმანათლებლო საქმიანობაც ცნობილია. ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი პავლე ციციანოვის ბოროტ ქმედებებზე შურისძიების განვითარებაზეა აქცენტირებული და ფინალში მისი აღსასრულით მთავრდება. ისტორიულადაც პავლე ციციანოვი 1805 წელს ვერაგულად მოკლეს სამხედრო მოლაპარაკების დროს. პავლე ციციანოვი „ქართველი ასულის შურისძიების“ მიხედვით მტრის სამსახურში ჩამდგარი ნიჭიერი და ბოროტი ადამიანის ტრაგიკული სახეა, რომლის მსგავსნიც მრავლად იყვნენ საქართველოს ისტორიაში.

რომანის გამოგონილ მოქმედ გმირთა შორის ძალიან საინტერესო სახეა ბატონიშვილი ელენე, მშვენიერი, ჰაეროვანი და ხორციელი, ნაზი და მტკიცე, მოსაზრებული და მამაცი, რომელიც შეუძლებელია მკითხველს არ შეუყვარდეს. მიუხედავად მცირე ასაკისა, ბატონიშვილმა თავისი არსებობის მიზნად მოღალატე ბიძა ციციანოვზე შურისძიება დაისახა და ბევრი დაბრკოლების შემდეგ წარმატებით განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. ელენე, მუდმივი სტრესისა და ვნებათღელვანის ქვეშ ცხოვრობდა. თხუთმეტი წლის გოგონას გონებაში იმდენად მძაფრად აისახა ის ტრაგედიები, რაც მის ოჯახსა და დედას გადახდა თავს, რომ თითქოს გასაკვირიც აღარაა მისი ლტოლვა შური იძიოს ადამიანზე, რომელიც ყველა ამ უბედურების სიმბოლოდ აღიქმება მის ცნობიერებაში.

ავტორი ელენეს ძალიან ნიჭიერ და მოსაზრებულ გოგონად წარმოაჩენს, ის არ ერიდება უცხო ხალხში უცხო გზებით სიარულს, საჭირო სიტუაციაში ტყუილსაც მოიმარჯვებს იმისათვის, რომ საწადელ მიზანს მიაღწიოს. ავტორი მას ახვედრებს მის თანატოლ სომეხ გოგონას სირანუშს, რომელსაც თავისი სიმდიდრის წყალობით გენერლის ცოლობა ელოდება. ორი გოგონას შედარებით ავტორი გვიხატავს განსხვავებული ხასიათისა და ინტელექტუალური შესაძლებლობის ადამიანებს, რომელთა ბედსაც პავლე ციციანოვის პიროვნება განსაზღვრავს. ელენე თავისი მშვენიერებითა და გონიერებით აშკარა უპირატესობას მოიპოვებს და შესაბამისად, საწადელსაც მიაღწევს. ნაწარმოების ახალი პერსონაჟის, ჰუსეინ ყული ხანის, რომელიც ისტორიულად არსებული პიროვნებაა, მეშვეობით ის შურს იძიებს პავლე ციციანოვზე და როცა შედეგი დგება და მის ფერხთით გენერლის თავმოკვეთილი სხეული

გაგორდება, თითქოს ბაგრატიონთა სამეფო კარი ნელ-ნელა წელში იმართება და ნელ-ნელა ირეცხავდა დამცირებისა და შეურაცხყოფის სამარცხვინო ლაქას. ნაწარმოებში დახატული ელენეს სახეც თავისუფალი და დაუმორჩილებელი სულის სიმბოლოა.

თავისი ჩანაფიქრის ასრულებას მტერი ყოველთვის მოღალატეების დახმარებით ახერხებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ის პატივს სცემს მონებს, მორჩილებს, ამ დროს ხომ ყოველთვის არსებობს ეჭვი, რომ თავისიანის გამყიდველი სხვასაც ადვილად გაყიდის, ამიტომ ასეთ სულმდაბლებს არავინ ენდობა, პატივისცემაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი. სწორედ ასეთი გაყინული გულითა და გონებით ცხოვრობდნენ მეფისადმი მოჩვენებითი ერთგულებით გამსჭვალული სომეხი თარჯიმანი ტიგრანი, კალატოზოვი, ეს ტიპური მედროვეები, რომლებსაც იქნებ საკუთარი მშობელიც კი გაეყიდათ, თუ ვინმე საკადრის თანხას შესთავაზებდა.

მარიამ დედოფლის უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ისეთ ქვეშევრდომებზე აღმოჩნდა დამოკიდებული თავისი მცირეწლოვანი შვილებით, რომელთა შორის ბევრი როდი იყო სულით ხორცამდე ვაჟკაცი და მისი ერთგული. ერთ-ერთი ასეთი სულგაყიდული აღმოჩნდა ვინმე კალატოზოვი, რომელიც სამეფო კარზე სანდო ადამიანად მიიჩნეოდა და დედოფალიც შესაფერისად აფასებდა, მაგრამ როცა სახელმწიფოებრივი ინტერესები პირადს დაუპირისპირდა კალატოზოვმა უყოყმანოდ მეორე არჩია და ყველაფერი ანაცვალა, მაშინვე მტრად მოეკიდა თავის კეთილისმყოფელს და ათასნაირი ქსელი დახლართა ციციანოვის გულის მოსაგებად, რომელმაც მალევე შეიცნო მასში მოღალატე: სულით მოღალატე, არა თუ დედოფალ მარიამს, არამედ მეფე გიორგისაც არ ერთგულებდა, თუმცა კი, როგორღაც მოახერხა და მისი ნდობა მოიპოვა. ეს იყო ტიპური მედროვე, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობდა. ჯერ კიდევ მეფე გიორგის დროს არც ხაზინიდან ქურდობას ერიდებოდა თურმე, არც სხვა, უფრო მძიმე დანაშაულს თაკილობდა. მეფის გარდაცვალების შემდეგ, მთელი ქონება რუსეთში გაუფლანგავს. კალატოზოვის ავკაცობის შესახებ კარგად იცოდა თბილისი

წარჩინებულმა საზოგადოებამ (გვ. 69-70). ხაზინის ქურდმა კალატოზოვმა მთელი ცხოვრება ბოდმასა და ბალდამში ჩამხრჩვალმა გალია, მასზე კეთილისმყოფელი გავლენა ვერც უეცარმა გამდიდრებამ მოახდინა, როცა ფული „ჩეჩქივით ჰქონდა“ და შეეძლო მდიდარი კაცის უდარდელობით ეცხოვრა. ეს ადამიანის ბუნებაა, ადამიანს კი არ ძალუძს საკუთარი ბუნების შეცვლა, მის გულსა და სულს მხოლოდ ქონება და ფინანსური კეთილდღეობა ან პატივ-დიდება კი არ სწყუროდა, ბოროტების ქმნა ეწადა და რაც შეეძლო აკეთებდა, არ არჩევდა მტერსა და მოყვარეს. საშინელი იყო კალატოზოვის ხვედრი. მას ცხოვრებამ გვარიანად დასცინა, ბევრი სამუშაო გამოიცვალა, სად არ იხეტიალა, ვის არ შეეკედლა, მდიდარიც იყო და ლატაკიც, ბედნიერიც და უბედურიც, მაგრამ ბუნება ვერ გამოიცვალა და თავისი ავი ზნით ყველას დაამახსოვრა თავი, ბოლოს კი ყველასგან გარიყული და ზურგშექცეული საშინელი წამებით აღესრულა, ცეცხლთაყვანისმცემელთა მიზგითში შეხიზნულს შემთხვევით ტანსაცმელზე ცეცხლი მოეკიდა და სწრაფი სიკვდილის ნატვრაში ამოხდა სული. კალატოზოვის საშინელი აღსასრულით მწერალმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჭეშმარიტებას, რომ ბოროტებას არ შეიძლება კეტილი დასარული მოჰყვეს.

გაყინული გულითა და გონებით ცხოვრობდა მეფისადმი მოჩვენებითი ერთგულებით გამსჭვალული სომეხი თარჯიმანი ტიგრანი, რომელიც განდიდებისა და ძალაუფლების შეგრძნებით აღტკინებული უკადრის საქციელს ჩაიდენს და ხელს აღმართავს შებორკილ ღირსეულ ადამიანზე, რომელიც დროის უკუღმართობითა და მოღალატეთა წყალობით უკეთურ სიტუაციაშია ჩავარდნილი.

ტიგრანას დამსახურებისამებრ მიუზღო. მან, რომელმაც დატყვევებული, ხელფეხშეკრული ბატონიშვილი გადილა შეურაცხყო, თავისი არაკაცური ქმედებისთვის სიცოცხლის ბოლომდე დილა საღამოს 40-40 როზგი დაიმსახურა და რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, თავად ამბობდა, რომ მის საქციელთან შედარებით ეს მსუბუქი სასჯელი იყო: „ჩვენ სომხები ვართ, მაგრამ ამ მთების შვილნი, ამიტომ ჩვენც მიდრეკილნი ვართ უმწიკვლოებისა და ერთგულებისკენ. რაც არ უნდა მძიმე იყოს სასჯელი, ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით მას, თუ დამნაშავე იმსახურებს მას

(გვ.41). ნაწარმოების ამ პერსონაჟმა გაიცნობიერა თავისი პიროვნული ნაკლი და სისუსტეები. იგი მუდმივ სინანულშია თავისი ჩადენილი შეცოდების გამო და არასოდეს ავიწყდება თუ რა უკეთურება ჩაიდინა იმით, რომ პატივცემულ ადამიანს უღალატა და ხელი აღმართა მასზე. პერსონაჟს სამყაროს ერთგვარ კანონზომიერებად მიაჩნია მასზე გამწესებული სასჯელი.

აჰმეთ მითჰათ ეფენდი „ქართველი ასულის შურისძიებაში“ ასახავს საქართველოში არსებულ სინამდვილეს და მოგზაურის თვალთ დანახულ იმ რეალობებს, რაც ქვეყნის ახალმა დამპყრობელმა შექმნა მაშინდელ კავკასიაში. პერსონაჟთა ხატვის თვალსაზრისით კი შეიძლება ითქვას, რომ მისი გმირები არიან ადამიანები, რომელთა საქციელმაც მაგალითი უნდა მისცეს საზოგადოებას. რომანში არიან ისეთი გმირები, რომელთაც საზოგადოებაზე გარკვეული დადებითი გავლენა უნდა მოახდინონ, თუმცა პარალელურად არიან ისეთებიც, რომელთაც უარყოფითი, ტრაგიკული, კომიკური, და ხანდახან გროტესკული დატვირთვაც რომ გააჩნიათ.

ერთი საინტერესო შტრიხიც: როდესაც გილიომ სანქი ფშაველებს დაემშვიდობა, რათა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებას შედგომოდა და ნავთობის საბადოები მოეძებნა, მას, მისდა გასაკვირად, სტუმართმოყვარე მასპინძლებთან განშორება ისე გაუჭირდა, რომ თვალეზე ცრემლიც კი მოადგა. „ჩვენ, ევროპელებმა, დიდი ხანია დავკარგეთ გულწრფელი გრძნობების გამოხატვის უნარი. ჩვენ ჩვენს ოჯახებთან დაშორების დროსაც არ გვიპყრობს სევდა, მაშ, ამ გადამთიელ ადამიანებთან დაშორებამ ასე რად იმოქმედა ჩემზე? უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ, ევროპელებმა, ცივილიზაციის იდეალის ძებნაში, ბევრი ადამიანური თვისებები დავკარგეთ“ (გვ.66). ავტორის დამოკიდებულება თავისი პერსონაჟებისადმი ნათელია და ღირებული ლიტერატურის ფასეულობაც ამით იზომება. მკითხველს, ავტორს ენანება თავისი გმირების სამყაროსთან განშორება. ერთობლიობაში ნაწარმოების პერსონაჟები და სიუჟეტური ქარგა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ეს ეგზოტიკური ნაწარმოები ინფორმაციულ და მხატვრულ ღირებულებებთან ერთად ბევრ საფიქრალს აღუძრავს დაინტერესებულ მკითხველს. ლიტერატურის მთავარი დანიშნულებაც ხომ ესაა.

3.3. რომანის ენობრივი მხარე

მწერლის ენის სპეციფიკის გარკვევა გულისხმობს იმის აღნიშვნას, თუ რა ესთეტიკური, სტილური ფუნქცია აკისრია გამოსახვის ხერხებს, ავტორისა თუ პერსონაჟის სიტყვას, გამოთქმას, თხრობის მანერას. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტყვების ჩვეულებრივ თუ განსხვავებულ თანწყობაში ჩნდება სიტყვის მაგიური ძალმოსილება, გასაოცარი სტილური მომხიბვლელიობა, რასაც ჰქვია მწერლის სტილი.

დედნის მხატვრობის გათავისების და გაცოცხლებული სურათის შექმნის პროცესში ყოველი მთარგმნელი უცილობლად ასახვს თავისი ეპოქის ნიშნებსაც - ენას, პოეტიკას, თარგმნის მანერას. იგი მიმართავს მხატვრულ კომპენსაციას, ადეკვატურ ცვლილებებს, განმარტებით შტრიხებს, ქმნის ენაში ახალ გამომსახველობით საშუალებებს, აფართოებს ორიგინალისა და მიზნობრივი ლიტერატურის ჩარჩოებს. ყოველივე ამის შედეგად წარმოიშვება დიალექტიკური ურთიერთკავშირი, რადგანაც ორიგინალი ნაწილობრივ გადადის თავის საპირისპირო სახეში - თარგმანში, ისევე, როგორც თარგმანი ნაწილობრივ გადადის ორიგინალში. მათი არსი კი იხსნება ურთიერთშერწყმის, ურთიერთშეჯვარების შედეგად.

ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, უწინარეს ყოვლისა, ენას აქცევს ხოლმე თავისი რუდუნების საგნად. მწერალი ქმნის და ეძებს ხალხის ცოცხალი ენობრივი წიაღიდან სიტყვათშემოქმედების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც რითიმე გამოირჩევა: ლაკონურობით, ემოციური შეფერილობით თუ აზრობრივი დატვირთვით. მწერლის ენის სპეციფიკის გარკვევა გულისხმობს იმის აღნიშვნას, თუ რა ესთეტიკური, სტილური ფუნქცია აკისრია გამოსახვის ხერხებს, ავტორისა თუ პერსონაჟის სიტყვას, გამოთქმას, თხრობის მანერას. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტყვების ჩვეულებრივ თანწყობაში ჩნდება სიტყვის მაგიური ძალმოსილება, გასაოცარი სტილური მომხიბვლელიობა, რასაც ჰქვია მწერლის სტილი. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა, „ის, რომ მწერალი სათქმელის გადმოსაცემად არჩევს ამა თუ იმ ფორმას ან სტრუქტურას და უარს ამბობს ყველა დანარჩენზე, მისი ესთეტიკური მრწამსის მაჩვენებელია, ამიტომ ენობრივი სტილიგაიგება როგორც მწერლის მიერ სამყაროს თავისებური ხედვის ენობრივი

ანალიზი. სტილი ინდივიდუალური მსოფლალქმაა, გამოხატული ენობრივი ფორმით (ჯორბრნაძე, 1987: 27).

როგორც ცნობილია, ტექსტი, როგორც თავისთავადი ღირებულება, არ არსებობს – მას აზრს და მნიშვნელობას მკითხველი ანიჭებს. მკითხველი არის ის, ვინც დიალოგს ამყარებს იმ იდეებთან, თემებთან, ფასეულობებთან და შეხედულებებთან, რომლებსაც ტექსტში ამოიკითხავს. თითოეული ადამიანი კითხვისას ეყრდნობა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა სისტემას და ცოდნას. რამდენადაც უნიკალურია თითოეული ადამიანი თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და შეხედულებებით, იმდენად განსხვავებულია მისი აღქმა და დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ. „აღქმელ ცნობიერებას ნაწარმოებისადმი აქტიური დამოკიდებულება მოეთხოვება, ვინაიდან მკითხველი საგნის პასიური მომხმარებელი კი არ არის, არამედ შემოქმედებითი პროცესის აქტიური მონაწილეა: აქტიურია იგი თუნდაც იმიტომ, რომ კონსტრუქციული პრინციპი, კოდი, ნაწარმოების გასაღები აღმოჩენას მოითხოვს მისგან, და კითხვის პროცესში აღმომჩენის ადგილს მიუჩენს. ხოლო აღმოჩენა უკვე ესთეტიკური კატეგორიაა და უდიდეს ტკბობას ანიჭებს ადამიანს“ (ყარალაშვილი, 1977 : 34-35).

ყველაზე სუბიექტური მხატვრული ნაწარმოები ცკიეპოქის სპეციფიკური ნიშანთა მთელ სისტემას ატარებს, გამოხატავს საზოგადოების ცნობიერების გარკვეულ თავისებურებას და, ამავე დროს, მეხსიერებაზე დაკვირვების ერთ-ერთ საშუალებადაც გვევლინება. მხატვრული ლიტერატურა ეპოქის კვალს მრავალი კომპონენტითაღბეჭდავს, მათ შორის, ნარატივით, განწყობითა და ემოციით, მხატვრულ სახეებით დაა. შ. სხვადასხვა ეპოქის ტექსტებზე დაკვირვება გვაძლევს წარსულთან მიმართების რაგვარობაზე მსჯელობის შესაძლებლობას, მეხსიერებაში შენახული ფაქტებისათვის მოვლენებისათვის ისტორიული, იდეოლოგიური თუ მორალურ-ზნეობრივი პრიორიტეტების განსაზღვრას (სარფი, 2015: 305).

ენა სახეა მწერლისა, მწერალი ქმნის და ეძებს ხალხის ცოცხალი ენობრივი წიაღიდან სიტყვათშემოქმედების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც რითიმე გამოირჩევა: ლაკონურობით, ემოციური შეფერილობით თუ აზრობრივი დატვირთვით. იდეისა და სიტყვის თანხვედრა მწერლის ფსიქიკაში არსებული მარადიული საიდუმლოებაა, რომელიც მუდმივი დაკვირვების საგანია. ერთია ის, რა ჩანაფიქრი აქვს შემოქმედს, რა აქვს სათქმელი და მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი – როგორ იტყვის, რა ენობრივი საშუალებებით შეძლებს იდეის მკითხველამდე მიტანას. მხატვრული ნაწარმოები მოვლენათა სუბიექტური და ობიექტური ხედვის ორგანული მთლიანობაა, რაც ენით გამოიხატება.

